

ՀԵՐԱԼ ՑՐԱԿԵՅԵՐԻ  
Ծածագ 1939 Եղելս  
յալայ տնօլուսիմ. 1963 Եղելս  
Համարաց Սայարաց պալուս  
Յոլութեան կայսրու ոն Տագութիւ-  
ուու մեթալուրգիա լու յա-  
յալութեու. 1966-95 Եղեքին  
Թշնամութեա սարկ-ս Սահելմ-  
նուու սիմուրուն քամութե-  
ուու և Տուսկրամանու; 1981  
Եղուդան ցագապանու ոյնա  
Սամական ամազ քամութեուու  
պանութեալուր ազարալին  
և ս յագարակուս սիմուրուն  
գոլութեա սայարաց ուսուուն սա-  
լումն. 1995-98 Եղեքին արուս  
ջոնու-ս զուգե-պարանութեա-  
ու; 1998-2003 Եղեքին քարպո-  
լուս “Պարանութեա-  
քարպորացու ՝Պարանութեա-  
յանու դա րուսետուս յագարա-  
կարնաթորուս մրիւյելու. դա-  
նեքիու դա մեթալուրգիա, մատ  
ս յայունակուսա.

არის ავტორი წიგნებისა: „შავი სათვალე ეკეთა“, „როდემდას“, „Стихи“, „ლონდონი ჩვენი ბედისწერა“, „ჩემი ცხოვრების აღმართი“.

**ეჩინარი გმირი -  
ნიკოლოზ სამხარაძე**

ვალიკო ქვანის  
გასესვება

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

**პატიოლოგიური  
მეცნიერებები  
ჩანაცემები**



„ჩვენი მწერლობა“  
თბილისი  
2014

რედაქტორი  
როსტომ ჩხეიძე

ოპერატორი  
თამარ ჩიხლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
თანამდებობის როგორითაშვილი



## რედაქტორისაგან

მკითხველს კიდევ ერთხელ მოუწევს შეხვედრა ჯემალ ფოცხვერიასთან.

მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის წიგნი, უმთავრესად მემუარებზე აგებული „შავი სათვალე ეკეთა“, მაღლევე იპოვნიდა გულისხმიერ ადამიანთა წრეს, რათა ეს გამოცემა არ ჩაკარგულიყო საერთო ნაკადში და მიკუთვნებოდა ის ადგილი, რასაც იმსახურებდა საიდუმლოებითმოცული ამბების გამომზეურებით.

და რაც მთავარია, „შავი სათვალე ეკეთა“ წარმოდგებოდა თავისებურ ალსარებადაც, რომელშიც ავტორი ცდილობდა გულმართალი ყოფილიყო და ბევრი რამ გადაეფასებინა იმ ცხოვრებიდან, რაც წილად რგებოდა და ემსახურებოდა, ვიდრე სულიერი ძვრა სრულიად ახალ სამყაროს აპოვნინებდა.

ამ ვეება წიგნს უნდა მოჰყოლოდა „ჩემი ცხოვრების აღმართი“, ავტობიოგრაფიული ნოველების ციკლი, ფორმით შედარებით მოკრძალებული გამოცემა, თუმც მეტად საგულისხმო 40-იანი წლების თბილისური ყოფის აღსადგენად. ბავშვობის ის შთაბეჭდილებანი, პირადი გა-

მოცდილების გარდა, სწორედაც რომ ამგვარ განზოგადებას აღწევდა.

ეს წიგნაკი კი — „მემუარული ჩანაწერები“ — ნაწილობრივ დავალებული იმ მხატვრულ-დოკუმენტური წიგნიდან, ერთი ნარკვევი იქიდან რომ არის გადმოტანილი, თუმც შევსებულია ახალ-მოძიებული ცნობებითაც, იმ მხრივაა დამაფიქ-რებელი, რომ აერთიანებს ორ პიროვნებას — ნიკოლოზ სამხარაძესა და ვალიკო უვანიას, დიდ-ხანს შეყუულთ საქართველოს იატაკევეშა ის-ტორიაში, მერე ვალიკო უვანიას ელგუჯა თავბე-რიძე რომ მოევლინებოდა პატრონად და მონოგ-რაფიასაც უძლვნიდა, ნიკოლოზ სამხარაძის სახე კი შემოგვანათებდა ხოლმე ზვიად გამსახურდი-ას დისიდენტური უურნალის „საქართველოს მო-ამბე“ ყოველი გადაფურცვლისას.

და ახლა ეს „იატაკევეშელი“ ადამიანები, ერთი როგორც უჩინარი და მეორე როგორც უნებლიერი, რომელიც ერთმანეთს არც იცნობდნენ პირად ცხოვრებაში, ასე დაძმობილებულან ჯე-მალ ფოცხვერიას ამ მცირე წიგნის ფურცლებზე.

ჯერაც დასაწერი რომ გვაქვს XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და ზნეობრივი ის-ტორია და საგრძნობლად შესავსები პერსონაჟ-თა გალერეა, იქ თავთავის ადგილს დაიკავებენ წიკოლოზ სამხარაძეც და ვალიკო უვანიაც და მათი პორტრეტების რელიეფური გამოკვეთისას საგულისხმო შტრიხებისათვის ამ მცირე წიგნ-საც აუცილებლად გამოიყენებენ.



## ცერილი შვილს

გამარჯობა, ჩემო გია, ჩემო შვილო და მეგობარო. აი, უკვე მეცხრე წელი დაიწყო შენი მშობლების უბედურების დღიდან, რაც შენ ჩვენთან არა ხარ, ამ სიცარიელეს ამდენი ხანია, გასაკვირია, მაგრამ ვიტანთ... ასეთი ულმობელი ყოფილა ადამიანის ცხოვრება.

შევკრიბე, სისტემაში მოვიყვანე და გამოვეცი შენი ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე. სიკვდილის შემდეგ მაინც შეგისრულე დანაპირები. და რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი — გავხდი ხუთი (ჩქარა შეიძლება მექევსე) წიგნის ავტორი...

დამერნმუნე, ჩემო შვილო, ამ ჩემს ცხოვრებისეულ აქტივობას მხოლოდ ღვთის წყალობად მივიჩნევ.

როცა დავწერე მემუარული ყაიდის წიგნი „შავი სათვალეები ეკეთა“, გარკვეულწილად უკმარისობის გრძნობა დამეუფლა, რაღაც გამომრჩა, სათქმელი ბოლომდე ვერ ვთქვი-მეთქი. ხშირად მიფიქრია ამის შესახებ და ისევ შენ, ვიმეორებ, ისევ შენ მიკარნახე ზეციდან, თუ რა უნდა დამენერა, რომ ლირსეული პატივი მიმეგო საქართვე-

ლოს უჩინარი გმირისადმი, საქართველოს ისტორიის პედაგოგის ნიკოლოზ სამხარაძისადმი, რომელმაც ერთადერთმა აიმაღლა ხმა 1958 წელს, საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება რომ არ შეეწყვიტათ.

მახსოვს, 80-იანი წლების დამდეგს ერთ-ერთი საუბრისას შემეკითხე: „...მამა, რატომ არ გვასწავლიან სკოლაში ჩვენი ერის ისტორიას, იმ წიგნში, რომელსაც ისტორიის სახელმძღვანელო ჰქვია, საქართველოს ისტორია სულ 9-10 ფურცლით არის წარმოდგენილიო.

იმ ჩვენი საუბრის გამო ახლა ცრემლით მევსება თვალები. მოგიყევი ის, რაც ვიცოდი იმ მოვლენების შესახებ. აქ, ჩემი ახლანდელი გადმოსახედიდან, მთავარი ის არის, რომ რა დიდი ნდობა არსებობდა ჩვენ შორის, ყოველთვის ყურადღებით მისმენდი... შემდეგ შენი თხოვნით, შინ მოქონდა საბჭოთა მთავრობის მიერ ე.ნ. აკრძალული ლიტერატურა, რომლის მკითხველიც იყავიდა ასე ჩამოგიყალიბდა გარკვეული ეროვნული მსოფლმხედველობა, რომლითაც შინაარსიანად იცხოვრე...

ახლა რომ ვფიქრობ, ხანდახან ვნანობ, რომ ასეთი გაგზარდე. ჩემ გარშემო (კოლეგებში) ხშირი იყო შვილების გაზრდა დინასტიური მემკვიდრეობის გასაგრძელებლად, საბჭოთა ხელისუფლება ხომ სულ ამაყობდა, რომ დინასტია ჰყავდათ მეტალურგების, მეშახტეების, ექიმების, მასწავლებლების... მაგრამ დინასტიური მაღალ-

ჩინოვნიკურ თანამდებობათა „პრივატიზაცია“ მხოლოდ თავიანთ პრეროგატივად მიაჩნდათ, პროფესორები, მოსამართლეები, დიპლომატები, პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები და სხვა ე.ნ. ნომენკლატურული თანამდებობები „თავმდაბალ“ საბჭოთა პარტიულ-ადმინისტრაციულ ჩინოვნიკთა ხვედრი გახლდათ.

რა ექნათ, ისე შეისისხლხორცეს და შეუყვარდათ „ხალხზე ზრუნვა“, ამის დათმობა ვერ შეძლეს, ვიდრე ხალხმა სავარძლებიანადვე არ გადაისროლა ისტორიის არქივში.

მაგრამ არ გასულა ერთი ათეული წელიც, რომ იგივე განმეორდა — უკვე ახალი ყაიდის ჩინოვნიკები მოევლინენ ქვეყანას. მაგრამ ეს სულ სხვა თემაა...

მიჩქმალული სიმართლის გახმაურებას შევეცადე, შვილო, ამ ახალ წიგნში.

უკმარისობის გრძნობა მაინც დამრჩა, აღვწერე რა ჩემი სიყრმის მეგობრის ვალიკო უვანიას, ამ მართლაც რომ უნებლიერ ტერორისტის ცხოვრების ეპიზოდები.

---

## უჩინარი გმირი!

(ნიკოლოზ სამხარაძე)

იყო ასეთი ეპოქა... „უფროსი ძმის“ ვერაგული ხელით იმართებოდა იმპერიის შემადგენლობაში იძულებით თავმოყრილი რესპუბლიკები. მათ შორის — საქართველო. საბჭოთა წითელი დროშის სახელით ფეხქვეშ ითელებოდა ეროვნული ინტერესები. დროდადრო გამოჩენდებოდნენ ეროვნული ღირსების გრძნობით შემკული პიროვნებანი. ისინი ძველი დროის წმინდანებივით გამოანათებდნენ და მიუხედავად იმისა, „წყვდიადის მოციქულის“ მრისხანებაში ითელებოდნენ ფიზიკურად, სულიერად ანათებდნენ მომავალ თაობათა სავალ გზებს.

ერთ-ერთ მათგანზე მინდა მოგიყვეთ, მაგრამ ვიდრე ამ ღირსეულ პიროვნებაზე მეტად დასანანებლად, მწირად მოპოვებულ ბიოგრაფიულ ეპიზოდებს შემოგთავაზებთ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ „წითელი მარწუხების“ სატანურ ძალ-მოსილებას.

გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს აი, ეს ბრძანება გაიცა გრიფით: „ფრიად საიდუმლოდ“.

„...1958 წლის 1 სექტემბრიდან, საბჭოთა კავშირის ყველა ზოგადსაგანათლებლო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებიდან ამოღებულ იქნას ეროვნული ისტორიის სასწავლო კურსი. ეროვნული ისტორიები ისწავლებოდეს საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული ისტორიის სახელმძღვანელოთი — „საბჭოთა კავშირის ისტორიის“ კურსის ფარგლებში...“

აი, მცირე ამონარიდი, საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს დირექტივისა, რომელიც გადაეგზავნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის განათლების სამინისტროებს 1958 წლის 2 სექტემბერს...

ინერციით, საქართველოში 1958 წლის სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩატარდა სულ 3 თუ 4 გაკვეთილი საქართველოს ისტორიის იმ სახელმძღვანელობით (ივანე ჯავახიშვილის რედაქციით რომ იყო დაბეჭდილი). 1958 წლის 21 სექტემბერს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სამინისტროში შედგა კოლეგია, რომელმაც მოსკოვის დირექტივა მიიღო და დაამტკიცა...

ყოველივე ამ ფაქტის მხილველი და „თანამონაწილე“ გახლდით მეც, ამ სტრიქონების ავტორი, ვინაიდან 1958 წლის სექტემბერში ვიყავი თბილისის №72-ე სკოლის მე-10 (გამოსაშვები) კლასის მოწაფე და მართალი გითხრათ, დიდად განვიცადე საყვარელი საგნის სასწავლო პროგრამიდან ამოღება.

ეტყობა, საბჭოეთს და რუს ნაციონალისტებს ძლიერ შეეშინდათ სულ რაღაც 1,5 წლის წინათ, მომხდარი თბილისის ე.წ. ამბოხი დაწყებული ი. სტალინის ხსოვნის დასაცავად, რომელიც სულ რაღაც 2-3 დღეში თანდათანობით გადაიზარდა ქართველი ახალგაზრდების პროტესტად საბჭოეთისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ.

მახსოვს თუ რა გულისხმიერებით და ყურადღებით ვისმენდით ჩვენი სკოლის დირექტორის, ლევან წივწივაძის საქართველოს ისტორიის გაკვეთილებს. ბატონი ლევანი არა მარტო გამორჩეული აღნაგობის და ბრწყინვალე ლოგიკის ორატორი გახლდათ, არამედ შესანიშნავი პიროვნებაც; სანიმუშო იყო მისი ყოველი გაკვეთილი საქართველოს ისტორიდან. თითქმის ყოველთვის გულანთებული მსახიობის მონოლოგს ვუგდებდით ყურს და არა სავალდებულო სასწავლო პროგრამის დამზუთხველ მასწავლებელს.

მახსოვს, ყოველი გაკვეთილის შემდეგ, თითქმის ყველა მოსწავლე ერთსულოვან სიხარულს გამოხატავდა ჩვენი ერის სახელოვანი ისტორიის შეცნობის გამო... ჩვენი მასწავლებლის გაკვეთილები იყო საზრდო პატრიოტული სულის შთანერგვისა... არ არის გამორიცხული, რომ ბოლშევიკურმა მთავრობამ საფრთხე იგრძნო — ეროვნული სულის აღზევება ახალგაზრდობაში რუსიფიკაციის იდეოლოგიას წინააღმდეგობას გაუწევდა; ამიტომაც არ გასულა 6-7 წელი ამ მოვლენის შემ-

დეგ, რომ ახალარჩეულმა საბჭოთა კავშირის კო-  
მუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა  
ლეონიდ ბრეუნევმა 1964 წელს თავის მოხსენება-  
ში გამოკვეთა; „...საბჭოთა კავშირში შეიქმნა და  
ვითარდება ახალი ეროვნული შეგნების ფორმი-  
რება, „საბჭოთა ადამიანიო“. შემდეგ ეს გამონათ-  
ქვამი აიტაცა ყველა რჯულის პარტიულმა ფუნქ-  
ციონერმა. ყოველთვის და ყველგან იმეორებდნენ  
თავიანთი ბელადის „ბრძნულ გამონათქვამს“. რუსული ბიუროკრატის ძალისხმევას ამ იშურებ-  
და ქართველი და სხვა ერების მანქურთებად გარ-  
დაქმნისათვის. თუკი ახალგაზრდობას დაუმა-  
ლავდნენ საკუთარი სამშობლოს ისტორიულ წარ-  
სულს, ჩაუკლავდნენ ეროვნულ სიამაყეს, რა თქმა  
უნდა, რუსიფიკაციის პოლიტიკის გასატარებ-  
ლად დიდი დროც აღარ დასჭირდებოდათ. ჩვენდა  
საუბედუროდ, რუსიფიკაციის ხელშეწყობაში,  
განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი ცკ-ის მდი-  
ვანი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც, როგორც  
გახსოვთ, საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან  
ამოიყვანა. ან როგორ შეიძლება ამ თეორიის სი-  
ცოცხლისუნარიანობა ირწმუნო, როცა ერთ რუ-  
სულ იმპერიაში თავმოყრილი გყავს ისეთი ერები,  
როგორებიც იყვნენ ბალტისპირელები: ესტონე-  
ლები, ლიტველები, ლატვიელები, აქეთ ამიერკავ-  
კასიაში (ქართველები, სომხები) და იქით შუა აზი-  
ოს ჯერ კიდევ ფეოდალურ-მუსლიმურ ადათ-წე-  
სებით მცხოვრები ე.ნ. რესპუბლიკები. აგრეთვე  
საქართველოს ე.ნ. „კეთილმოსურნეები“ საუკუ-

ნეების განმავლობაში ჩეჩენები, დაღესტანის ერები, ყაბარდოელები და სხვა. სხვათა შორის მათი რუსიფიკაცია უფრო დინამიურად მიმდინარეობდა, ახლაც და მაშინ გასული საუკუნის 50-იან წლებში. ეს ერები ისე დაეუფლნენ რუსულ ენას, რომ ეს ენა მათ მეორე მშობლიურ ენად გადაიქცა. ერთ ქვაბში ასეთი კონგლომერატი ვერ „მოიხარ-შება“ და თუ ძალით მოინდომებ, ალბათ, რაღაც საშინელებას — შეუთავსებლობას მიიღებ. რა თქმა უნდა, პარტიულ „ბოსებს“ ეს კარგად მოეხ-სენებოდათ, მაგრამ კრემლის ბრძანების სადის-კუსიო თემად გადაქცევის უფლება არავის ჰქონ-და; ის კი არა, 80-იანი წლების ბოლოს ისიც გამო-აცხადეს, „საბჭოთა ხალხის“ ფორმირება დასრუ-ლებულიო, „ეროვნული“ პატრიოტიზმის სახითო! „ეროვნულში“ რა იგულისხმებოდა, ეს არ აუხსნი-ათ. უფრო ადრე კი 70-იანი წლების ბოლოს უტიფრად დაიუინეს საბჭოთა კავშირში სოცია-ლიზმი აშენებულიაო. ვაი ჩვენს თავს და ასეთ სო-ციალიზმს, სადაც ხალხი შიმშილით გიკვდება, სი-ნათლე და გათბობა არ გაქვს, ხელფასები მიზე-რულია, სავაჭრო დახლები დაცლილი და ყველა სამრეწველო საქონელი დეფიციტური. ამიტომაც ამ სიცრუეში ჩაფლულთ 90-იანი წლების და-საწყისში ხუხულასავით მოენგრათ აშენებული სოციალიზმის ქვეყანა...

ცხოვრების პარადოქსი ის იყო, რომ ე.ნ. „სო-ციალიზმი“ ააშენეს, მაგრამ ე.ნ. სოციალურ ქვე-ყანაში ინფრასტრუქტურა არ არსებობდა დასახ-

ლებულ პუნქტებს წყალი და გაზი არ მიეწოდებოდა, სკოლების დეფიციტი, უგზოობა და სხვა მრავალი ნაკლი გააჩნდა ამ მათ აშენებულ „სოციალიზმს“. ყოველივე ამან, ხალხის გაცრუება გამოიწვია... სიყალბემ საზღვარი დაკარგა...

ვინც ასე თუ ისე ანალიტიკოსის თვალით უყურებს გარშემო მიმდინარე ცხოვრების პროცესებს — მე მგონი უყოყმანოდ დამეთანხმება. ანდა როგორც ამბობენ: — გამგები გამიგებს...

ახლა კი ნება მომეცით და ჩემი დაკვირვების შესახებ მოგახსენოთ, რომელიც დროთა გადმოსახედიდან, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან და სათანადო ლიტერატურის წაკითხვის შემდეგ შემძებნა ჩვენი ეროვნული ბედისა და უბედურების ასახსნელად, აგრეთვე ჩვენი ეპოქის სხვადასხვა თაობელთა ცხოვრებისეულ შეხედულებათა სხვადასხვაობაზე მინდა ყურადღება გავამახვილო. და რასაც აქ მოგახსენებთ, ჩემი პირადი აზრია და სრულებითაც არა მაქვს პრეტენზია, რომ ისინი უცილობლად ვინმეს თავს მოვახვიო. როცა ადამიანი 75 წელს მოიყრი — არცთუ ისე ცოტას ამ წუთისოფელში — ალბათ ვალდებულიც ხარ, წარსულს თვალიც გადაავლო და გააანალიზო, მითუმეტეს, რისი მომსწრეც და ხანდახან აქტიური მონაწილეც ყოფილხარ.

იმ ბრძანების დასაკანონებლად, წელან რომ მოგახსენეთ, განათლების სამინისტროში თათბირი გაიმართა, რომელიც რა თქმა უნდა საქართველოს მთავრობის და ხალხის თანხმობას და

მორჩილებას გამოთქვამდა მოსკოვის ამ ბრძნული გადაწყვეტილების გამო. დამეთანხმეთ, არავითარ ქართველ ხალხს ეს მანდატი მაშინდელი მარიონეტი მთავრობისათვის არ მიუცია. ყველაფერი ეს უმსგავსობა მის ზურგს უკან — ფარულად ხდებოდა. აბა ვის ეყოფოდა სინდისი და ნამუსი, ან ერის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება, რომ წინააღმდეგ წასულიყვნენ, ეს ხომ მათი თბილი სავარძლების დაკარგვას წიშნავდა...

გათამაშდა კომუნისტური მმართველებისათვის დამახასიათებელი „დემოკრატიის“ ფარსი და ამ თათბირზე მოიწვიეს სამინისტროს კოლეგის წევრები, ზოგიერთი რაიონებიდან განათლების განყოფილების უფროსები და აგრეთვე თითოოროლა საქართველოს ისტორიის მასწავლებელი.

თავისი ინიციატივით, ისე, რომ არავის მოუწევია, დაესწრო (უფრო სწორად, თვითნებურად შეიქრა განათლების სამინისტროს კოლეგის სათათბირო ოთახში ქ. თბილისის I საშუალო სკოლის ქართველი ისტორიის მასწავლებელი ნიკოლოზ სამხარაძედა თათბირის ტრიბუნა ძალისხმიერად გამოიყენა იმისათვის, რომ წარმოეთქვა გულანთებული პატრიოტული მოხსენება, რომელმაც, რა თქმა უნდა, მანქურთებით გავსებულ მლიქვნელთა დარბაზი მხარდაჭერა ვერ იპოვა.

საქართველოს ისტორიის არცერთ პედაგოგს თათბირზე სიტყვა არ წარმოუთქვამს... უსიტყვოდ დაემორჩილნენ შეკრებაზე გამოსულ მომხ-

სენებლებს, განათლების მაშინდელ მინისტრს გ. ჯიბლაძეს, მის მოადგილეებს და სამმართველოსა თუ რაიონული განყოფილების უფროსებს. ერთადერთი მასწავლებელი, ვინც ითხოვა სიტყვა, გახლდათ ნიკოლოზ სამხარაძე. ის კატეგორიულად გაემიჯნა თათბირის მონაწილეთა მიერ მიღებულ, საკავშირო განათლების სამინისტროში გადასაგზავნ რეზოლუციას, დაძრახა თათბირის მონაწილენი მონური მორჩილების გამო, ხმამაღლა დაგმო ისინი ანტიეროვნული გადაწყვეტილებისათვის.

ერთი სიტყვით, ნიკოლოზ სამხარაძემ თავის მოკლე გამოსვლაში, იმის მიუხედავად, რომ ხელს უშლიდნენ, აწყვეტინებდნენ სიტყვას და შეურაცხმყოფელ შეძახილებსაც არ აკლებდნენ დამსწრენი, კატეგორიულად გამოკვეთა და გაახმაურა თავის სათქმელი, და რასაკვირველია, ამგვარი მხილებით წარმატებული სწრაფვა კარიერისკენ და საკუთარი სიცოცხლეც საფრთხეში ჩაიგდო.

საჭიროდ მივიჩნიე მომებია ნიკოლოზ სამხარაძის სიტყვა საქართველოს განათლების სამინისტროში, ისტორიკოსთა თათბირზე 1958 წლის 27 აგვისტოს.

მოვიხმობ სრულ ტექსტს უკომენტაროდ.

ვთხოვ მკითხველს, ყურადღებით წაიკითხოს ეს პატრიოტული სიტყვა, თვითონვე განსაჯოს როდის და რა ვითარებაში გაბედა ავტორმა ამ სიტყვის წარმოთქმა. სულ რაღაც ერთი წელიც არ

გასულიყო 1957 წლის თბილისის მიტინგების დარბევიდან, რასაც მოჰყვა მრავალი მსხვერპლი.

და ასეთ საშიშ და მძიმე დროს, რასაკვირველია, ნიკოლოზ სამხარაძის თავგამოდება ნამდვილად იყო უანგარო გმირობა — სამშობლოსა და ქართველი ხალხის წინაშე.

„ჩვენ მოვისმინეთ მინისტრ გ. ჯიბლაძის ინფორმაცია საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამიდან საქართველოს ისტორიის ამოღებისათვის (სწავლების შეწყვეტისათვის). მინისტრმა აღნიშნა: „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, შედგენილი ივ. ჯავახიშვილის, ნიკ. ბერძენიშვილის და ჯანაშიას ავტორობით მეტად ვრცელ მასალას მოიცავს. ამის გამო ამ სახელმძღვანელოთი სწავლება დიდაქტიკურად გაუმართლებელია და ხელმძღვანელ წრეებში იშვა შემდეგი მოსაზრება: ვიდრე ახალი სახელმძღვანელო შედგებოდეს, საქართველოს ისტორიას საშუალო სკოლებში ახალგაზრდობა შეისწავლის სსრ კავშირის ისტორიის არსებული სახელმძღვანელოებით“.

შემდეგ თქვენ მოისმინეთ პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიის მეთოდური კაბინეტის გამგის ლ. ციხისთავის სიტყვა. იგი მთლიანად მიეძღვნა დასაბუთებას, რომ ფართე მოცულობის გამო არსებული სახელმძღვანელოთი საქართველოს ისტორიის სწავლება გაუმართლებელია. „...შემომაქვს წინადადება ახალი სახელმძღვანელოს შედგენამ-

დე სასწავლო პროგრამიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ისტორიის სწავლება“.<sup>1</sup> შემდეგ იგი დასძენს: „საქართველოს ისტორიას ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა სსრ კავშირის არსებული სახელმძღვანელოებით შეისწავლის“.

მინისტრ გ. ჯიბლაძისა და ლ. ციხისთავის ინფორმაცია, რომელიც აქ მოვისმინეთ, გამოწვეულია არა იმით, რომ არსებული სახელმძღვანელოთი სწავლება მართლაც გაუმართლებელია, არამედ სულ სხვა განზრახვითა და მიზეზით. პარტიისა და მთავრობის მმართველ ზედაფენაში თავი იჩინა ველიკორუსულმა დიდმპყრობელურმა შოვინიზმმა. ველიკორუსთა ეს მმართველი ფენა ცდილობს, საბჭოთა კავშირში შემავალ მცირე ერებს სამოცზე მეტი ნაციონალობისაგან შემდგარსა და მოსახლეობის ნახევარზე მეტის შემცველს, წაართვას საკუთარი თვითშეგნება და მოსახლინოს მათი ასიმილაცია.

6. სამხარაძე აქ საბჭოეთის გონება სწორულ ბელადსაც იყენებს, ოლონდ ეს ჩვენ საერო საქმეს დახმარებოდა.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ლენინი იმთავითვე მიუთითებდა ველიკორუსული დიდმპყრობელობის საშიშროებაზე და აღნიშნავდა: „არ არის გამორიცხული ის ამბავი, რომ პარტიაში დროდადრო თავს იჩენს ველიკორუსული დიდმპყრობელური შოვინიზმი. ამგვარი გამოვლენა ძირშივე უნდა აღმოიფხვრას, თუ გვსურს, რომ დავიცვათ და შევინარჩუნოთ საბ-

ჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ერთიანობა". საბჭოთა კავშირი შეიქმნა 1922 წელს, მას საფუძვლად დაედო კავშირში შემავალ ერთა თანასწორუფლებიანობა და სუვერენულობა.

მიღიონები იმისათვის როდი ღვრიდნენ სისხლს, რომ სულ მალე წაართმევდნენ სისხლით მოპოვებულ ეროვნულ თუ სოციალურ თავისუფლებას, მათ შეილებსა და შვილიშვილებს მამა-პაპათა ისტორიის შესწავლასა და თავისუფალ აზროვნებას აუკრძალავდნენ. დღეს ასე ისმის საკითხი: უარყოფა, ხელის აღება ჩვენთა წინაპართა სახელოვანი წარსულის ხსოვნისა, ეს ნიშნავს აწმყოში და მომავალშიც ბრმად მივდიოთ და მივყვეთ მბრძანებლის ნებას, შევეთვისოთ და შევესისხლხორცოთ მას.

მოგეხსენებათ, რომ ერებისა და ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება ათასწლეულების მანძილზე განეული შრომისა და ბრძოლის შედეგად ხდებოდა. ქართველმა ხალხმა თავის ისტორიას საფუძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II ათასეულ წლებში ჩაუყარა. შექმნა რა დამოუკიდებლად ანბანი და დამწერლობა, საკაცობრიო ისტორიის ფურცლებზე მან ბევრი საინტერესო და სასახელო საქმე ჩანერა.

ერის ისტორია მოგვითხრობს, თუ როდის აიდგა მან ფეხი, როგორ და როდის დაედო საძირკველი თავის ეროვნულ შენობას, როგორ იღწვოდა და იბრძოდა ამ შენობის აგებისათვის, მისი შენარჩუნება-განახლებისათვის.

მოგეხსენებათ, რომ კაცობრიობის განვლილი ისტორია აღნუსხვაა არა ერთი ხალხისა და ერის ნამოღვაწ-ნამოქმედარის, არამედ ყველა იმ ხალხებისა, ამჟამად რომ ცხოვრობენ და არსებობენ. მეტიც: იყვნენ ხალხები, რომელნიც იღნ-ვოდნენ, მოქმედებდნენ და რომელთაც ჩაიდინეს ღირსშესანიშნავი საქმენი; ზოგიერთი მათგანი დღეისათვის აღარ არსებობს. უამთა უკუღმარ-თობამ, ბოროტმა ძალამ აღგავა ისინი პირისაგან მიწისა. დაგვრჩა მარტომდენ მათი ნამოღვაწარი, რასაც ისტორია აღნუსხავს და შეისწავლის, არა უბრალო ცნობადობისათვის, არამედ იმ აუცილებლობის გამო, რომ გავამდიდროთ გო-ნება და ამით უფრო სწრაფად წავწიოთ ეროვნული და საკაცობრიო ცხოვრება.

ერი ცხოვრობს არა მარტო აწმყოთი, არამედ წარსულითა და მომავლით. წარსული არის სა-ფუძველი და დიდი შემეცნებითი განძი, რომელიც გვაუწყებს, თუ რას იქმოდნენ ჩვენი მამა-პაპანი სასახელოსა და სასიქადულოს, ვინ ჩააყოლა ფუ-ყე და უვარგისი ქვა ეროვნულ შენობას, ვინ იყო მამაცი და შეუპოვარი სამშობლოს ზღურბლთა დაცვისას. კარგისა და ავის შეცნობა ეროვნულის წიაღში ახალთაობას საშუალებას მისცემს უკეთ გაიგოს და შეიმეცნოს აწმყო და მომავალი.

ერის თვითგამორკვევა შეუძლებელია ისტო-რიული წარსულის შესწავლის, დამოუკიდებელი სუვერენული უფლების განხორციელების გარე-შე. ქართველი ხედავს, რომ არსებობს ეროვნუ-

ლი სახელმწიფო ხელისუფლების იერარქია (წყობა). გარეგნულად ქართველი ხალხი თითქო თავად განაგებს საკუთარ თავს და თავის ბედის ბატონ-პატრონია, მაგრამ არსი სინამდვილისა მეტად მწვავეა და მტკიცნეული. ყოველივე ეს ნომინალურია და არა არსის რეალური არსობა. ნამდვილად არსებობს ეროვნული სახელმწიფოს მექანიზმი, მაგრამ ამ მექანიზმს არ გააჩნია ცხოველმყოფელი თვითმოქმედი ეროვნული სული. ეს ეროვნული სული ქართველ ხალხს რუსმა დამპყრობელმა ამოაცალა 1801 წელს. წარმოიდგინეთ სხეული უსულოდ საუკუნეთა მანძილზე, მუმიადქცეული, მუზეუმში მისვენებული სანახაობა.

წარსულში მეფის რუსეთი დაუფარავად და დაუინებით ახორციელებდა დაპყრობილი ხალხების შთანთქმასა და ასიმილაციას. ქართველი ხალხის მონინავე შვილები დროდადრო ხმას იმაღლებდნენ და ებრძოდნენ მტერს. XIX საუკუნის I ნახევარში (1832 წ. შეთქმულების ჩახშობის შემდეგ) იშვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მედროშენი იყვნენ დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი. სამოციანელები სწორედ მათ სახქმეებზე აღიზარდნენ. ჩამოყალიბდა ეროვნული დასი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით. შეიქმნა ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად დაედო ეროვნული და სოციალური თავისუფლება. ისიც კარგად ვიცით, როგორ იბრძოდნენ ისინი

ჩვენი ეროვნული ღირსების, ეროვნული ყოფა-დობის აღდგენისათვის.

ილია ამბობს: „ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოვლის ცხოვრებისა. დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნიდან, მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედის. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“. ეს სიტყვა კომენტარს არ საჭიროებს.

დღეს მტერი უმიზნებს და სპობს ეროვნული ყოფა-დობის დასაყრდენს. ველიკორუსმა კარგად იცის, რომ ქართველი ახალგაზრდობა, აღზრდილი თავის წინაპართა გმირულ ისტორიაზე, თავისი ერისადმი მაღალი გრძნობითა და სიყვარულით განიმსჭვალება. ერის წარსულის შესწავლით ახალი თაობა ადვილად გამოიცნობს მტერსა და მოყვარეს. თავის წინაპართა ღვაწლს სხვა ხალხების ნამოღვაწარს შეადარებს, რაიც მისცემს გაგების უნარს: ვინ ვიყავით, რა ვართ და ხვალისათვის რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ავმაღლეთ და უზრუნველვყოთ ეროვნული ყოფა-დობა.

ველიკორუსი, შენიღბული და ინტერნაციონალიზმს ამოფარებული, ყოველგვარი ეროვნულ-სოციალური საღი აზრის ჩაკვლას ლამობს. იგი თანდათანობით და დაუინებით ანხორციელებს დამორჩილებული ერების ასიმილაციას, გარუსებას. ამას დღევანდელი დღე და ჩვენი არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ადასტურებს.

ველიკორუსს პირველი იერიში განვითარებულ ერებზე მიაქვს, რომელთაც მაღალი კულტურა და ხანგრძლივი ისტორიული წარსული აქვთ. ქართველ ხალხზე დაწოლა მრავალმხრივია: გაზრდილი მიგრაცია, არაქართველთათვის უპირატესობის მინიჭება, ბინებისა და სამსახურის მიცემა ინტერნაციონალიზმის სახელით. ქართველთა დანინაურებული მმართველი ფენა და ინტელიგენციის ოლიგარქია ხელს უწყობს ველიკორუსს ქართველი ხალხის ასიმილაციის საქმეში.

ლენინის ჩამოყალიბებული პრინციპები ეროვნული სუვერენულობისა და თანასწორობისა არ სრულდება. შეიძლება ითქვას, საბჭოთა კავშირში ეროვნული დამოუკიდებლობის ცნებამ თავისი აზრი დაკარგა.

არ იფიქროთ, საკითხს გადავუხვიე. ჩვენი ეროვნული სხეული მრავალმხრივ არის დაიარებულ-დაწყლულებული. ვისაც გაგება და გული შერჩენია, მთელი სიმწვავით განიცდის ამ მდგომარეობას. იარას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ ვაი, ჩვენი ბრალი: ტკივილების გამომჟღავნება და მკურნალობა აკრძალული გვაქვს.

გადავხედოთ დღევანდელი მსოფლიოს რუქას: მსოფლიო ის აღარ არის, რაც 30-50 წლის წინათ იყო. თითქმის ყველგან დაემხო კოლონიური ბატონობა. მსოფლიო რუქაზე გაჩდა ათობით ახალი სახელმწიფო, რომელნიც ეს-ეს არის გამოვიდნენ მსოფლიო ასპარეზზე და იწყებენ ისტორიის შექმნას. თქვენთვის ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო სპეციალური დეკლარაცია დეკოლონიზაციისა და ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის დაცვის შესახებ.

საბჭოთა კავშირი პირველი შეუერთდა ამ დეკლარაციას, მაგრამ პრაქტიკულად მისი შესრულებისათვის არა თუ რაიმე გააკეთა, ყოველგვარ ეროვნულ და სოციალურ გამოვლენას სისხლში ახშობს. ამის მაგალითს დღევანდელი თათბირიც წარმოადგენს.

ამ თათბირის მიზანი ხელყოფს ერის არსებობას და აღშფოთებას იწვევს ყველა ქართველში. ეს აღშფოთება ბუნებრივია და მტერს არუ ნდა გაუკვირდეს. მტერს ვუწოდებ ყველა იმას, რომელიც ძალის პოზიციიდან სხვის სულში აფათურებს ხელს, რათა ეს სული ამოაცალოს მას და ცარიელი სხეული თავისი სულის სამყოფად აქციოს.

ველიკორუსობა მიეჩვია იმ აზრს, რომ სხვადასხვა ხერხითა და ხრიკებით ხალხები თავის ბატონობის ქვეშ იყოლიოს. მას ავიწყდება ის საშინელება, 1941-45 წლებში რომ დაატყდა თავს. რუსი ხალხი მარტო ვერ გაუმკლავდებოდა ჰიტ-

ლერულ გერმანიას, გვერდში რომ არ ამოდგო-  
მოდა უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომე-  
ხი, უზბეკი, თათარი და სხვა. რატომ არ მიიღო  
რუსმა ხალხმა და მისმა ინტელიგენციამ განვი-  
თარებული და ცივილიზებული გერმანელი ერის  
ხელმძღვანელობა, მისი წესრიგი და ბატონობა?!

ასევე მიუღებელია რუსის ბატონობა და მისი  
კომუნისტურ-ინტერნაციონალისტური წესრიგი  
სხვა ხალხებისათვის. დამპყრობელი, მოძალადე,  
ყველა ხალხს სძულს, განვითარების როგორ დო-  
ნეზეც არ უნდა იდგეს იგი.

ქართველი ერი თავისი ისტორიული წარსუ-  
ლით, ნიჭის პოტენციითა და შემოქმედების უნა-  
რით რუს ხალხს არა თუ ჩამოუვარდება, ნინ უს-  
ნრებს კიდეც. ქართველი ხალხის შემოქმედებასა  
და ნინსვლას მუდამ მრავალრიცხოვან დამპყ-  
რობთა მუდმივი თარეში, ქვეყნის აწინკება-აოხ-  
რება აყოვნებდა. ჩვენი ამჟამინდელი ჩამორჩე-  
ნის მიზეზი ისაა, რომ 1800 წლიდან რუსი მპყრო-  
ბელის ხელში ვიმყოფებით. ორი საუკუნე სრულ-  
დება, რაც რომ ჩვენი თავი ჩვენ აღარ გვეკუთვ-  
ნის. ჩვენი ეროვნული სხეული უთავოდაა შთენი-  
ლი და შინაგანად გამოცლილი.

მინისტრი გ. ჯიბლაძე და ლ. ციხისთავი მოქ-  
მედებენ არა საკუთარი სურვილითა და გონე-  
ბით, არამედ მბრძანებლის მითითებით. ისინი  
გვარნმუნებენ, რომ უკეთესია საქართველოს  
ახალმა თაობამ თავის წინაპართა ოცდაათსაუ-  
კუნოვანი ისტორია სსრ კავშირის ისტორიის სა-

ხელმძღვანელოთი შეისწავლოს, სადაც ქართველი ხალხის ვრცელ ისტორიას დათმობილი აქვს 10 ფურცელი.

სსრ კავშირის სამი წიგნი ფაქტიურად რუსი ხალხის ისტორიაა და არა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხებისა, რადგან სამოცდაათ ხალხს ამ წიგნებში დათმობილი აქვს წიგნის მოცულობის 5%, 95% კი რუს ხალხზე მოდის. თქვენ ხედავთ, თუ როგორი ფარდობაა რუს ხალხს და სხვა ხალხებს შორის. იგივე ითქმის ცენტრალური მართვის სისტემაზე. ასეთია ველიკორუსის გაგებით თანასწორობა და ერთობა.

ქართველი ხალხის ისტორია თავისი წარსულითა და შინაარსით, მოცულობითაც აღემატება რუსეთისას. ქართველებს რუსებზე ათასი წლით ადრე ჰქონდათ ცივილიზაცია, სახელმწიფო წყობა და დამწერლობა. ქართველები რომ წიგნებს წერდნენ, რუსები მინდორ-ველად დაეხეტებოდნენ, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. როდესაც ჩვენში ვეფხისტყაოსანი ინერებოდა, რუსთა ზედაფენაში ანბანს ძლივს კითხულობდნენ.

ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ვერ შეურიგდება იმ ფაქტს რომ ქართველ ახალ თაობას თავის წინაპართა ისტორიის შესწავლის უფლება წაერთვას. არც ისაა სწორი, რომ არსებული სახელმძღვანელო, რომელმაც მეორე პრემია დაიმსახურა, უვარგისად გამოვაცხადო იმ მიზეზით, თითქოს იგი დიდ მასალას მოიცავს. პირი-ქით: წიგნში ზოგიერთი მნიშვნელოვანი მასალა

შეკვეცილია, არ არის ფართედ განხილული. თუ ამ წიგნს გადავამუშავებთ და შეკვეცილ მასალას წესისამებრ გავშლით, ერთი წიგნის ნაცვლად ორ წიგნს მივიღებთ.

ქართველი ხალხი და მისი ინტელიგენცია ასე-დაც მოიქცეოდა, თავისი თავის განმგებელი რომ იყოს.

აქვე უნდა დავსძინო: საქართველოს ისტორიის სასწავლო გეგმით კვირაში ერთი საათი აქვს დათმობილი, რაც დიდაქტიკურად გაუმართლებელია. შემომაქვს წინადადება: ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს ისტორიის შესწავლას კვირაში ორი საათი დაეთმოს“.

გთხოვთ, მკითხველო აქ შეჩერდეთ, კიდევ ერთხელ გადაიკითხოთ ამ გულმნათი საქართველოს პატრიოტის ეს მგზნებარე სიტყვა წარმოთქმული მანქურთების წინაშე. ისიც არ დაგავიწყდეთ, ეს არის 1958 წელი. მაშინ, როდესაც ვერავინ ვერ წარმოიდგენდა საბჭოთა დიქატურის რღვევას... იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ სამხარაძემ იცოდა, რომ თავს სწირავდა საბჭოთა დიქტატურას და სუკს ხახაში უვარდებოდა. იცოდა, მაგრამ მაინც ბოლომდე მან ერთადერთმა, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა ქვეყანაში, მოიხადა თავისი პატრიოტული ვალი და რეპრესიებმაც არ დააყოვნა იქვე თათბირის დამთავრებისთანავე დააპატიმრეს... შემდეგ თითქმის ორი წელი ცდილობდნენ მის შეურაცხადად გამოცხადებას, მათი ლოგიკით

ასეთი პიროვრნება, ასე გაძედულად გამოსული საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, მხოლოდ გიუის (შეურაცხადი) უნდა ყოფილიყო...

ეტყობა ბატონ მინისტრს თათბირზე მობილი-ზებული ჰყავდა მლიქვნელთა ჯგუფი. სწორედ ისინი შეეცადნენ ნიკოლოზ სამხარაძის გაჩუმებას.

რაც კი მინახავს ან წამიკითხავს ძველი რომის თუ საბერძნეთის ფილოსოფოსთა, ცივილიზაციის ჩასახვის პირველი დღეებიდან, ყველგან და ყოველთვის, უფროსი თაობა მუდამ უკმაყოფილო იყო ახალთაობელთა ქმედებისა. მაგრამ აქ საგულისხმოა ისიც, თუ რომელ თაობას რომელ ისტორიულ მონაკვეთში უხდებოდა ცხოვრება...

ჩვენ ქართულ სინამდვილეს რომ გადავხედოთ და თანაც შორს არ წავიდეთ, ქართველ არისტოკრატთა პირველი თაობა გავიხსენოთ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, შემდეგ 60-იანელები: ილიასა და აკაკის თაოსნობით, მერე 80-იანელები — ვაჟა, ყაზბეგი და ბევრი სხვანი სახელოვანი შვილნი ერისა. მათ არ ჰქონდათ განსხვავებული შეხედულებანი? არ იყო გამიჯნული მამათა და შვილთა თაობები.

**XIX** საუკუნის ბოლოდან ქართველი ახალგაზრდები ახლა უკვე მათი სოციალური წარმოშობის მიუხედავად, რუსეთის (პეტერბურგი, მოსკოვი), უკრაინის (ხარკოვი), ბალტიისპირეთს (ტარტუ) და სხვა უნივერსიტეტში სწავლობდ-

ნენ, ზოგმა ევროპაში გამგზავრებაც მოახერხა და იქ მიიღო განათლება. აი ამ თაობამ შექმნა მაშინდელი ახალი საქართველო, ცივილიზებული ევროპის თესლი გააღვივეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. მერე ავბედითმა დრომ მოუსწოროთ. ქვეყნის ბოლშევიზაციამ ერის საუკეთესო შვილნი ან ემიგრაციაში გადახვენა, ან ჟერმავაში ჩატარები ჩატარები. იმ თაობამ ვერ განახორციელა თავისი შესაძლებლობები ქვეყნის ნინაშე. თუ ვისარგებლებთ რუსული ტერმინით ინტელიგენტი (ცივილიზებულ სამყარო ამ სიტყვას არ ხმარობს), ბოლშევიკებმა შექმნეს ნითელი პროფესურა. ალბათ, სასიამოვნო ამ ნამოწყებაში ის იყო, რომ თავი მოუყარეს სოციალურად დაბალი ფენიდან გამოსულ მრავალ სწავლამოწყურებულ ახალგაზრდას. მათგან ბევრი გამოჩენილი საზოგადო, სახელმწიფო თუ კულტურის მოღვაწე გახდა, მაგრამ მათდა საბედისწეროდ, სულ რაღაც 10-15 წელიწადში, ისინიც აღარ დაინდეს, კლასობრივად საშიშ ელემენტებად მიიჩნიეს და ჟერმავაში გამოამწყვდიეს ან ციმბირში გადაასახლეს; ბევრი დახვრიტეს კიდეც.

შემდეგ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც ქართველთათვის არასოდეს ყოფილა სამამულო, ვინაიდან ქართველ კაცს საბჭოეთის ქვეყანა არასოდეს გაუიგივებია სამშობლოსთან და მამულთან.

ამასთან დაკავშირებით ერთი ფაქტი გამახსენდა: გასული საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვურმა

გაზეთმა გამოკითხვა ჩაატარა თბილისში. ერთ-ერთმა ქართველმა გოგონამ დაახლოებით ასეთ კითხვაზე: — გეამაყება თუ არა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობო, უპასუხა: — დიახ, მეამაყება ჩემი ქვეყანა, მზიური საქართველო ძველი კულტურის ქვეყანაა და დინამიურად ვითარდებაო...

რუს კორესპონდენტებს სხვა რესპონდენტთა პასუხები აღარც გამოუქვეყნებიათ, მაგრამ სწორედ ამ ერთზე, რუსულ და ქართულ კომუნისტურ პრესაში ატყდა აუიოტაჟი: აი ნახეთ, რა ხდებაო. ქართველმა გოგონამ სიტყვა „Страна“-ში მთელი საბჭოთა კავშირი კი არ აღიქვა, მხოლოდ საქართველო იგულისხმაო. აი ნახეთ, სადამდე მივიდნენ ქართველი ახალგაზრდებიო...

სამშობლოდ საბჭოთა კავშირს კი არ მიიჩნევენ — კამჩატკიდან — მურმანსკამდე, მურმანსკიდან — ბაქომდე და ალმა ატამდე — არამედ ასეთი ვიწრო გაგება-აზროვნებისანი არიან და საქართველოს ქვეყანად მოიხსენებენო, სხვათა შორის ამ ე.წ. „აგორებულ“ კომუნისტურ პოლემიკას ქართველი ახალგაზრდობა მაინც მოთმინებით შეხვდა, რამეთუ უმრავლესობა იმავეს ფიქრობდა, მსგავსად განიცდიდა, როგორც ის ყმანვილი ქალი — რესპონდენტი რუსი უურნალისტებისა. ცხადია, შედეგმაც არ დააყოვნა და აიტაცა ეს საკითხი ასე მწვავედ რუსულმა პრესამ სადისკუსიოდ და მსჯელობის საგნად.

ეჭვგარეშეა, ქართველი გოგონას პასუხი სამშობლოს ცნებაზე, არც ბალტიისპირეთის, არც

ამიერკავკასიის და ასე წარმოიდგინეთ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მცხოვრებთათვის არ დარჩებოდა გაუზიარებელი.

შემდგომში, 90-იანი წლების დასაწყისში როცა საბჭოთა კავშირი ანუ რუსეთის იმპერია დაიშალა, ხშირად უკითხავთ ჩემთვის რუსი ეროვნების წარმომადგენლებს ჩვეული კატეგორიულ-უკამაყოფილებით თუ პრიმიტიულობით: — ქართველი ბრძანდებით და რა ხდება? ასე თუ ისე გასაგებია ბალტიისპირეთის რესპუბლიკები დამოუკიდებლობისათვის რომ იბრძვიან, მაგრამ თქვენ რაღამ გაგაგულისათ, ქართველები, საბჭოთა კავშირში მატერიალურად ყველაზე კარგად ცხოვრობდით, რუსეთის მოსახლეობასთან სასურველი ურთიერთობა და ავტორიტეტი გქონდათ და რატომ მოინდომეთ ასეთი პირობების დაკარგვა და კავშირიდან გამოყოფაო?

რა უნდა მეპასუხა, აბა როგორ გააგებინებ ხალხს, რომელსაც თვითონ აქვს დაკარგული ეროვნული სულისკვეთება, პოლიტიკურ-იმპერიული ამბიციით გელაპარაკება, არ აინტერესებს ჭეშმარიტება და მე მგონი, ყოველი ცდა მათი გადარწმუნებისა ფუჭი აღმოჩნდება.

ათეული წლებია რუსეთში ვცხოვრობ და მეტნაკლებად ასეთ პრიმიტიულ კითხვებს შეჩვეული ვარ. ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ერთი რუსი ინტელიგენტი, უბირივით შემეკითხა: — ერთი ამიხსენი, რა განსხვავებაა ქართველს, სომეხსა და აზერბაიჯანელს შორისო?

რა პასუხიც ეკუთვნოდა დაინტერესებულს, კიდეც მიიღო... უნდა მოგახსენოთ, რომ მსგავსი სულელური კითხვები არაერთხელ გაუგონებიათ ჩემთვის სხვადასხვა ვითარებაში. ჩემი აზრით, ალბათ ეს გასაკვირიც არ უნდა ყოფილიყო, რადგან საშუალო სკოლაში უფროსკლასელებს გვასწავლიდნენ სსსრ კავშირის ისტორიას, რომელიც დაახლოებით 500-550 ფურცლიანი „ტალმუტი“ გახლდათ. ჩემს მოწაფეობაში გადამითვლია კიდეც, რამდენი გვერდი ეთმობოდა რუსეთის გარდა სხვა რესპუბლიკების ისტორიას... მხოლოდ 36-38 ფურცელი... ხოლო საქართველოს ისტორიის სწავლება (ივანე ჯავახიშვილის ავტორობით) 1958 წლის სექტემბრის ბოლოს აიკრძალა. როგორც მოგვიანებით დავინტერესდი, ამას რესპუბლიკაში დიდი ხმაური არ მოჰყოლია...

თუ არ დავივიწყებთ საქართველოს ისტორიის მასწავლებელს ნიკოლოზ სამხარაძეს.

თავისი პატრიოტული სიტყვით შეიიჭრა მაშინდელი განათლების სამინისტროს თათბირზე, რომ იტყვიან ქვა-ქვაზე არ დატოვა, ყველა დაამუნათა უგერგილობისათვის მინისტრიც და კოლეგის წევრებიც. იმავე დღეს ის დაპატიმრებულ იქნა სუკის მიერ. გაასამართლეს ე.წ. 58-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს — ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისათვის და უნდოდათ მიესაჯათ 5 წელი. შემდეგ გადაიფიქრეს, ვერ გაბედეს სამხარაძისათვის

სასამართლოს გამართვა. ეშინოდათ ეს სასამართლო პროცესი რეზონანსული შეიძლება გამხდარიყო და არჩიეს ფსიქიატრების ზენოლით მის შეურაცხადად გამოცხადება იმ ლოგიკით, რომ გიუებისთვის კანონი არ არსებობსო. შემდეგ ამ მეთოდით არაერთი დისიდენტი გამოაცხადეს შეურაცხადად და გაასახლეს საბჭოებიდან... ხოლო შემდეგ პატიმრობა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობით შეუცვალეს და თითქმის ორი წელი გამომწყვდეული ჰყავდათ ფსიქიატრიულ დისპანსერში...

მისი ბიოგრაფიული ეპიზოდები კითხვა-კითხვით და დიდი ძალისხმევით მოვიძიეს...

ვიდრე ისტორიკოსის დიპლომს მიიღებდა, ჯერ მედიცინაში უცდია ბედი, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე წარმატებით ჩააბარა გამოცდები ისეთ პრესტიულ ინსტიტუტში, როგორიც იმ დროისათვის იყო სამედიცინო ინსტიტუტი. სწავლის გასრულების შემდეგ ექიმად ვერსად დაუწყია მუშაობა და კვლავ ჩაუბარებია მისაღები გამოცდები ისტორიის ფაკულტეტზე. მასწავლებლობა მოუხერხდა და პირველ სკოლაში ისტორიის გაკვეთილები აუღია.

ცხადია, ნაციხარსა და პოლიტიკურად არასა-იმედოს მასწავლებლობის უფლებას აღარ მისცემდნენ. სპეციალობით ექიმს თითქმის 9-10 წელი ექიმადაც აუკრძალეს მუშაობა.

თითქმის 10 წლით საზოგადოებიდან გარიყულმა ნიკოლოზ სამხარაძემ (ორი შვილის მა-

მამ, სნეული მშობლების პატრონმა) გადადგა კი-დევ ერთი გმირული ნაბიჯი, საჯაროდ მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლეონიდ ბრეუნევს. აუხსნა მწირედ და ლაკონიურად მისი საბჭოთა ქვეყანაში დევნის „საფუძველი“ და კი არ სთხოვა, არამედ მოითხოვა, რომ მისთვის და მისი ოჯახის წევრებისათვის საბჭოთა მოქალაქეობა ჩამოერთმიათ და ნება მიეცათ ოჯახითურთ საზღვარგარეთ გამგზავრებისა.

„გულისხმიერმა“ ლეონიდ ბრეუნევმა „კეთილი ნება გამოიჩინა“ და საქართველოს მთავრობას მისცა განკარგულება, რომ ნიკოლოზ სამხარაძისთვის მიეცათ ნება ექიმად მუშაობისა...

რა თქმა უნდა, არც კი წამოჭრილა საკითხი მისი 10-11 წლის დევნისა და იძულებითი უმუშევრობის გამო — რაიმე ფინანსური კომპენსაციის შესახებ.

ჯერ რაიონებში მუშაობდა, მერე თბილისში ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოში გადმოვიდა. სახელი გაითქვა, როგორც სანიმუშო პროფესიონალმა, გულისხმიერმა ექიმმა და არასოდეს მოუწონებია თავი მოგვიანებით, სხვათა მსგავსად, ანტისაბჭოთა წარსულით. სუკის დოკუმენტებში მითითებული იყო მასზე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასანდო პიროვნებაზე. წლების განმავლობაში წარმოებდა ე.წ. აგენტურულ-ოპერატიული დაკვირვების საქმე, სახელ-

წოდებით — „ისტორიკოსი“, მაგრამ როგორც მა-სალებიდან ჩანდა, ანტისაბჭოთა პროპაგანდა არ გაუწევია, არასოდეს უცდია დამეგობრებოდა დი-სიდენტებს — ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოს-ტავასა და სხვებს... (ისიც გავიხსენოთ, რომ ეს ხალხი უშუალოდ მისი მოწაფეები იყვნენ...)

ერთი სიტყვით მხოლოდ ჰიპოკრატეს ფიცს უერთგულა და დაიმკვიდრა სახელი, როგორც ჩინებულმა დასტაქარმა.

მისი აგენტურულ-ოპერატიული საქმე ბო-ლოს არქივში გადაიტანეს და დღესაც იქ უნდა ინახებოდეს, თუკი სხვა დოკუმენტებთან ერთად არ დაიწვა 1991 წლის სამოქალაქო ომის დროს.

აი, ასეთი გახლდათ ზნეობრივი ადამიანი სა-ქართველოს ისტორიის პედაგოგი ნიკოლოზ სამ-ხარაძე, რომელმაც ერთადერთმა გამოხატა პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ.

მართალია გულანთებული პედაგოგი სამაგა-ლითოდ დაისაჯა, საბჭოთა მთავრობის მიერ, არც მისი გაბედული საქებარი ქმედება გაუხსენებიათ, როცა ამის შესაძლებლობა გახდა, ამიტომაც მი-ვიჩინე თავი ვალდებულად, არქივიდან ამომეზი-და ამ პატიოსანი მამულიშვილის სახელი...

\* \* \*

ცხოვრება ხომ აღსავსეა მოულოდნელობით. კაციშვილმა არ იცის, ბედი ვის რას უმზადებს.

70-იანი წლების შუალედში სიყრმის მეგობა-რი ოთარ კოხრეიძე ავტოავარიაში მოყვა. რო-

გორც კი შევიტყვე ამის შესახებ, სასწრაფოდ წმინდა მიხეილის სახელობის საავადმყოფოში მივედი, მოსაცდელში ოთარის ოჯახის წევრები და ნაცნობ-მეგობრები დამხვდნენ, მითხრეს ოთარს ქირურგიული ოპერაცია უკეთდება.

ერთ-ერთმა იქ მყოფთაგან კი დაიმედებით თქვა, ოთარს მაინც გაუმართლა, ოპერაციას თავისი საქმის პროფესიონალი, ქირურგი ნიკოლოზ სამხარაძე უკეთებსო. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. როგორც მახსოვს, ოპერაციამ 5-6 საათს გასტანა და დამთავრდა თუ არა, მისაღებში გამოვიდა გასავათებული ექიმი, ჩვენკენ გამოემართა. მშვიდად და გულისხმიერად წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა: — ...ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ავადმყოფის მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ჩემი აზრით, მკურნალობას დაემორჩილებაო.

მერე კი ნელი ნაბიჯით განაგრძო გზა საორდინატოროსკენ.

რაც მახსოვს, მძიმე მოლოდინის მიუხედავად, არავის ზედმეტი კითხვა აღარ დაუსვამს მისთვის, იმდენად დამაიმედებელი და ამომწურავი გახლდათ მისი ნათქვამი.

იმ მედპერსონალისგან, ქირურგს რომ ეხმარებოდნენ, შევიტყვეთ, როგორი ურთულესი ოპერაცია გაკეთდა. და მხოლოდ ამ ბრწყინვალე დასტაქრის წყალობით შეუნარჩუნდა სასიკვდილოდ გადადებულ კაცს სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანოები — ელენთა, ღვიძლი, თირკმლები... გადაურჩა აგრეთვე ფეხის კიდურების ამპუტაციას.

ჩვენი მეგობარი დაახლოებით ორ-სამ თვეში უკვე ფეხზე დადგა და საავადმყოფოდან გამოეწერა, საბოლოო რეაბილიტაციასაც დიდი დრო აღარ დასჭირდა. შინ ხშირად ვაკითხავდით მეგობრები, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოთარი პურ-მარილიანი და გულუხვი მასპინძელი გახლდათ...

ეს სტუმრობა ხშირად ქართული ქეიფით მთავრდებოდა, ერთ-ერთი ასეთი თავშეყრისას ოთარმა მითხრა:

— ჩემო ჯემალ, უნდა დამეხმარო. ხომ გახსოვს, გაიცანი კიდეც ჩემი გადამრჩენი ექიმი. ოპერაციიდან დაახლოებით ათიოდე დღე იქნებოდა გასული, ყავარჯნებით გადაადგილება რომ შევძელი, ვეახლე მას კაბინეტში და მადლი-ერების ნიშნად ფულის ჩუქება მოვინდომე, რაზედაც ცივი უარი მივიღე. თანაც ისე, შერცხვენილი არ დავრჩენილიყავი, ექიმმა ძალიან მშვიდად, თავაზიანად ამიხსნა, ასეთი ხარჯი თქვენგან საჭირო არ არისო... ვერ მოვისვენე და მერე მეგობარი მივუგზავნე. ისიც უარით გამოისტუმრა. შენი იმედილა მაქვს და არც თუ მცდარად. ჩვენ შორის შენ ყველაზე დიპლომატიური ნიჭით ხარ დაჯილდოებული და ეგებ გეცადაო...

წუთით შევყოვნდი და ოთარს ვუპასუხე, რომ მის დაყოლიებას ვერც მე მოვახერხებდი თანაც, ჩემი მხრიდან მეტად უხერხული იქნებოდა. მერე მოვუყევი ექიმის ბიოგრაფიიდან ეპიზოდები, თუ რა რეპრესიები ჩაატარა სუკმა მის დასასჯელად, ისიც ვივარაუდე, რომ სამხარაძეს თვითო-

ნაც ეცოდინებოდა სუკში რომ ვმუშაობდი და ეს საქმე ჩემგან ვერანაირად ვერ გამოვა-მეთქი... ოთარმა ჩვეული თბილი ღიმილით შემომხედა და ამის შესახებ აღარც გვილაპარაკია. აღმოჩნდა, რომ ექიმს, ხელმადლიან კაცს, გასამრჯელო თურმე არავისგან არასოდეს არ აუღია და ცხა-დია, ოთარიც გამონაკლისი არ იქნებოდა.... ერთი კი ვიცი, რომ ჩემს მეგობარს მადლიერების გან-ცდა არასოდეს უქრებოდა და მითუმეტეს, ვინც სიცოცხლე აჩუქა, იმას ხომ სიკეთით აუცილებ-ლად უპასუხებდა.

ეს კი მახსოვს, როგორი მუდარით დაითანხმა მან მეგობრულ ვახშამზე მოეწვია ნიკოლოზ სამ-ხარაძე.

„გარწმუნებთ, ბატონო ოთარ, ყველა პაციენტის მიმართ იმავეს გავაკეთებდი, რაც თქვენთვის შევძელიო“, — შეუხსენებია მოკრძალებულად.

ორიოდე დღის შემდეგ მართლაც შევიკრიბეთ რესტორან „ქალაქურში“ ბარათაშვილის ქუჩაზე. სულ ათიოდე ვისხედით. სუფრას ჩვენი გუ-ლუხვი მასპინძელი თამადობდა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ ღვინომაც შეგვათამამა და ძვირფას სტუმარს სათითაოდ გადავუხადეთ გულითადი მადლობა მეგობრის გადარჩენისათ-ვის... ჩვენ ყოველ შექებაზე, თავჩაღუნული, ბავ-შვივით წითლდებოდა და უჩვეულო მორიდებით ყველას სათითაოდ გვპასუხობდა:

— გმადლობთ, ბატონებო, ამდენიც არაფერი გამიკეთებია, გადაჭარბებამდე მაქებთო.

ალბათ იმ დროს დაახლოებით ორმოც-დათხუთმეტი წლისა იქნებოდა და პირველად ვნახე ცხოვრებაში ასეთი თავმდაბალი, კეთილ-შობილი, მოკრძალებული პიროვნება. მისი მსგავსნი მაშინაც იშვიათნი იყვნენ, ახლა ხომ მითუმეტეს — ძნელად შემხვედრია.

ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა და ექიმის შესახებ აღარაფერი მსმენოდა. ოჯახით მოსკოვში გადავედი საცხოვრებლად, ჩემი მეგობარი ოთარ კოხრეიძე 90-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა. იმ არეულ პერიოდში ორჯერ დააყაჩალეს მისი ოჯახი. ამასობაში სამსახურიც დაკარგა, ერთბაშად დარჩა ხელმოცარული. ოდესლაც მატერიალურად წელგამართულმა სიცივეში, წკვარამში, მიუსაფარობაში ჰპოვა ადგილი ბევრის მსგავსად და ერთ ღამესაც, ღმერთმა აცხონოს და გაუნათლოს კეთილი სული, დაიძინა და...

80-იან წლებში იშვიათად ჩამოვდიოდი საქართველოში, ერთხელ თვალი მოვკარი ბატონ ნიკოლოზ სამხარაძეს ორ ახალგაზრდასთან ერთად მიუყვებოდა რუსთაველის ქუჩას. სახიერად ისე ჩამოჰვავდნენ მას, ისიც გავიფიქრე, შვილები ხომ არ ახლავს-მეთქი... ამიტომაც მოვერიდე, მათთვის ხელი არ შემეშალა. ისე ტკბილად მილაპარაკობდნენ, ვერც თვითონ შემნიშნა.

2001 წლის ახალ წელს კვლავ თბილისში ვიყავი. აი უკვე საკმაო დრო გასულიყო, რაც ჩემს მშობლიურ ქალაქს სტუმარივით ჩამოვაკითხავდი ხოლმე, თუმცა არცერთი წელი არ გამომიტოვებია უთბი-

ლისოდ. გამონაკლისი გახლდათ მხოლოდ 90-იანი წლების შუალედი (1994-1996 წწ), მაშინ, როდესაც ორი ქვეყნის რუსეთისა და საქართველოს უშიშროების ორგანოები, ორივენი პარალელურად თუ პერპენდიკულარულად ოპერატიულად „მამუშავებდნენ“. თითოეული მათგანი თავისი ქვეყნის მზვერავ-აგენტად მიმიჩნევდა და შესაბამისად „განსაკუთრებული ყურადღებით“ ვიყავი გარემოცული.

ყმაწვილობის ჩვევა გამომყვა, ყოველი ჩამოსვლისას არ იქნება რუსთაველზე ფეხით არ გავიარო. დავუყვები ხოლმე უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან, გავუვლი საკონცერტო დარბაზს, „ზემელს“ და აი კიდეც ჩემი რუსთაველის პროსპექტი შემომანათებს. სიცოცხლის საუკეთესო წლები რომ მაკავშირებს. ბავშვობასთან, ყმაწვილკაცობასთან შეხვედრაა, სხვანაირ გულისძგერას რომ იწვევს და ცრემლიც თვალს მისველებს.

ერთხელაც ჩემი საყვარელი მარშრუტით დავადექი გზას. მეტრო „რუსთაველს“ რომ მივუახლოვდი, სკვერსაც გავცდი და მიწისქვეშა გადასასვლელთან ბუკინისტების წიგნის დახლებთან ფეხი შევანელე.

რა ვქნა, ძველ წიგნებს გულგრილად ვერ ჩაუვლი ხოლმე, კაცმა არ იცის, მოულოდნელად რომელ უნიკალურ გამოცემას გადაანყდები.

მივუახლოვდი თუ არა იმ ადგილს, სათნო, თმაწვერგათეთრებულმა ყავარჯინიანმა მოხუცმა მიიქცია ჩემი ყურადღება. ხელში რომელილაც გამოცემას ცნობისწადილით ათვალიერებდა. თითქოს მეც-

ნო ეს ადამიანი, თითქოსდა სადღაც მენახა მისი შავი სათვალის გამო, თვალებშიც ვერ ვუყურებდი.

ჩემი პროფესიული თუ ცხოვრებისეული გამოცდილებით ადამიანს თვალებში რომ ჩავხედავ, სწრაფად გავიხსენებ ხოლმე მის ვინაობას. ასეთ ორჭოფობაში რომ ვარ, გამოველაპარაკო თუ არა, უცებ ბუკინისტის გალიზიანებული ხმა მომწვდა. მოხუცს უდიერად ჩასძახა: — რა იყო ადამიანო, ორი საათია მაგ წიგნს ჩაკირკიტებ. გადაწყვიტე, იყიდო თუ არა, სულ ხუთი ლარი ლირს, ფული თუ არ გაგაჩნია, აქ გინდა წაიკითხო?

გადავწყვიტე იმ დარბაისელ კაცს გამოვსარჩლებოდი და როყიოსთვის საკადრისი მიმეზლო. სპეტაკ მოხუცთან ახლოს რომ დავდექი, შევამჩნიე ალმური მოსდებოდა სახეზე. თითქოსდა რაღაც უნდოდა ეთქვა, თავი რომ ემართლებინა. ბოლოს ნირნამხდარმა ბოდიში მოიხადა და წიგნი მორიდებულად დადო თაროზე; რუსთაველის პროსპექტს კი დაფიქრებული დაუყვა.

ოჳ, ღმერთო ჩემო, გონება გამინათდა. ეს ხომ ის ექიმია, ოთარის მკურნალი. უკან მივყევი, მორიდების გამო 10-15 ნაბიჯით ჩამოვრჩი, მერე გავუსწორდი, მოკრძალებით შევაჩერე და გამოვეცნაურე. სათვალე მოიხსნა, შემომხედა და მალევე გამიხსენა.

ნება-ნება სიარულში გამოვიკითხეთ ერთმანეთის ამბავი. ოთარის გარდაცვალება სინანულით გაიხსენა. იმ ავბედით დღეებში, როცა არც შუქი იყო, არც სინათლე და არც ტრანსპორტი ვა-

უა-ფშაველას გამზირის ბოლოდან მხოლოდ ერთხელ შევძელი მის პანაშვიდზე ფეხით მისვლაო.

თითქმის შეუმჩნევლად გაილია გზა და ქალაქის საკრებულოს შენობას მივუახლოვდით. იქვე, ლესელიძის ქუჩის დასაწყისში მყუდრო სახინკლე გამახსენდა და შევიპატიუე მორიდებით. მცირე ყოყმანის შემდეგ დამეთანხმა...

ასე რომ ერთ მაგიდასთან აღმოვჩნდით ჩვენ ორნი — საქართველოს ისტორიის გულანთებული ყოფილი პედაგოგი და სახელოვანი დასტაქარი — კაცი, ვინც სამართლიანობის აღდგენისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ შეურაცხადად მიიჩნია, მერე კი ხუთი წლით ციმბირში გადაასახლა. და თქვენი მონა-მორჩილი: საკავშირო სუკის მაღალჩინოსანი, სუკის „აღმასრულებელი ჩეკისტი“ (ასეთი საპატიო წოდებაც არსებობდა სუკში).

კათხა ლუდს მოჰყვა მეორე, ცოტა არყსაც შევეპარეთ. არა თრობისთვის, სულიერი განწყობის ასამაღლებლად, უბრალოდ გულახდილობისათვის. გავაგებინე, რომ ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდები, მისი მსმენოდა, კერძოდ ის, რაც თავს გადახდა... ჩემი საქმიანობაც აღარ დამიფარავს. ჩვენ შორის ცოტა ხნით უსიამო სიჩუმე ჩამოწვა. ვინანე კიდეც, ნეტა ჩემ შესახებ ხმა არ ამომელო-მეთქი. მეგონა, უნდობლობა გამოვიწვიე. წუთი საუკუნედ მომეჩვენა.

როგორც იყო დუმილი დაარღვია, თვალებში დაკვირვებით შემომხედა და მითხრა: — სუკში რომ მუშაობთ და თანაც მოსკოვში ხართ, დიდი ხანია ვი-

ციო, თქვენ შესახებ ოთართანაც მისაუბრიაო. მერე კი განეწყო ჩემდამი ნდობით და გულიც გადამიშალა. დაწვრილებით მომიყვა თავისი თავგადასავალი 1958 წლის სექტემბრიდან. თავგადასავალი მეტად დრამატული. — ...მთელი სექტემბრის განმავლობაში ბავშვები სულ მეკითხებოდნენ, თუ რატომ შეწყდა სკოლაში საქართველოს ისტორიის სწავლება. უნდა გითხრა, რომ ძალიან მიამიტი და გულუბრყვილო გადაწყვეტილება მივიღე განათლების სამინისტროს სათათბირო კარი რომ შევაღე. მეგონა მომისმენდნენ, ავუხსნიდი მინისტრს და კოლეგის წევრებს თუ როგორი მოწადინებულნი იყვნენ მოწაფეები სამშობლოს წარსული გულმოდგინედ ესწავლათ. ვიფიქრე, ესენიც ხომ ქართველები არიან-მეთქი... მაგრამ ვითარება თუ ასე დატრიალდებოდა, ვერ განვჭვრიტე. ჯერ მინისტრის მისალებში მომექცნენ უდიერად, მერე შევეცადე მისივე თანა-შემწისათვის ამეხსნა, რა მიზნით ვიყავი მისული. მხოლოდ უარი მივიღე და არაფერი სანუგეშო.

რაღას ვიზამდი. გამოვედი მისალებიდან, რამდენიმე წამით დათრგუნული კართან შევყოვნდი, არ ვიცოდი, რა გადაწყვეტილება მიმელო... და უცბად ჩამესმა მდივნისა და მინისტრის თანაშემწის ხითხითი და დამცინავი სიტყვები: — ვიუია ვიღაცაა, მეტი საქმე არა აქვსო. და თან დაამატა: — თუ კიდევ გამოჩნდეს აქ, მითხარი და მიღიციას გამოვუძახებო... არ მახსოვს როგორ მოვწყდი იქაურობას, დავეშვი მეორე სართულზე, ჰაერი, სუნთქვა მომინდა, ისე შემეკუმშა გული და აი სა-

ბედისწერო შემთხვევითობავ. მივიხედე მარჯვნივ და წავიკითხე წარწერა „კოლეგის დარბაზი“.

არ დამიჯერებთ, მაგრამ ახლაც ვიხსენებ და ვერ გამიხსენებია შემდეგი ჩემი ნაფიქრალი; გააზრებული თუ იმპულსური საქციელი, შევვარდი ამ კოლეგის დარბაზში, სადაც იმწამსვე შევამჩნიე თვითკმაყოფილთა საკრებულო — ყველა თავის საქმით იყო დაკავებული. ზოგი რებუსებს ხატავდა, ზოგი უაზროდ ჭერს შეჰყურებდა, ვიღაც მომხსენებელი კათედრაზე რაღაცას კითხულობდა...

რამდენიმე წამი სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა გაკვირვებული თვალებით მიყურებდა, დაბნეული მზერით — აქ რამ მოგიყვანა ან ვინ ხარო?

ბოლოს სიჩუმე დაარღვია დიდი ოვალური მაგიდის თავში მჯდომმა მინისტრმა ჯიბლაძემ ბრძანების კილოთი მომმართა: — აქ რას აკეთებთ, ყმაწვილოო?

— მე ყმაწვილი კი არა, საქართველოს ისტორიის პედაგოგი ვარ და მოვედი სამინისტროში, რათა გავიგო ვინ და რატომ აკრძალა სკოლებში საქართველოს ისტორიის სწავლება-მეთქი? აქ ახლა თათბირი გაგიმართავთ და ნება მომეცით, სიტყვით გამოვიდე-მეთქი.

თუმცა შევატყვე, რომ დარბაზში შეკრებულნი მე არავითარ სიტყვის წარმოთქმის საშუალებას არ მომცემდნენ... ამიტომ სასწრაფოდ დავიკავე თათბირის კათედრა და ვთქვი ის, რაც მიმაჩნდა, რომ უნდა მეთქვა...

დავამთავრე ჩემი გამოსვლა. მთელი სახე ალ-ში მქონდა მოდებული, მიუხედავად უხამსი შეძანილებისა, არცერთხელ არ შევჩერებულვარ — მე ვთქვი ჩემი სათქმელი.

აი, შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა...

ისევ რამდენიმე წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ალბათ შემდეგი ანალიზით მივხვდი, რომ ყველა მინისტრის რეაქციას ელოდებოდა...

მან მკაცრი, გამეხებული სახე მიიღო და შემომყვირა: — რას თავხედობთ, ამის უფლება ვინ მოგცათ, რომ თათბირზე შემოვარდით. როდის იყო, რიგით პედაგოგებს ახსნა-განმარტებებს ვაძლევდითო, ახლავე გაეთრიეთ დარბაზიდან, რომელ სკოლაში ასწავლით, ხვალე თქვენ და თქვენი დირექტორი მოხსნილი იქნებითო... მალევე სკოლის დირექტორი მართლაც მოხსნეს. რაკი ნახეს და დააფიქსირეს ე.ნ. კოლეგიის წევრებმა მინისტრის პოზიცია, კოლეგია აიშალა, რამდენიმე მამაკაცი ადგა გარს შემომეხვია, ხელებს მიქნევდნენ, რაღაცით აღშფოთებულები, ვატყობდი ყველა მათგანი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი გულმოდგინება გამოეჩინა. ერთმა თუ ორმა ხელების გადაგრეხაც დამიწყო. მესმოდა მხოლოდ შეურაცხმყოფელი სიტყვები: თავხედი, ხულიგანი, ეს რა პედაგოგიაო. გაეთრიე აქედანო. ვიღაცა ტელეფონსაც სწვდა, რომ სადღაც დაერეკა. ასეთი ვაკხანალია რამდენიმე წამს გაგრძელდა, ვერ გამეგო რა ხდებოდა. ვატყობდი, წონასწორობას ვკარგავდი, მაგრამ მაინც ვცადე, მშვიდად ამეხს-

ნა რასაც ვითხოვდი, მაგრამ სივრცეს აპობდა გაკერპებული მინისტრის ყვირილი: „**Вон отсюда, хулиган**“-ო, ამან სულ თავზარი დამცა. გავუსხლა-ტი ჩემს დამკავებლებს, მივიჭერი მინისტრის სავარძელთან. მახსოვს, ვლუდლულებდი, მომისმინეთ ბატონო, აუცილებლად მომისმინეთ-თქო.

ის მაინც გამუდმებით ყვიროდა: **Вон отсюда, хулиган.** მერე **падоноқ**-ო მიაყოლა, ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, ხელით ვწვდი წინ, მაგიდაზე შუშის მასიურ სამელნეს, რამდენიმე წამით ხელით ვატრიალე, სანამ მელანი არ გადამესხა პერანგზე, შევხედე მელანი მინისტრსაც შეესხურა, მის გვერდზე მჯდომსაც. არ ვიცოდი რა მექნა. ამ გაწევ-გამოწევაში მინისტრის სავარძლის უკან, შევამსხვრიე კედელს.

ჩემდა საბედნიეროდ, ასცდა „დიდი ლენინის“ დიდ შავ ჩარჩოში მოთავსებულ სურათს... როგორც გამომძიებელმა დაკითხვაზე ამიხსნა, ამ აცილებამ სასჯელი 4-5 წლით შემიმცირა, თორემ ათი წელი ციმბირიდან ვეღარ გამოვალნევდი.

ამ საბედისწერო პროტესტის მერე ბუნდოვნად მახსოვს ყველაფერი: მილიციის მანქანა, რამდენიმე საათის განმავლობაში განყოფილებაში ყოფნა. შემდეგ შავკოსტუმიანმა სამმა ახალგაზრდამ გადამიყვანა სადღაც, კვლავ დამკითხეს და მომათავსეს საკანში.

მთელი ამდენი ხნის განმავლობაში ხმა არ ამომიღია, დაკითხვაზე, როგორც მითხრეს, ადეკვატურ პასუხებს ვერ ვიძლეოდი. არ მახ-

სოვს, რამდენ ხანს მამყოფეს საკანში. თითქმის სამი დღე უგრძნობლად მეძინა. მოჰყავდათ ექი-მები, ისინი ადასტურებდნენ, ცოცხალი რომ ვი-ყავი, მაგრამ თურმე ვერავინ ამბობდა, გავიღვი-ძებდი თუ არა საერთოდ.

უფიქრიათ ჩემი საავადმყოფოში გადაყვანა, მაგრამ მესამე დღის მიწურულს გამეღვიძა.

მახსოვს, მთელ სხეულში სისუსტეს ვგრძნობ-დი. სახსრების საშინელ ტკივილს. არავითარი ფი-ზიკური ტრავმის ნიშანი არ მქონდა. გაოგნებული შევყურებდი ჭერს. თანდათანობით ვიხსენებდი, რაც შემემთხვა. სხვათა შორის ცხვირპირთან მუშტების მოღერება, ყვირილი, შეურაცხყოფა არაერთხელ დამსიზმრებია წლების შემდეგაც და საწოლიდან გულისხეთქებით წამოვმდგარვარ.

დაპატიმრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გა-მომიცხადეს სამედიცინო დაწესებულებაში უნდა გადაგიყვანოთო. ჯერ გიმკურნალებთ და მერე დაგვითხვავთ და გამოვიძიებთ შენს საქმესო.

ასე აღმოვჩნდი ერთ დღეს ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიულ კლინიკაში. ბატონ ავლიპ ზურა-ბაშვილის და მისი მოწაფეების გარემოცვაში. არ იქნება სწორი, რომ არ ვთქვა, ბატონი ავლიპი ჩქარა „გამოეთიშა“ ამ ჩემს შეურაცხადად გა-მოცხადების მიღების გადაწყვეტილებას. და ეს მისთვის ჩვეული არტისტიზმით მოახერხა...

დაახლოებით სამი-ოთხი კვირა გონებრივ და ფსიქოლოგიურ გამოკვლევებს მიტარებდნენ ფსიქიატრები. საბოლოოდ, საზეიმოდ გამო-

მიცხადეს, რომ შეურაცხადი არ ვიყავი. თუმცა ერთ-ერთმა ექიმმა თანაგრძნობით მითხრა: „რა უცნაური კაცი ხარ, იმისთვის, რაც შენ ჩაიდინე და დაგემართა, გიჯობდა სიგიჟე გაგეთამაშებინა. სასჯელს მაინც გადარჩებოდიო“.

მართალი გითხრათ, ვერ მივუხვდი თანაგრძნობას, ვერ ვიფიქრე, უფრო დიდი განსაცდელი თუ მელოდა.

დაიწყო გამოძიება, გამოსაძიებელი ჩემს „ისტორიაში“ რა იყო, ვერ გავიგე. ისედაც ყველაფერი ნათელი იყო, განსაკუთრებით გამაოცა ე.წ. კოლეგიის წევრების, მინისტრის თანაშემწის, მდივნის დაკითხვის ოქმებმა და სასამართლოზე მათმა გამოსვლამ. არ შეგაწუხებთ დეტალებით, მაგრამ ერთს გეტყვით, მათი გადმოცემით მე საშიში დამნაშავე ვყოფილვარ, ქვეყნის მოღალატე...

აგრეთვე დავიკითხე გამსახურდიას და კოსტავას საქმის გამოც; აინტერესებდათ, ხომ არ იყო ჩემი ასეთი „საქციელი“ ვინმეს მიერ ნაკარნახევი (თუნდაც ახალგაზრდა დისიდენტების მხარდასაჭერად).

გულახდილად მოვახსენე გამოძიებას, რომ საერთოდ არ ვიცნობდი არც კოსტავას და არც გამსახურდიას, ასაკობრივად და პედაგოგის სტატუსით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვყოფილიყავი მათი გავლენის ქვეშ. ისინი მაშინ 10-11 კლასის მონაფეები იყვნენ. მე კი 26 წლის გახლდით. გულახდილად ისიც ვუთხარი, რომ ჩემს მონაფეებთან ერთად 1956 წლის მარტში

ვიყავი სტალინის ძეგლთან სანაპიროზე, თუმცა დიდი აქტიური თანამგრძნობი 56 წლის მოვლენებისა არ ვყოფილვარ.

ერთი რამ მინდა აღვნიშნო, ძალიან გამაკვირვა სუკის გამომძიებლების კორექტულობამ და მშვიდი საუბრის კილომ; შინაგანად თითქმის ვეცოდებოდი, ერთმა კი ქარის წისქვილის ბორბლებთან შეჭიდებულ დონ კიხოტს შემადარა.

ისე კაცმა რომ თქვა, ის გამომძიებელი სიმართლესთან ახლოს იდგა. ჩემი საწყალი მშობლები და მეუღლე ცდილობდნენ ადვოკატის დახმარებით ბრალდების შემსუბუქებას, წარდგენილი მქონდა 58 ბ მუხლი „ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა“, რაც პოლიტიკური სასჯელის გამოტანას ითვალისწინებდა 5-7 წლამდე.

ადვოკატი შევიდა შუამდგომლობით, რომ ეს მუხლი შეეცვალათ ხულიგნობის მუხლით, თუნდაც სიცოცხლის მცირედი, მაგრამ არა საშიში დაზიანებით, მელანი ხომ გადაესხათ და დაზიანდა კედელიც. მაგრამ მის ამგვარ მოწადინებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ეს საქმე უკვე იცოდა მოსკოვის სუკმა და ურჩი პედაგოგის საჩვენებელი დასჯა იყო გადაწყვეტილი.

შემდეგ დანიშნეს განმეორებითი სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელმაც იგივე დასკვნა გამოიტანა იმის შესახებ, რომ მე ფსიქიატრიულად შეურაცხადი პიროვნება არ გახლდით, მაგრამ ეს ე.ნ. სამედიცინო „გამოკვლევები“ და „მკურნალობა“ დროში ისე ძლიერ გაწე-

ლეს, რომ ფსიქიატრიულ დისპანსერში თითქმის ორწელიწადნახევარი გამატარებინეს, შემდეგ კი მოხდა საოცარი რამ, გამანთავისუფლეს.

როგორც ეტყობა, საბჭოთა წყობილებას არ აწყობდა ამ ერთეული და მისი აზრით, უცნაური ანტისაბჭოთა „გამოხტომის“ გამომზეურება-გა-საჯაროება. ეტყობა, ეს მათ უფრო დიდი პრობლემებს შეუქმნიდა.

ერთი დიდი დილემის წინაშე მაინც აღმოვჩნდი. სკოლაში დაბრუნებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. სასჯელის მოხდის შემდეგ აკრძალული მქონდა სასწავლო დაწესებულებაში მუშაობა.

მართალი გითხრათ, არც მე მომდომებია სკოლაში მუშაობა. დიდი გულგატეხილობისა და სიმარტოვის გრძნობა დამეუფლა.

ერთი სიტყვით, დავუბრუნდი პირველ პროფესიას და თავიდან დავიწყე ცხოვრება.

მშობლებისა და მეულლის მხარდაჭერა რომ არა, რა თქმა უნდა, მე ამას ვერ შევძლებდი. ასე რომ 1969 წლიდან ვმუშაობდი ქირურგად. გავე-დი პენსიაზე და მოვიპოვე სიმშვიდე შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში.

ახლა რაც თქვენ მოგიყევით, ამის შესახებ არავისთვის არაფერი მითქვამს. შვილებთან ხომ არაფრისდიდებით ვისაუბრებდი, შიშის გამო, შურისმაძიებელნი არ გაზრდილიყვნენ. ასე მგონია, ერთი ოჯახისთვის საკმარისი იყო, რაც მე გადავიტანე ციმბირში და გადასახელებებში — სიცივე, შიმშილი და შეურაცხყოფა...“

ყვებოდა რა ექიმი თავის თავგადასავალს, მთელი იმ ხნის განმავლობაში ჩუმად და ყურადღებით ვუსმენდი. ბოლოს მადლობა გადავუხადე ნდობისათვის და იმ პატივისათვის, რომ მენდო და მომითხრო ყოველივე. ეს მისთვის არ იყო ადვილი, ტრაგიკული წარსულის გახსენება ხომ ხანშიშესული ადამიანის ჯანმრთელობისთვის მეტად საშიშია.

გამომშვიდობებისას თითქოს ტვირთი მოეხსნაო, აქეთ გადამიხადა მადლობა: — თქვენი გულისხმიერებით შვება მომანიჭეთ, ბოლოსდაბოლოს ერთ კაცს ხომ მაინც გადაგიშალეთ გულიო. — იმაზეც მომიბოდიშა, დეტალურად და გამოწვლილვით რომ ვერ აღიდგინა წარსული: — წლებმა თავისი ქნა, მეხსიერებაში ბევრი რამ გაფერმკრთალდა და დავიწყებას მიეცაო... სიცოცხლის ბოლომდე სინანულში ვიქნები, რადგან დიდი სულიერი ტკივილები მივაყენე ოჯახს — მეუღლეს, მშობლებს...

დედაჩემმა ვერ გაუძლო ჩემი დაპატიმრებით გამოწვეულ მწუხარებას და ინფარქტით გარდაიცვალა ციმბირში გადასახლებული რომ ვიყავი...

და მაინც, გულის სიღრმეში არასოდეს მინანია ჩემი საქციელი და არც მოგვიანებით გამომიდვია თავი, დისიდენტობის გამო პრივილეგიები მომეთხოვა. უპრალოდ ჩემთვის ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც იმავეს ვფიქრობ — მესხვანაირად არ შემეძლო!!!

პოლიტიკაში აღარ გავრეულვარ, ვცხოვრობდი ჩემი სამსახურით, ოჯახით, შვილებით, ამხანაგ-მეგობრებით შემექმნა სასურველი გარემო...

ვუთანაგრძნობდი ეროვნულ-გამათავისუფ-ლებელ მოძრაობის ლიდერებს ზვიად გამსახურ-დიას და მერაბ კოსტავას, თუმცა მათ არასოდეს დავახლოვებივარ. ან როგორ უნდა შემეხსენები-ნა, მე სწორედ ისა ვარ, ჯერ კიდევ 1958 წელს რომ ავიმაღლე ხმა კომუნისტური უსამართლობის წი-ნაშე-მეთქი. ეს თუ არ გავაკეთე საბჭოთა წყობის დროს, როცა ეს ორი ეროვნული მოღვაწე დევნი-ლი დისიდენტები იყვნენ, მით უმეტეს აღარ მომი-ნადინებია 1990 წელს, როცა ზვიად გამსახურდია ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. მიტინგებს არ ვაც-დენდი, ვიდექი ახალგაზრდებთან ერთად 1978 წლის აპრილშიც, ქართული ენის სახელმწიფოებ-რივი სტატუსის შესანარჩუნებლად. გული სიამა-ყით მევსებოდა ხოლმე და მეგონა, მეც თანამონა-ნილე ვიყავი იმ პროცესებისა. თანაც პარალელს ვავლებდი ოცი წლის წინანდელ მოვლენებთან.

...მაშინ მაინც სულ სხვა დრო იდგა, მართა-ლია სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, მისი პიროვნება ანათემას მიცემული, მაგრამ მის მი-ერ შექმნილი საბჭოთა იმპერია ოდნავადაც არ ფიქრობდა მისი იდეოლოგიიდან გადახვევას. ხალხის ცნობიერებას ჯერ კიდევ მძიმედ აწვა 1937 წლის რეპრესიების დამთრგუნველობა, იმ შორეულ 1958 წელს რეპრესირებულთა ყმაწვი-ლი შვილები ამას ვერ გაბედავდნენ, ხოლო 1978 წელს მთავრობის სახლის წინ ქართული ენის და-საცავად გამოვიდა ახალი თაობა, სულ სხვა ეროვნული თვისებები რომ გამოავლინა. თანაც

საბჭოთა იმპერიაც ისე ჩაეფლო სიცრუის პრო-პაგანდის მორევში, მისი დასასრულის ნიშნებიც გამოიკვეთა და სულ რაღაც 10-11 წელიწადში მომწიფდა 1989 წლის 9 აპრილი, რასაც ორ წე-ლიწადში საბჭოთა იმპერიის მსხვრევა მოჰყვა.

ვიმეორებ, არ ვნანობ ჩემ წარსულ ცხოვრე-ბას, ეგ კი არა, ყველა ჩემ მწვალებელს პატიმრო-ბის წლებში რაც დამმართეს, ვაპატიე. ერთი-ორი მიცვნია საოპერაციო მაგიდაზეც, როცა სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვზე ეკიდნენ...

ჩვენ შორის სიჩუმემ დაისადგურა. ალბათ იმი-ტომაც, რომ ბატონმა ნიკოლოზმა გული გადამი-შალა — სუკის მაღალჩინოსანს. გულახდილობა მეც მომეძალა და მივუგე: — რაც თქვენ მოყევით, რა თქმა უნდა, დაწვრილებით არ ვიცოდი, მაგრამ გაგიმხელთ: როცა საქართველოში ვმუშაობდი, ვხელმძღვანელობდი ზუსტად იმ სამსახურს, რო-მელსაც ევალებოდა ნაციონალისტურად განწყო-ბილ მოქალაქეებზე აგენტურულ-ოპერატიული დაკვირვება. იმასაც მოგახსენებთ, რომ დაახლოე-ბით 1970 წელს თქვენზე წარმოებული ე.ნ. „დაკ-ვირვების“ საქმე არქივს ჩავაბარეთ, რადგან წლე-ბის განმავლობაში მთელი სიცხადით გამოიკვეთა, რომ თქვენ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, არავი-თარ ნაციონალისტურ ან ანტისაბჭოთა ქმედებას არ ეწეოდით, ამიტომ გადაწყდა, თქვენზე მუდმი-ვი ზედამხედველობა შეჩერებულიყო და მხოლოდ პერიოდული დაკვირვებით შემოვთარგლულიყა-ვით, რაც ხერხდებოდა იმ აგენტურის საშუალე-

ბით, რომლებიც იყვნენ სამედიცინო სფეროში და კერძოდ იმ კლინიკაში, სადაც მუშაობდით...

ესეც გულახდილობისთვის.

შეიცვალა დრო, დაიშალა საბჭოეთი და ამ ხალხმა გაიხსენა რა თავისი „ანტისაბჭოთა“ წარსული და თურმე ნუ იტყვით, მათი დიდი დამსახურება ნაციონალურ-ეროვნულ მოძრაობაში, ახლა უკვე მოინდომეს მათ ამ „წარსულის“ გამომზეურება, რათა ხალხისთვის გაეცნოთ „საგმირო“ ანტისაბჭოთა მოღვაწეობა ბოლშევიკების მართვის დროს.

მართალი გითხრათ, ეს მოთხოვნები ჩემი ფსიქოლოგიური განწყობისათვის ამაზრზენი იყო. მახსენებდა ცნობილი იგავ-არაკი ქამელეონის შესახებ, — მეც ვპასუხობდი მშვიდად და წყნარად: — კი ბატონო, მეც მახსოვს თქვენი „ანტისაბჭოთა არალეგალური მოღვაწეობა“. ამაზე რა თქმა უნდა დავწერ, მაგრამ სურათი მთლიანად არ იქნება სრული თუ იმაზეც არ დავწერ, რომ არავითარი რეპრესიული ზომები არ მიგვიღია. წიგნები ჩავიბარეთ, თქვენი აღსარებითი ჩვენება მივიღეთ და ამით მრავალ უსიამოვნებას გადაურჩით-მეთქი.

ახლა კი თქვენთვის მომინდვია, რომ წარმოიდგინოთ მათი განცვიფრებული სახეები და ალბათ ჩემდამი ზიზლი, რომელიც მათ თვალებში იკითხებოდა.

...ხოლო როცა მე ვთხოვე ბატონ ნიკოლოზ სამხარაძეს ნება დაერთო მისი თავგადასავალი პრესის საშუალებით გამეხმაურებინა, ჩვეული სიდინჯით ამიხსნა: — ბატონო ჯემალ, არ არის

საჭირო, არც მაშინ გახმაურებულა ეს ამბავი და არც ახლა ახსოვს ალბათ ვინმეს. ამდენი ხნის შემდეგ არამეტყველი იყოს. მითუმეტეს ჩემს სიცოცხლეშიო...

სამწუხაროდ, ნიკოლოზ სამხარაძე კარგა ხანია გარდაიცვალა, მე კვლავ არ გახლდით საქართველოში და ვერ გავაცილე იგი უკანასკნელ გზაზე... თბილისში დაბრუნება რამდენიმე წელი ვეღარ მომიხერხდა. ამიტომაც ვეღარ მივაკვლიე მის საფლავს... ვერაფერი შევიტყვე მისი ოჯახის, შთამომავალთა შესახებაც...

უმორჩილესად ვითხოვ ყოველი მკითხველი-საგან, თუკი რაიმე გსმენიათ ამ ღირსეული პიროვნებისა და ჩინებული დასტაქრის შესახებ, ეგებ გამომეხმაუროთ. ინტერნეტი ამის შესაძლებლობას იძლევა. იქნებ თქვენ განავრცოთ ჩემი მნირი მონაყოლი უჩინარი გმირის შესახებ.

დაე, იცნობდეს მომავალი თაობა ნიკოლოზ სამხარაძეს, ვინც თავისი უკომპრომისო ქმედებითა და პატრიოტული შემართებით დავიწყებისთვის გასამეტებელი არ არის.

სუკის მიერ ნიკოლოზ სამხარაძის ბინის ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ლექსი, დაწერილი 1952 წლის იანვარში. ჩხრეკის დროს ამოულიათ მისი ე.ნ. დღიურები, საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიური ჩანაწერები და აგრეთვე მისი ლექსების ხელნაწერი კრებული, და სხვა მისი ანტისაბჭოთა ქმედების დამამტკიცებელი საბუთები...

სად არის ახლა ეს ე.წ. ნიკოლოზ სამხარაძის ბინის ჩხრევის არის ამოღებული მასალები არავინ იცის. არ არსებობს მისი საგამომძიებლო საქმე და მისი ამ საქმის დანართი. ე.ი. ამოღებული არქივი. ჩვენი ვარაუდით, იგი ალბათ ცეცხლმა შთანთქა ე.წ. სამოქალაქო ომის დროს, როდესაც დაიწვა სუკის შენობა და მისი არქივის უმეტესი ნაწილი.

როგორ გადაურჩა ეს ლექსის სუკის რეპრესიას არ ვიცი... ინტერნეტში მოვიძიე...

## ახალი წელი

დადგა ახალი წელი,  
სისხლიანი და მეტად ძნელი  
ხალხის ტანჯვის კვლავ ერთი წელი  
შავ-ბნელი, მკვლელი და მეტად ძნელი,  
რა გიხარია, რას ეტრფი მონავ  
რა მოგიტანა ახალმა წელმა?!  
ტანჯვა-წამება კვლავ გაგიგრძელა  
და მტერს მიეცა, შვება და ლხენა,  
რადგან შენ მონავ, მონობას ეტრფი,  
ვერ გაგიგია, მწარე ვაება...  
ტაშს რომ უკრავენ ლხინი გგონია,  
ლხინი მტრების, შენი კი გვემა  
მონა იქნები სანამ ტაშს უკრავ,  
ვერ გაგიგია ვინ არის მტერი.  
„თავისუფლება“, „ძმობა“, „ერთობა“  
თვალის ახვევის ძველი ფარსია.  
იფხიზლე მონავ, აღსდექი მკერდით  
და დაამსხვრიე ბორკილი ბნელი.

თავისუფლებას მაშინ იხილავ,  
როცა იქნები ბედის მქედელი...  
აღდექი მონავ, დაარტყი ურო,  
გასჭედე ხმალი — ბასრი და მჭრელი.  
ისე დაარტყი და მოიქნიე  
არსად არ დარჩეს სინსილა მტერის  
მაშინ იქნება ლხინი მშრომელის  
წელი ახალი — მრავალი ერის.

იანვარი 1952 წ.

**P.S.** ვისაც კი წავაკითხე ნიკოლოზ სამხარაძის ეს ლექსი, თითქმის ყველამ დაუწუნა ავტორს პოეზიის (ლექსის) წყობის სტილი, რითმი და მრავალი სხვა წუნი იპოვეს სიტყვათა და აზრთა გადმოცემის სტილში.

პირადად მე არც დავთანხმებულვარ და არც მიუარყვია მათი შენიშვნები... და საერთოდაც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ლექსი დაწერილი 1952 წლის საახალწლო დღეებში, ჩემთვის საინტერესო უფრო იმით იყო, თუ როგორ ფიქრობდა და რაზე ფიქრობდა, გავიმეორებ 1952 წელს (ჯერ კიდევ სტალინის გარდაცვალებამდე წელიწადნახევრის წინ) ნიკოლოზ სამხარაძე...

მხოლოდ თავისი სამშობლოს გულანთებულ პატრიოტს შეეძლო ასე აზროვნება და შემდეგ ლექსად გამოეხატა ნააზრევი. ესეც თავისებური გმირობაა, ასეთი ლექსი შეინახო (შეიძლება ვიღაცას წააკითხო). არ დაგავიწყდეთ, ეს არის 1952 წელი — სტალინის შავბნელი რეპრესიების აპოთეოზის წელი...



## ვალიკო უვანიას გაცემება

არ ვიცი, რა გრძნობა ეუფლებათ ავტორებს, როცა გადაფურცლავენ რამდენიმე წლის წინათ დაწერილ წიგნს, უნდა ვივარაუდოთ მხოლოდ ის, რომ ყველა ადამიანი ინდივიდია, განსხვავებულია თავისი ფსიქიკითა და გონებრივი პოტენციალით და ალბათ სხვადასხვანაირად აღიქვამენ და შეაფასებენ გარდასულს. არ ვიცი, რამდენად ემთხვევა ჩემი გრძნობა სხვა ავტორებისას, პირადად კი ხანდახან მგონია, ის, რაც ჩემს წიგნში წერია, ჩემი შექმნილი არ არის-მეთქი. ხანდახან მიკვირს ამა თუ იმ დასკვნის თუ ეპიზოდის მაშინდელი გააზრება, ისიც მიკვირს, იმ დროს, იმ დიდი უარყოფითი ემოციების გადატანისას, როგორ შევძელი მომეკრიფა ძალა, რათა ამაზე მეფიქრა. ალბათ მაინც იდუმალი შეგონებით, რომ მე ეს უნდა დამეწერა. აკი შევპირდი სიცოცხლეში ჩემს შვილს და მისი გარდაცვალების შემდეგ მაინც შევუსრულო დანაპირები....

ღმერთმა მომცა ძალა და სიმხნევე, რომ ეს  
გამეკეთებინა... ახლა? ახლა ის, რაც მაშინ ერთი  
ამოსუნთქვით შევძელი, ახლა ალბათ თვეობით  
ან წლობით გაიჭიმებოდა, გამოვიდოდა სულ  
სხვა წიგნი, სხვა აზრითა და დასკვნებით შეკრუ-

ლი, რომელსაც ალბათ არაფერი ექნებოდა საერთო წიგნთან „შავი სათვალე ეკეთა“ (2007 წელი).

ზუსტად ასეთი აზრები დამებადა 2013 წლის ნოემბერში, როცა გადავშალე და გადავათვალიერე ეს წიგნი. გამაოცა ერთმა ფაქტმა; ჩემი ძმის მეგობრისა და თანაკლასელის ვალიკო უვანიას არაორდინარული პიროვნების გარკვეული ფსიქოლოგიური თუ ბიოგრაფიული პორტრეტის გაშუქებისას (არ ვიცი, რატომ? ვერც ვიტყვი როგორ?) გამომრჩაორი მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ მომეთხრო.

ვალიკო უვანიას დაპატიმრებამდე და დაპატიმრების შემდეგ საქართველოს უშიშროების კომიტეტში, სადაც მე იმხანად (1976 წ.) ვმუშაობდი, მის მიერ მოწყობილმა ტერაქტებმა ქუთაისში, სოხუმსა და თბილისში დიდი შეშფოთება და აჟიოტაჟი გამოიწვია და არამარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საბჭოთა წყობისათვის ეს ათწლეული ასე თუ ისე „სიმშვიდის“ და გარკვეული „სტაბილურობის“ ხანა გახლდათ.

მანამდე, სულ რაღაც ერთი წლით ადრე, 1975 წელს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა დიდ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ისტორიაში „ჰელსინკის დეკლარაციის“ სახელით შევიდა. ეს იყო — მაშინდელი გაგებით — დიდი დემოკრატიული ძვრების ვითომდა მაუწყებელი, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კომუნისტური ბლოკის ქვეყნებისათვის; ხელი კი მოაწერეს საბჭოთა ლიდერებ-

მა (კერძოდ ლეონიდ ბრეუნევმა) ხელშეკრულების დეკლარაციას, მაგრამ მათი შესრულებისათვის თავი აღარ შეუწევებიათ და, შეიძლება ითქვას, არცერთი რეალური ნაბიჯი არ გადაუდგამთ. კომუნისტური ბლოკის, კერძოდ საბჭოთა კავშირის დისიდენტებმა ჰელსინკის ხელშეკრულების დემოკრატიული მიმართულების პუნქტები მოქმედების დროშად ააფრიალეს. შეიქმნა ამ დეკლარაციის ცხოვრებაში გატარებისათვის პატარ-პატარა, დისიდენტური ჯგუფები მოსკოვში აკადემიკოს სახაროვის, მისი მეუღლის ბონერას, ორლოვის, გინზბურგის და სხვათა ორგანიზაციები. საქართველოში კი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ჰელსინკის ჯგუფი.

ისინი გარკვეულ პოლიტიკურ პრობლემებს შეუქმნიან საბჭოთა და კომუნისტური ბლოკის უშიშროების ორგანოებს, რისთვისაც ზოგს დააპატიმრებენ (გამსახურდია, კოსტავა, ორლოვი...), ზოგსაც გაასახლებენ საბჭოთა კავშირიდან (მწერალი აქსიონოვი, პოეტი იოსიფ ბროდსკი).

გაზაფხულის მომასწავებელი მაინც პირველი მერცხლის მოსვლაა და ასეთ პირველ გამაფრთხილებელ ზალპად იქუჩა მაშინ 1976 წლის გაზაფხულზე ვალიკო უვანიას ტერაქტებმა და ისიც „საქართველოს გამათავისუფლებელი ორგანიზაციის“ სახელით.

როგორც ადრე მოგახსენეთ, საქართველოს უშიშროების ორგანოების მთელი შემადგენლობა მობილიზებული იყო ამ საქმის გასახსნელად, სპე-

ციალური დავალებები ჰქონდათ მიცემული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს, მოსკოვიდან მოავლინეს რამდენიმე ათეული „გამოცდილი“ ოპერატიული მუშაკი საქართველოს სუკის დასახმარებლად და მთელი ეშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამხედრო კონტრდაზვერვა და დაზვერვა ე.ნ. ბპუ და ქ პ მათი აგენტურა ჩაერთო ამ მასშტაბურ სამძებრო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ აკი ორი თვის ვადა დააწესა ამ ტერაქტის საქმის გახსნისათვის...

და ეს ყველაფერი ხდებოდა იმხანად, როდე-საც საბჭოთა უშიშროებამ დიდი სამძებრო მუშაობის შემდეგ გახსნა მოსკოვის მეტროში ტერორისტული აფეთქების საქმე, რომელიც სომეხმანაციონალისტებმა სტეფანე ზატიკიანმა, აკოფ სტეპანიანმა და ბ. ბაგდასარიანმა ჩაიდინეს და რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

უშიშროების ხელმძღვანელობის აზრით, ტერორიზმის ეპიცენტრმა ამიერკავკასიაში გადმოინაცვლა, რისი დამადასტურებელიც იყო ვალიკო უვანიას შემდეგ სომეხ ნაციონალისტთა მიერ სულ რაღაც წელიწად-ნახევარში მოსკოვში მოწყობილი სამი ტერაქტი. ამ სომეხმა ნაციონალისტებმა შექმნეს „სომეხი ხალხის გაერთიანებული ნაციონალური პარტია“, რომლის სახელითაც მოქმედებდნენ.

მათ „ძვირფასი“ საჩუქარი მიუძღვნეს საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეუნევს, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად.

ყველა პერიპეტიის მოყოლა ამ ტერაქტებისა საჭიროდ არ მიმაჩნია, ერთს კი მოგახსენებთ, რომ გარკვეულწილად მათ სამძებრო საქმიანობაში ჩართული იყო მთელი საკავშირო ძალოვანი სტრუქტურები და მათ შორის ქუთაისის სუკ-ის განყოფილებაც, რომლის უფროსიც იმ წლებში მე გახლდით.

თითქმის ყოველკვირა იგზავნებოდა საკავშირო უშიშროების ინსტრუქციები ახალი ინფორმაციით... ყველა ტერაქტი განხორციელებული გახლდათ ერთი და იმავე ასაფეთქებელი მოწყობილობით, რომელიც განთავსებული იყო თუჯის ოვალურ ქვაბში „**УТЯТИНИЦАМИ**“, ყველა ასაფეთქებელი ნივთიერების ანალიზი ერთმანეთს ემთხვეოდა. ყველა ასაფეთქებელი მოწყობილობა განთავსებული იყო ერთი და იმავე წარმოების სამგზავრო ზურგჩანთაში. ამ ნივთების მნარმოებლების დადგენამ და მათი სავაჭრო გავრცელების არენამ მაძიებლები ამიერკავკასიაში მიიყვანა. კერძოდ, ერევანში. ერთი წლის სამძებრო საქმის წარმოების შედეგად ისინი დააპატიმრეს მატარებელში „**მოსკოვი-ერევანი**“.

1979 წლის 20 იანვარს საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ სამივე სომებ წაციონალისტს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

აღსანიშნავია, რომ ზატიკიანმა, ბაგდასაროვმა და სტეფანიანმა თავი დამნაშავედ არ სცნეს, სასამართლოზე თავი დამაჯერებლად ეჭირათ, კერძოდ, ზატიკიანმა სასამართლოზე თქვა:

„...მე არაერთხელ განვუცხადე თქვენ სასამართლო შემადგენლობას, რომ თქვენ მოსამარ-

თლეები კი არა, ჯალათები ხართ. მე არ მჭირდება თქვენი მონები-ადვოკატები. დაიმახსოვრეთ, მე ამ სასამართლოზე ეჭვმიტანილი დამნაშავე კი არა ვარ, მე თვითონ გახლავართ თქვენი და თქვენი კრიმინალური სისტემის ბრალმდებელი. თქვენ არა გაქვთ უფლებამოსილება ჩემი და ჩემი თანამებრძოლების გასამართლებისა, რადგანაც ხართ ებრაელ-მასონთა იმპერიის მოხელეები. ეს თქვენ ყოველთვის უნდა გახსოვდეთ“.

უკანასკნელი წინადადება ზატიკიანმა სომხურად წარმოთქვა:

„...დაიმახსოვრეთ, ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ შურისძიება, შურისძიება და კიდევ ერთხელ შურისძიება — და ეს შურისძიება თქვენთანაც მოვა“.

1988 წლის 3 ივლისიდან 6 თვით ვიმყოფებოდი უზბეკეთში, ქ. ფერგანაში, სადაც 3-9 ივლისის განმავლობაში მოხდა სისხლიანი ვანდალური აქტი — ადგილობრივმა მოსახლეობამ მოაწყო მაჰმადიანი მესხების გენოციდი. დაიღუპა რამდენიმე ასეული ადამიანი. ჩვენს საგამომძიებლო ბრიგადაში (თითქმის 100-120 კაცი, უშიშროების, პროკურატურის, მილიციის მუშაკები-საგან შემდგარი), 3 ივნისს ფერგანაში რომ გაემგზავრა, იმყოფებოდა ზატიკიანისა და მის თანამებრძოლთა საგამომძიებლო ჯგუფის უფროსი, 1988 წელს უკვე პოლკოვნიკი (ლენინის ორდენის კავალერი) საკავშირო უშიშროების კომიტეტის საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე არკადი იაროვონ.

ფერგანაში მეგობრებმა ორჯერ თუ სამჯერ თბილისიდან ე.წ. ქართული პურმარილი გამომიგზავნეს. ჩემს სტუმართა შორის, რომლებიც ამ პურმარილზე მივიწვიე, იყო ეს ამხანაგიც, რომელიც არათუ მაღავდა ზატიკიანის საქმის გამოძიებას, არამედ თავისი პროფესიონალიზმით ამაყობდა კიდეც. და თუკი შესაძლებლობა მიეცემოდა, გვიყვებოდა ამ საქმის ცალკეულ ეპიზოდებს. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ეს სიტყვები:

„....ასეთი ხისტი, ნაციონალურად განწყობილი ხალხი არ შემხვედრია, პირდაპირ ფანატიკოსების შთაბეჭდილებას ტოვებენ, განსაკუთრებით კი მათი ხელმძღვანელი ზატიკიანი. ისინი იმდენად ანტისაბჭოთა ელემენტები არ იყვნენ, რამდენადაც სომეხ სეპარატისტთა რადიკალური შტოს წარმომადგენლები...“

ჩემთან ერთ-ერთ გულახდილ და პირისპირ საუბარში გაიხსენა, თქვენი თბილისელი ტერორისტი ვალიკო უვანია მათთან შედარებით, როგორც ვიცი, უფრო მშვიდი, განონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდაო. ერთი საერთო, რაც მათ ჰქონდათ, ალბათ სეპარატიზმი იყოო.

შედარებისათვის მეც გავიხსენე და იაროვოის მოვუყევი, თუ რა თქვა ვალიკო უვანიამ თავის საბოლოო სიტყვაში:

„....მე ვარ და ყოველთვის ვიქნები საბჭოთა იმპერიის მტერი, ჩემი ხალხის უზურპატორების მტერი. არავითარ შეწყალებას თქვენგან არ მოვითხოვ, თუკი სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, პი-

რობას გაძლევთ, ყოველთვის დავრჩები ის, რაც დღეს ვარ“.

ეტყობა, გარკვეულწილად სიცოცხლეც მოწყენილი ჰქონდა და ამ სიტყვებით თვითონ გამოიტანა თავისი თავის განაჩენი. მას უბრალოდ, სიცოცხლეც მობეზრდა...

როგორც ვიცი, ღვთისმოსავი კაცი იყო და განიცდიდა, მის ქმედებას ადამიანის სიკვდილი რომ მოჰყვა.

გავაანალიზოთ მისი ცხოვრების ეტაპები და მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ:

დაიბადა 1937 წელს, 1938 წელს მამამისი, ქართული დივიზიის მეთაურის მოადგილე, დააპატიმრეს და დახვრიტეს... მე-8 კლასში სკოლა მიატოვა, რამდენჯერმე დააკავა მილიციამ მოსწავლე უვანია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში არალეგალური ხეტიალისათვის (ხარკოვი, ხაბაროვსკი, მურმანსკი და სხვა). 1957 წელს თურქეთ-სსსრ-ის საზღვარზე დააკავეს, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისათვის. სიმულირებდა შეურაცხადობას, მიუსაჯეს სულ 3 წელი. გადაასახლეს ციმბირში. 4-5-ჯერ სცადა გაქცევა, რისთვისაც ყოველთვის უმატებდნენ პატიმრობის ვადას. სულ პატიმრობასა და გადაასახლებაში დაჰყო 14-15 წელი. ჩამოვიდა და დარჩა უსახლკარო, ცარიელ-ტარიელი. არასოდეს ჰქონია საკუთარი ოჯახი, თბილი ბინა, თბილი ტანსაცმელი. არ განუცდია ალბათ სიყვარულის გრძნობაც.

ადრეც მოგახსენეთ, რომ ერთადერთი მისი გულშემატკივარი და პატრონი გახლდათ მისი და, ისიც უპოვარი, რომელმაც შეიკედლა ძმა...

ახლა თვითონვე განსაჯეთ, ასეთ ადამიანს რა ცხოვრების სიხარული და წყურვილი უნდა შერჩენოდა?

და ამიტომაც...

ახლა, როცა მალე 25 წელი გავა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ ზოგიერთ პიროვნებას, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს საქართველოში (და მთლიანად საბჭოთა კავშირში) კომუნისტური რეჟიმის დამხობისათვის, ან ყოველ შემთხვევაში — მისი შერყევისათვის. მე პირადად კარგად მახსოვს, თუ როგორ დაშინდა კომუნისტური რეჟიმი ვალიკო უვანიას „ტერაქტებით“. მაშინდელ საბჭოთა კავშირში სამ ფაქტს ჰქონდა დიდი გამოახილი კრემლის და ლუბიანკის კორიდორებში:

1. კრემლის ბოროვიცკის კარებთან ტერაქტს, როდესაც მიღლიციის ფორმაში გამოწყობილმა ლენინგრადელმა უმცროსმა ლეიტენანტმა მაკაროვის ორი პისტოლეტით დაცხრილა მთავრობის მანქანა, სადაც მისი აზრით გენერალური მდივანი ბრეუნევი უნდა მჯდარიყო. ლ. ბრეუნევის მაგივრად ამ ტერაქტს შეეწირა უდანაშაულო მძღოლი, კოსმონავტი ლეონოვი კი დაიჭრა.

2. სომეხი ნაციონალისტის მიერ მოსკოვის მეტროში განხორციელებული ტერაქტი (რომელსაც რამდენიმე ათეული ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა).

ამ მეორე შემთხვევას წინ უსწრებდა ვალიკო უვანიას მიერ ჩადენილი სამი ტერორისტული აქტი საქართველოში (სოხუმში, ქუთაისში და თბილისში — მაშინდელი მთავრობის სასახლის ცენტრალური ფასადის მარჯვენა კიბეებთან, სადაც შემდეგ 1989 აპრილის მიზინგები იმართებოდა. მაშინ იქ მოთავსებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის რეზიდენცია).

ამ აფეთქებებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია საბჭოთა მთავრობაში. მოსკოვიდან მოავლინეს თითქმის 50 ოფიცერი, რათა საქართველოს უშიშროებას საქმის გამოძიებაში დახმარებოდნენ. საუბედუროდ, აფეთქებას სოხუმის სანაპიროზე (აფეთქდა ნაგვის ურნაში მოთავსებული ხელთნაკეთი ბომბი) მსხვერპლი მოჰყვა. დაიჭრნენ და დასახიჩრდნენ შემთხვევის ადგილზე იმ მომენტში მოხვედრილი რუსი ეროვნების დამსვენებლები — ცოლ-ქმარი.

დაიწყო რაღაც არაჩვეულებრივი ვაკხანალია. ტერორისტს ეძებდნენ არა მარტო საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის უშიშროების და შინაგან საქმეთა სამსახურის მუშაკები. შეიქმნა ოპერატიული შტაბი, სადაც გროვდებოდა მთელი მოპოვებული მასალა, მთელი ძალები მობილიზებული იყო ტერაქტების გახსნისათვის. ე. შევარდნაძე განრისხდა. ალ. ინაურს სხვა არაფერი აინტერესებდა. წარმომიდგენია, რა ზეწოლას

განიცდიდნენ ისინი მოსკოვიდან, ვინაიდან ყოველივე ეს კარგად გავაანალიზე შემდეგში — კაგებეს ცენტრალურ აპარატში მუშაობის დროს.

რამდენადაც ვიცი, რამდენიმე თვის გამოძიებამ შედეგი არ მოიტანა. ერთ-ერთ თათბირზე თავმჯდომარე აღ. ინაურმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ გამოძიების დამთავრებისთვის სულ რაღაც ორი თვე გამოჰყო(?!).

საქმე კი საკმაოდ ბანალურად გაიხსნა: დაახლოებით სამი-ოთხი თვის შემდეგ, რაც ტერაქტები განხორციელდა, ზოგიერთმა ე.წ. „ცეხავიკმა“ (წაიკითხე — მდიდარმა) მოისმინა სატელეფონო ზარი მუქარით — ე.წ. „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წარმომადგენლისაგან. საუბარი იყო იმის შესახებ, რომ აფეთქებები ჩაიდინა „საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ და მას სჭირდება დაფინანსება თავისი წარმატებული მუშაობისათვის ეროვნული დამოუკიდებლობის მისაღწევად და ა.შ. ზოგიერთ ასეთ „ცეხავიკს“ წერილიც კი გაეგზავნა ანალოგიური შინაარსისა. რამდენადაც ვიცი და ეს დადასტურდა შემდეგში გამოძიებით (ვ. უვანიას დაპატიმრების შემდეგ, მისი დაკითხვის ოქმებით), არცერთმა „ცეხავიკმა“ ამის შესახებ სათანადო ორგანოებს არ აცნობა, გარდა ბათუმის ვაჭრობის სამინისტროს ავტოფარეხის უფროსისა, რომელმაც ამის შესახებ შეატყობინა თავის მეგობარს — საქართველოს უშიშროების კომიტეტის ქუთაისის განყოფილების მაშინდელ უფრო-

სის მოადგილეს გიგლა ვაშაკიძეს, მან კი ოპერატიულად პირადად აცნობა უშიშროების თავმჯდომარეს აღ. ინაურს. სასწრაფოდ, კონსპირაციის წესის ყველა დაცვით, მივლინებულ იქნა ბათუმში უშიშროების რამდენიმე ოფიცერი (მოსკოვიდან, თბილისიდან). რაც მთავარია, მათ შორის იყვნენ ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების მუშაკები — მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოტანილი ახალი საიდუმლო მოსმენის ტექნიკით აღჭურვილები.

აქ უნდა ითქვას, რომ ეს ოფიცრები ბათუმში ჩავიდნენ სხვადასხვა სატრანსპორტო (საპარო, საზღვაო, სახმელეთო) საშუალებებით და არც ერთი მათგანი არ მისულა აჭარის უშიშროების კომიტეტში. ყოველივე ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ტერორისტს არ შეემჩნია ამდენი ხალხის გადაადგილება ბათუმში (რომელიც არცთუ ისე დიდი ქალაქია და დაკვირვებული კაცი ყოველთვის შეამჩნევს პატარა აუკიოტაჟს. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მივლინების დროს ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ოფიცრების სამოქალაქო ჩაცმულობასაც კი, ე.ი. დაიცვეს კონსპირაციის თითქმის ყველა დეტალი).

ღონისძიების პირველი ფაზა (პირველი დარეკვა) უშედეგო აღმოჩნდა. აბონენტი ქალაქში ვერ აღმოაჩინეს. ავტოფარეხის უფროსი, რომელსაც აგრეთვე კონსპირაციულად ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი, საუბარში „განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წარმომადგენელს დაეთანხმა გარკვეული თანხის გადახდაზე, მისი უსაფრთხოების გარანტების დაცვით. „წარმომადგენელი“ დაპირდა, რომ

ორ-სამ დღეში გადმოურეკავდა, სადაც შეთანხმდებოდნენ თანხის რაოდენობის შესახებ და ამ ფულადი თანხის გადაცემის ადგილზე და პირობებზე.

მოლოდინმა გაამართლა. მართლაც, ორ დღეში კაბინეტში ზარი გაისმა, შეთანხმების თანახმად (ე.ი. გათვალისწინებული ინსტრუქტაჟით) აბონენტებმა სულ ტელეფონით ილაპარაკეს ორ წუთსა და 31 წამს. ამ ხნის განმავლობაში მაშინდელმა ყველაზე თანამედროვე ტექნიკამ სამ წუთსა და 12 წამში დაადგინა (დააპელენგა) სატელეფონო ზარის ადგილმდებარეობა. დაახლოებით ორ წუთში ბათუმის საქალაქო ჯიხურში სანაპიროზე (ყოფილ სასტუმრო „ინტურისტიდან“ 100 მეტრში) დააკავეს ე.წ. „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წარმომადგენელი, რომელიც, რა თქმა უნდა, ვალიკო უვანია აღმოჩნდა. შემდეგში საკალიგრაფიო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ „წერილების“ ავტორი და შემდგენელი თვით უვანია გახლდათ.

გამოძიება ეცადა დაედგინა, მარტო იყო ვ. უვანია თუ მართლა მოქმედებდა ე.წ. „კომიტეტის“ სახელით. ყველა ამ „ქმედების“ ჩამდენი მხოლოდ ერთადერთი პიროვნება ვ. უვანია აღმოჩნდა. თუ გავითვალისწინებთ მის პიროვნებას, მის წარსული ცხოვრების წესს, მის ფსიქოლოგიურ ხასიათს, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. თუმცა იმასაც ვიტყვი: მართლაც რომ ყოფილიყო რაღაც „კომიტეტი“, რომლის დავალებითაც ის მოქმედებდა, დარწმუნებული ვარ, რომ ვ. უვანია არამც და არამც არავის არ დასახელებდა, არა-

ვის არ გასთქვამდა. რამდენადაც ვიცნობდი, ის იყო შეუდრეკელი ხასიათისა, უშიშარი და შეიძლება — ფანატიკური მიზანსწრაფვის ადამიანი.

უშიშროების ექსპერტებს მაშინ დაუჯერებლად მიაჩნდათ, რომ ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული სპეციალური ტექნიკური განათლება, შესძლებდა ასეთი ხელნაკეთი დისტანციური ქმედების ბომბების დამზადებას და ამიტომ უშუალოდ საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის (ალ. ინაურის) კაბინეტში ჩატარდა ოპერატიული ექსპერიმენტი, რომელიც გადაიღეს კინოფირზე. ვ. უვანიას მისცეს ყველა საჭირო მასალა ბომბის დამზადებისათვის (რა თქმა უნდა, ასაფეთქებელის გარდა) და მან დაახლოებით 34-35 წუთში „დაამზადა“ ბომბი, რომელიც მზად იყო აფეთქებისათვის.

როგორც გამომძიებლებისგან ვიცი, ვ. უვანია, როგორც პიროვნება, არ იწვევდა არავითარ ალერგიას მის მიმართ, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, ხასიათით, როგორც ყოველთვის, იყო დინჯი, წყნარი, პატიმრობისას ბევრს კითხულობდა (საზღვარგარეთის პროზას, პოეზიას, ინგლისურნოვან ლიტერატურას და სხვას). ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მან კეთილგანაწყო მის გარშემო მყოფი გამომძიებლები, ოპერატიული მუშაკები და სხვები, და გამოძიება თითქოს ეძებდა კიდეც რაღაც კომპრომისს, რომ „ეშუამდგომლათ“ სასამართლოს და პროკურატურის წინაშე, რათა მისთვის მიესა-

ჯათ არა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა, რასაც ითვალისწინებდა მისი ქმედება (სოხუმში ჩატარებული ტერაქტის შედეგად რუსი ეროვნების ცოლ-ქმარი დაშავდა, კაცი შემდეგში საავადმყოფოში გარდაიცვალა, ხოლო ცოლი დაინვალიდდა), არამედ — პატიმრობა დიდი ხნით (20 წლით). მაგრამ სასამართლოზე, როგორც დაკითხვების დროს, ასევე თავის ბოლო სიტყვაში, ვ. უვანია იდგა ერთ აზრზე და ამბობდა დაახლობით შემდეგს: „მე ამოვნურე ჩემი რესურსები საბჭოთა ბოლშევიკური მთავრობის დამხობის საქმეში, მე მეზიზლება ეს დიქტატურა, ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ ფაშიზმსა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის, ორივე დამღუპველია კაცობრიობის განვითარებისათვის, და ამიტომ არავითარი აზრი არა აქვს, თუ რას მომისჯით. ერთი მინდა იცოდეთ, სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის ვიბრძოლებ ამ რეჟიმის წინააღმდეგ, მისი დამხობისათვის. არა აქვს აზრი, როდის გამოვალ ციხიდან, მე ჩემს აზრს არ შევცვლი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შევებრძოლები ბოლშევიკურ დიქტატურასო“.

ასეთი აღიარების შემდეგ, წარმოიდგინეთ საბჭოთა სასამართლოს, პროკურატურისა და უშიშროების მუშაკების მდგომარეობა — ვინ გაბედავდა რაიმეს თქმას ვ. უვანიას — ამ გამოუსწორებელი ანტისაბჭოთა „ტერორისტის“ სასარგებლოდ?! და, რა თქმა უნდა, განაჩენი იყო მხოლოდ ერთი — სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

შემდეგში ამ „წარმატებულად ჩატარებული“ გამოძიების მასალებისგან შეიქმნა სასწავლო სახემძღვანელო და მას, როგორც სასწავლო მასალას, ასწავლიდნენ უშიშროების კომიტეტის სასწავლო სკოლებში და აკადემიაში.

საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის მთავარ შენობაში (ლუბიანკაზე) — კაგებეს მუზეუმში, მოენყო სტენდი ამ „ტერაქტების“ და მისი გამოძიების გმირების შესახებ. მაგრამ ჩემი თხრობა ვალიკო უვანიას შესახებ აქ არ თავდება....

ჩვენ ერთმანეთი ჯერ კიდევ ბავშვობაში გავიცანით. ერთ უბანში ვცხოვრობდით და ერთ სკოლაში ვსწავლობდით დაახლოებით სამი-ოთხი წელი, ყოფილ 29-ე სკოლაში ორთაჭალაში, ქალაქის ციხესთან ახლოს. სადაც ახლა ორთაჭალჲესია და მისი მიმდებარე ტერიტორია, ჩვენს ბავშვობაში ეკავა ე.წ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას (თუ მეურნეობას). კრწანისის დასაწყისთან ჯერ ტრამვაების, შემდეგ კი ტროლეიბუსების უკანასკნელი გაჩერება იყო. ამ გაჩერებიდან ხელმარჯვნივ რომ შეუხვევდი და ციხის გასწვრივ გზას გაუყვებოდი, დაახლოებთ ერთკილომეტრნახევარზე, მაღლა ბორცვზე იდგა სკოლის ორსართულიანი ხისა და ქვისაგან ნაგები შენობა. ჩემი აზრით, ეს შენობა ოდესლაც ვიღაც წარჩინებული ან მდიდარი მოქალაქის სასახლეს წარმოადგენდა. მაგრამ აქ მთავარი ის იყო, რომ ამ სკოლისაკენ მიმავალ გზაზე გაშლილი იყო აყვავებული, მოვლილი, სუფთა, სანერგე საცდელი მეურ-

ნეობა. ჩვენი სკოლის ბიოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის მასწავლებლები შეთავსებით ამ მეურნეობაშიც მუშაობდნენ და ჩემი სწავლების პირველი სამნახევარი წელი აქ მაქვს გატარებული, ამ წალკოტში, სადაც მასწავლებლები ღია ცის ქვეშ გვიტარებდნენ გაკვეთილებს.

როგორც მოგახსენეთ, ამ სკოლაში ჩემი ძმის (ანზორ ფოცხვერიას) კლასში სწავლობდა ვალიკო უვანია (ჩემი ძმა ჩემზე 4 წლით არის უფროსი), ხოლო მისი ოჯახი ცხოვრობდა ე.წ. „ოხერბალის“ ზემოთ, ხარფუხში, სომხური ეკლესიის ეზოს მეზობლად, პირველ სართულზე. არ ვიცი რატომ მოხდა, ჩვენს უბანში თითქმის არ იყვნენ ჩემი თანატოლები და ამიტომ მთელი ბავშვობა ჩემი ძმის მეგობრებთან ერთად მაქვს გატარებული და მათ შორის — მის მეგობარ ვალიკო უვანიას გარემოცვაში. რამდენადაც ჩემი ძმის მონაყოლიდან ვიცი, ვ. უვანიამ სკოლაში მხოლოდ შვიდწლედი დაამთავრა. ერთხელ მასწავლებელს დაფასთან გამოუძახია და დაუვალებია სახელმძღვანელოდან წაეკითხა რაღაც ტექსტი. ვალიკოს მხედველობა მეტად დაქვეითებული ჰქონდა, ამიტომ წიგნი თვალებთან (სახესთან) ძალიან ახლო მიუტანია და ისე დაუწყია კითხვა მარცვალ-მარცხვალ, რადგან კითხვა უჭირდა. ამ სცენის შემყურეთანაკლასელებს სიცილი დაუწყიათ. ეს კი ვალიკოს დაცინვად მიუღია, წიგნი დაუგდია იატაკზე და კლასიდან გაქცეულა... ამის შემდეგ ის სკოლაში აღარ დაბრუნებულა. ვერც დედამ, უფროს-

მა ძმამ და დამ, ვერც პედაგოგებმა ვერ იმოქმედეს მის ნებისყოფაზე, ვერ შეაცვლევინეს გადაწყვეტილება. აგრეთვე ჩემი ძმის მონაყოლიდან ვიცი, რომ ვალიკო ძალიან უცნაური ბავშვი გახლდათ. დაახლოებით მეოთხე თუ მეხუთე კლასში სკოლიდან და სახლიდან რამდენიმეჯერ გაქცეულა და შემდეგში ერთხელ მოსკოვ-ვლადივოსტოკის მატარებელზე აღმოუჩენიათ ე.ნ. „ზაიჩიკად“, მეორეჯერ კი — მოსკოვი-არხანგელსკის თუ მოსკოვი-მურმანსკის მატარებელში. როცა ჩემს ძმას გავყოლილვარ სტუმრად ვ. უვანიას ეზოში, არავინ მინახავს მისი დედის გარდა. შემდეგში გავიცანი მისი ძმა (გასული საუკუნის 70-ანი წლებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა დოცენტად, ხოლო მისი უფროსი და, როგორც შემდეგში გავიგე, ქ. გაგრაში გათხოვილა და იქ ცხოვრობდა).

როგორც მახსენდება ჩემი ბავშვობის გადასახედიდან, იმას, რომ ვ. უვანია ვერაფრით ვერ მიაბრუნეს სკოლაში სასწავლებლად, სრულიადაც არ შეუშლია ხელი მის თვითგანვითარებისათვის. პირველად მისგან გავიგე, რომ თბილისში არსებობდა საჯარო ბიბლიოთეკა, სადაც ბევრი საინტერესო წიგნები ინახებოდა და შეიძლეოდა მათი წაკითხვა და გაცნობა. ერთი კი კარგად მახსოვს, რომ იშვიათად, როცა გვესტუმრებოდა სახლში (14 კვ/მ-ის ოთახი) ან კომუნალურ საერთო საცხოვრებლის ეზოში, ხშირად ეხმარებოდა როგორც ჩემს ძმას, ისე მის ყოფილ თანაკლასე-

ლებს ალგებრაში თუ გეომეტრიაში ამოცანის ამოხსნაში, არაფერი რომ არა ვთქვათ იმ ცოდნაზე, რასაც იგი ამჟღავნებდა გეოგრაფიასა და ისტორიაში. მე მგონი, მას უქმად არ დაუკარგავს სკოლის მიტოვების წლები. მისი საუბრები უცხოეთის ან რუსეთის პოეტების, მწერლების შესახებ, მათი ცნობილი შედევრების შესახებ, ჩემს ბავშვურ ფსიქიკაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ალბათ პირევლად მისგან გავიგე, რომ არსებობდნენ ძველი ბერძენი პოეტები, ლეგენდები, ალექსანდრე მაკედონელი, დიდი ტრაგიკოსი უ. შექსპირი, ინგლისის დიდი პოეტი ბაირონი, გერმანელები — შილერი, გოეთე, ფრანგები — ბერანჟე, მოპასანი, დიუმა, ბალზაკი და ა.შ. და ა.შ.

მახსოვს, პატარაობაში სათამაშოების დეფიციტის გამო ჩვენ თვითონ ვამზადებდით ჩვენს გასართობს, ე.ნ. „ჩილკა ჯოხს“, „ავჭალურს“, საფრიალებლებს და რაღაც თვითმფრინავის მსგავს სათამაშოებს. ეზოში ორ საყრდენ ბოძს შორის, სარეცხის ბანარზე, ვამაგრებდით ამ თვითნაკეთ „თვითმფრინავებს“ და წარმოიდგინეთ, ერთმანეთის შესახვედრად ვამოძრავებდით მათ. ერთხელ, ეს რომ ვალიკომ დაინახა, წაგვიყვანა სახლში თავისთან და გვანახა რაღაც ხისა და თუნუქისაგან დამზადებული თვითმფრინავის მაგვარი მოწყობილობა, რომელსაც რკინის ბაკი და პროპელერი ჰქონდა. ამ ბაკში მოთავსებული იყო რაღაც საწვავი თუ ფეთქებადი ნივთიერება,

რომელსაც ასანთით მოუკიდა და ეს ე.წ. „თვითმფრინავი“ ერთ-ორ წამში თუხთუხეით აფრინდა დაახლოებით ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე. შემდეგ ცეცხლი მოეკიდა და მიწაზე დაეცა. თვითონ წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემზე და ჩემს ძმაზე ეს კონსტრუქცია და რა ავტორიტეტს მოიპოვებდა მისი კონსტრუქტორი ჩვენს თვალში. არ დაგავინყდეთ, რომ ეს დაახლოებით 50-ანი წლების დასაწყისში ხდებოდა და მაშინდელი ტექნიკის განვითარებით სულ სხვა წარმოდგენა გვექონდა ყოველივე ამაზე.

როგორი მახსოვს, ვალიკო უვანია ბავშვობაში. მოვლენებს მხოლოდ აკვირდებოდა, საკმაოდ ჩაკეტილი, უთქმელი ყმაწვილი გახლდათ. სიტყვაძუნნი „მეგობრებთან“ ურთიერთობაში (თუკი საერთოდ როდესმე ჰყოლია მეგობრები). არასოდეს არ უთამაშია ჩვენთან ქუჩური ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი ან სხვა თამაშები. როცა მოვიდოდა, შორიდან გვიყურებდა, მისი სახე არავითარ ემოციებს არ გამოხატავდა. არა-სოდეს არ ყოფილა ქომაგი ან ე.წ. „ბალეშიკი“ რაღაც სპორტული სანახაობებისა, მითუმეტეს იმ წლებში — ქართული ფეხბურთისა, კალათბურთისა, წყალბურთისა და სხვა.

დაახლოებით 1955-1956 წლებში მე ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ჩემი ძმა უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებისათვის ემზადებოდა. ამ დროს ჩემმა ძმამ დედას გამოუცხადა: „დედა, ვალიკოს დედა გათხოვდა, ბინა,

სადაც ცხოვრობდნენ, გაყიდეს, ვალიკო დედას თან არ გაჰყვა და არსად საცხოვრებელი არა აქვს, თუ შეიძლება ჩვენთან იცხოვროსო. მითუ-მეტეს, ჩვენ ერთად ვაპირებთ მუშაობის დაწყე-ბას მშენებლობაზე და სამსახურშიც ერთად ვივ-ლითო“. დედაჩემსაც მეტი რა დარჩენოდა, შეე-ცოდა უდედოდ დარჩენილი ბავშვი და ვალიკო შევიკედლეთ. სახლი, თუ ამას შეიძლებოდა სახ-ლი დარქმეოდა: ერთი ოთახი — 14??/გ, არავი-თარი კომუნალური პირობები, 10-11 ოჯახზე გათვალისწინებული ერთადერთ საპირფარეშო და ცივი წყლის ონკანი ბინიდან 20 მეტრის დაშო-რებით. ამ ე.ნ. ბინაში ერთი მაგიდა, რამდენიმე სკამი, კომბინირებული კარადა და ორი რკინის საწოლი ეტეოდა. ერთზე დედა იწვა, მეორეზე კი მე და ჩემი ძმა ერთად ვიწექით. აქაოდა, ვალი-კოს არ ეწყინოსო, სხვისი შვილიაო, და საწყალი დედა სამივეს ერთად გვიგებდა ქვეშაგებელს იატაკზე. ასე გავატარეთ ერთ ოჯახად ცხოვრე-ბის სამი ან ოთხი თვე... შემდეგ მოხდა ის, რაც არასოდეს დამავიწყდება. პირადად შევნიშნე, რომ ვალიკო, ჩემი ძმა და ჩვენი მეზობელი გუ-რამ კოდუა ყოველგვარი მიზეზით ცდილობდნენ ჩემს გარიყვას მათი გარემოცვიდან. თუ სადმე მიდიოდნენ, მე უკვე მეპარებოდნენ. დაიწყეს რა-ღაცა ჩურჩული, „კონსპირაციული“ მოლაპარა-კებები, ვამჩნევდი, რომ რაღაცა „საიდუმლოე-ბას“ მიმალავდნენ. თუ საუბრობდნენ, როგორც კი გამოვჩნდებოდი, გაჩუმდებოდნენ...

ძალიან „ეშმაკი“ და „უკუღმართი“ ყმაწვილი გახლდით და ამ „შეურაცხყოფას“ უფროსი მე-გობრებისას ვერ ავიტანდი. ამიტომაც გადავწყვიტე, აუცილებლად „გამეხსნა“ მათი „საიდუმლო“, დავიწყე ამისათვის გზების ძებნა... ვალიკოს „გამოტეხვა“ ფაქტიურად შეუძლებლად მიმაჩნდა, ასევე „გამოუტეხელი“ პიროვნებად მიმაჩნდა გურამი, რომელიც ყოველთვის, იმ პერიოდში მაინც, ბავშვად მთვლიდა და „ბავშვთან“ „ალიარებაზე“ არ წამოვიდოდა. დამრჩა ისევ და ისევ ჩემი ძმა ანზორი, რომელიც ყოველთვის თავის ცხოვრებაში იყო და ახლაც მოხუცებულობაშიც არის გულლია, გულწრფელი, გახსნილი და ცოტა „გულუბრყვილო“. რომ გაფიცხდებოდა, ჩემს მტერს, მაგრამ მის გაფიცხებას ძალიან დიდი „შრომა“ სჭირდებოდა. ჩემი აზრით, ანზორის „დაბმა“ ან „მოთაფლვა“ უფრო შეიძლებოდა, ანდა პროვოცირება გულახდილ საუბარზე, და ამ „გაანგარიშებაში“ არ შევმცდარვარ: სამეულის („შეთქმულების“) მიყურადებით და დაკვირვებით დავიმახსოვრე რამდენიმე სიტყვა (საზღვარი, ზღვა, კომპასი, ცურვა, ფეხსაცმელი). მამაჩემმა ომიდან ჩამოიტანა გერმანული კომპასი, რომელიც უჯრაში (სადაც ვინახავდით) არ აღმოჩნდა. სამივე ახალგაზრდამ იყიდა სპორტული ფეხსაცმელი, ე.წ. კედები და შალის წინდები და ა.შ. ამ დაკვირვებების საფუძველზე უკვე ავაგე რაღაც ვერსია. თუ რას ფიქრობდნენ „შეთქმულები“, ამას ვერ ვიტყვი, ის კი შემიძლია ვთქვა, რომ სადღაც გაპარვას აპი-

რებდნენ, მშობლების დაუკითხავად და, რა თქმა უნდა, ჩემს გარეშე. ეს კი ჩემი აზრით მეტისმეტი „თავხედობა“ იყო ჩემი პიროვნების მიმართ.

ერთ მშვენიერ დღეს, ანზორი სამსახურში ვერ წავიდა, გაცივდა და სახლში დარჩა. როცა მე და ჩემი ძმა მარტო დავრჩით, გავუბი საუბარი და მოვახერხე იმის „პროვოცირება“, რომ მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი გამეგება, ვიცი თუ რად იყიდეს სპორტული ფეხსაცმელი, რაში სჭირდებათ კომპასი და რა საზღვრებიც უტრიალებთ თავში. ამავე დროს განვუცხადე, რომ ყოველივე ამას ვერ დავმალავ და აუცილებლად ვეტყვი დედას, რომელიც, რა თქმა უნდა, ვერ აიტანს ყოველივე ამას, და საერთოდ ვალიკო მართალი არ არის, ის მეთაურობს, თქვენ კი თოჯინები ხართ მის ხელში-მეთქი. ანზორი (არჩევანი არ შემშლია) „გატყდა“ და დამაფიცა, რომ არავის ვეტყოდი, მითუმეტეს, რა თქმა უნდა, დედას (რომელიც ძალიან ეცოდებოდა) და გამიმხილა შემდეგი:

ვალიკოს წაქეზებით, მისი იდეებით, აპირებდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრის გადაკვეთას, გაპარვას თურქეთში. ზღვით საზღვრის გადაკვეთის იდეა უარყვეს, რადგან ვალიკომ ცურვა არ იცოდა. ანზორის თქმით, ამისათვის სჭირდებოდათ კომპასი, ფეხსაცმელი და გარკვეული რაოდენობით ფული ბათუმში ჩასასვლელად და იქიდან სახმელეთო საზღვრის გადასალახავად.

ამ „აღიარებამ“ სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, თა-

ნაც დიდი ხნით ცდაც არ შეიძლებოდა. ჩემი ბავ-შვური ჭკუით ვხვდებოდი, რომ ჩემს უმოქმედობას შეიძლება დიდი „უბედურება“ მოეტანა ჩვენი ოჯახისათვის, განსაკუთრებით დედა მეცოდებოდა, რომელიც გაჭირვებით გვზრდიდა და ამ დარტყმას ვერ გადაიტანდა (მითუმეტეს, სულ რაღაც ორი წლის წინ ძალიან იავადმყოფა და თითქმის წელიწადზე მეტხანს იყო მიჯაჭვული ლოგინზე). ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება: მეორე დღეს ანზორი სახლში დარჩა, მე სკოლაში კი არ წავედი, არამედ ვალიკოს ვეახლე სამსახურში მშენებლობაზე. გამოვიყვანე შესვენებაზე და, არ მახსოვს, როგორი თანმიმდევრობით, აღელვებულმა ვუამბე ყველაფერი (ოღონდ ანზორი არ გამიცია). დაახლოებით ეს ვუთხარი: „ჩემი საქმე არაა, თუ რას გააკეთებთ შენ და გურამი, ჩემს ძმას კი თავი დაანებე, ის არავითარი სახელმწიფოს მტერი არ ყოფილა და არ იქნება, მას ესეთი რამები საერთოდ არ აინტერესებს-მეტქი“. დანამდვილებით მოგახსენებთ, რომ ამ ჩემი მონოლოგის დროს ვალიკო უვანია მხოლოდ მისმენდა, არავითარ დიალოგში ჩემთან არ ჩაბმულა, სახეზე არცერთი კუნთი არ შეთამაშებია, თითქოსდა სათვალეებიდან მუმია მიყურებდა. ერთხელ კი გაფითრდა, სათვალეები მოიხსნა, ცხვირსაცოხით განმინდა, შუბლზე ოფლისმაგვარი შევამჩიე, მერე კი, ალბათ 10-15 წამის პაუზის შემდეგ მხოლოდ ერთი წინადადება მითხრა: „კარგი, დაწყნარდი, შენ

შეიძლება სწორიც იყო, აქ ანზორი და გურამი არაფერ შუაში არიან, ყველამ თავისი საქმე თვითონ უნდა გააკეთოსო“.

ამით დამთავრდა არა მარტო ჩვენი „გულახ-დილი“ საუბარი, არამედ ჩვენი ფაქტიურად ერთ ოჯახად ცხოვრების ისტორია. ის იყო და ის, ამის შემდეგ ჩვენ ვალიკო არავის გვინახავს და არაფერი გვსმენია მის შესახებ — დაახლოებით ორი-სამი თვე. საწყალი დედაჩემი იმ საღამოს ამაოდ ელოდა ვალიკოს სახლში, ამაოდ გაუცხელა რამდენჯერმე ვახშამი, არ წვებოდა და ელოდებოდა „ნაშვილებს“, ვინაიდან დედა საერთოდ არასოდეს წვებოდა დასაძინებლად, თუ ყველანი სახლში არ ვიყავით და ამაში მისი „მესამე“ შვილიც გამონაკლისი არ გახლდათ. ასევე განმეორდა ორი-სამი დღის განმავლობაში, შემდეგში კი ვხედავდი, თუ რა დღეში იმყოფებოდა დედა. ვეცადე დამეწყნარებინა, გამეხსენებინა მისთვის ვალიკოს უცნაური ხასიათი, ე.წ. „მოგზაურობების“ სიყვარული და სხვა. ვალიკო არც სამსახურში გაჩერდა, იქიდანაც გაქრა. არავინ იცოდა მისი ასავალ-დასავალი... ჩემი ძმა ხვდებოდა, რომ რაღაცა მოხდა მას შემდეგ, რაც მე და მან გულახდილად ვისაუბრეთ, მაგრამ ამის შესახებ ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რომ იტყვიან, დედის ნერვებს გაუფრთხილდა, „ეშინოდა“ დედისათვის არ მომეუყოლა მათი ჩანაფიქრის შესახებ. გარდა ამისა, ალბათ ისიც იყო, რომ მას არაფრად არ აწყობდა ვალიკოს მიერ შემოთავაზებუ-

ლი „ავანტიურა“ საზღვარგარეთ გაქცევის შესახებ... ანზორი არასოდეს არ იყო ცხოვრებაში „პოლიტიკურად“ აქტიური ადამიანი, მისი ცხოვრების ძირითადი კრედო დარჩა და იყო ოჯახი, სამსახური, სპორტი და მეგობრები და ასეც იცხოვრა შემდეგში, აუღელვებლად და თანამიმდევრულად...

გავიდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ ოთახს მოადგა უფორმო ჩეკისტი და ანზორი წაიყვანეს, არ ვიცი რა ვუწოდო, დაკითხვაზე თუ გამოკითხვაზე. მთელი სამი საათი ველოდი ძმის დაბრუნებას. კიდევ კარგი, იმ დროს, როცა ანზორი წაიყვანეს, დედა სახლში არ იყო, თორემ გადაყვებოდა ალბათ საწყალი ამ ნერვიულობას. ანზორი დაბრუნდა და გავიგეთ, რომ ვალიკოს ჰქონია უშედეგო მცდელობა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვრის გადალახვისა. აჭარაში, სადღაც, სოფელ სარფთან ახლოს დაუპატიმრებიათ და ახლა გამოძიება მიმდინარეობდა. ამისათვის დაკითხეს ჩემი ძმა. ანზორს იმდენად „გულწრფელად“ მოუყოლია გამომძიებილისათვის, ვალიკოს ჩანაფიქრის შესახებ არაფერი ვიცოდიო, რომ ალბათ დაუჯერეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი სახლიდან ვალიკოს წასვლის შემდეგ ორი-სამი თვე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში მას შეეძლო „დამოუკიდებელი“ გადაწყვეტილება მიეღო.

ერთ მშვენიერ დღეს, დაახლოებით 10 დღის შემდეგ, ძმა მომიყვა, რომ გაგრიდან ჩამოსულა

ვალიკოს და (ერთადერთი მისი გულშემატკივარი და პატრონი მთელი ცხოვრების განმავლობაში) და უთხოვია ანზორთან შეხვედრა. მე და ჩემი ძმა ერთად წავედით ამ შეხვედრაზე. იქ გავიგეთ შემდეგი: პატიმრობაში მყოფ ვალიკოს უარი განუცხადებია ე.წ. „პერედაჩების“ მიღებაზე. როცა ციხის მესვეურებს პაემანის უფლება მიუციათ დედისათვის და დისათვის, ის ამ პაემანზე, რაღაც „უცნაურად“ მოქცეულა, არ მისალმებია ახლობლებს, მათი ამანათი საკვებით და ტანსაცმლით იატაკზე უსროლია, არავითარ შეკითხვებზე არ პასუხობდა. იჯდა ინერტულად, უაზროდ უყურებდა ჭერს და მისი სახე არავითარ ემოციებს არ ამჟღავნებდაო. შემდეგში, როგორც გავიგეთ, ვალიკო ფსიქიატრიულ დისპანსერში (ასათიანის ქუჩა) გაუგზავნიათ, სადაც ორი თვის განმავლობაში იმყოფებოდაო. იქაც გარკვეული „ცირკები“ მიუწყვია. მაგრამ კლინიკას ბოლომდე მაინც არ დაუდასტურებია ვ. უვანიას „გიუობა“, რადგანაც შედგა დახურული სასამართლო პროცესი, რომლის განაჩენითაც მას სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ ვალიკო რა ვალიკო იქნებოდა, რომ „უმოქმედოდ“ გაჩერებულიყო. ჯერ პირველი პატიმრობიდან (გადასახლებიდან) გაიპარა ჩიტის ოლქიდან. დაუმატეს ხუთი წელი. შემდეგ უფრო შორს გადაასახლეს. იქიდანაც ორჯერ კიდევ სცადა გაპარვა. დაიჭირეს და კიდევ დაუმატეს პატიმრობას სამი თუ ოთხი წელი. ერთი სიტყვით, სამი წლით

მისჯილი პატიმრობა თანდათან თორმეტი-ცამეტი წლის პატიმრობად ექცა და ციხიდან გამოვიდა მხოლოდ 70-ანი წლების შუალედში. მერე ჩაიდინა ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ასეთი იყო ვ. უვანიას პატიმრობის „ეპოპეა“.

პატიმრობის შემდეგ მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მე უკვე უშიშროებაში ვმუშაობდი, ის კი რამდენიმე თვის განთავისუფლებული იყო ალბათ პატიმრობიდან. რუსთაველის გამზირზე ფეხით მივდიოდი. გავიარე ე.ნ. „ზემელი“, მაღაზია „სპორტი“ და იქ პატარა შესახვევში, საქართველოს ყოფილი ჭადრაკის ფედერაციის შენობის წინ შევნიშნე — ბურახი იყიდებოდა. არასოდეს ვყოფილვარ ამ სასმელის ტრფიალი, მაგრამ რაღაცა ძალამ მიკარნახა ბურახი დამელია და თუ გინდათ სოაცრება, ბურახის გამყიდველის პიროვნებაში ჩვენი „ძველი მეგობარი“ ვალიკო უვანია შევიცანი. აკი მოგახსენეთ, მას ძალიან ცუდი მხედველობა ჰქონდა-მეთქი. ამიტომ ვერც მიცნოდა შემეძლო ისე დამელია ბურახი, რომ საერთოდ ხმა არ გამეცა. ისიც მახსენდება, რომ ვალიკო ისეთი განურჩეველი ინტერესით ყიდდა ბურახს, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის უსხამდა — ქალს, კაცს, ბავშვს თუ ზოოპარკიდან გამოქცეულ სპილოს. ვერ მოვითმინე და გამოვეცნაურე. ერთი ამომხედა, დამაკვირდა, სახეზე მისთვის დამახასიათებელი ირონიული ღიმილი გამოეკვეთა, მკითხა — „როგორა ხარო“. არც ვიცი, რა ვუპასუხე. შევამჩნიე, საუბ-

რის გაგრძელების არავითარი ინტერესი არ გააჩნდა. ამიტომ სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას. მახსოვს რაღაც გაურკვევლობის, უხერხულობის გრძნობა დამეუფლა. მივდიოდი რუსთაველზე და ვფიქრობდი, რა უცნაურია ეს ცხოვრება, — ერთი უშიშრებაში მუშაობს, მეორემ თითქმის თხუთმეტი წელიწადი ციხეში გაატარა — არ ვიცი, რისთვის, რა იდეებისთვის და რატომ? სასტიკად გავპრაზდი ჩემს თავზე, რატომ გამოვეცნაურე-მეთქი. რა მივიღე ამით? ვერ გამემართლებინა მისი ასეთი უმადურობა. კარგი, მე არავინ ვიყავი მისთვის, მაგრამ არც დედაჩემი მოიკითხა, არც ალბათ ერთადერთი მეგობარი, რომელიც კი ოდესმე ყოლია ცხოვრებაში (ჩემი ძმა) და ა.შ.

ხშირად მიფიქრია და მაინც ვერ მიპასუხია ერთ მთავარ კითხვაზე: საერთოდ ვინ იყო ეს პიროვნება? რა სურდა მას? რისთვის იბრძოლა? რას შესწირა სიცოცხლე? ამ კითხვაზე ალბათ ძნელია პასუხის გაცემა. ის მომაგონებს გარიყულ დონ კიხოტს, რომელიც იბრძოდა და ისიც არ იცოდა — რისთვის? ალბათ იდეური მებრძოლი იყო. ყოველ შემთხვევაში, შემდეგში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნეს, რომ ასე ერთპიროვნულად არავის არ უბრძოლია იმ მონსტრის წინააღმდეგ, როგორიც საბჭოთა ხელისუფლება იყო.

ვ. უვანია ტრაგიკული პიროვნება გახლდათ. მამა — სამხედრო მოსამსახურე — ქართული დივიზიის პოლკის უფროსი — 1937 წელს დაუხვრიტეს, როცა იგი ერთი-ორი წლისა იქნებოდა. შემ-

დეგში მისთვის არავის არ ეცალა და მისი აღზრ-დით არავინ დაიტერესებულა (დედა, ძმა). მხო-ლოდ თავის თავს ეკუთვნოდა და აკეთებდა იმას, რაც სურდა. ნახევრად ან სულ მშიერი დადიოდა, არავის არასოდეს არაფერს სთხოვდა. თუკი მის ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, აუცილებელია აღვნიშნოთ, ეს კაცი უაღრესად ნიჭიერი გახლ-დათ, თვითონ შეისწავლა უმაღლესი მათემატიკა, მანქანათმშენებლობა, ხაზვა, კარტოგრაფია, პა-ტიმრობაში შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა. ჯერ კიდევ ბავშვობაში და შემდეგ ხანმოკლე ცხოვრე-ბის განმავლობაში სულ კითხულობდა და კითხუ-ლობდა. შესანიშნავად იცოდა ისტორია, გეოგრა-ფია, ლიტერატურაში ფრიად გათვითცნობიერე-ბული იყო. მას რომ პროგრამული, მიზანმიმარ-თული განათლება მიეღო, დარწმუნებული ვარ, გამორჩეულ მიზნებს მიაღწევდა საზოგადოებაში. მაგრამ მან აირჩია, უფრო სწორად — ბედმა არ-გუნა ის, რითაც იცხოვრა.

რატომ არ გადაიქცა ის ლიდერად ან აქტიურ მონაწილედ ანტისაბჭოთა ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობისა? საიდან უნდა გადაქ-ცეულიყო? არავის არ იცნობდა, არავისთან ურ-თიერთობა არ ჰქონდა, არ იცნობდა თბილისის ე.ნ. ბომონდს. ერთი კია, მისი მოქმედებით საკმა-ოდ დააშინა საბჭოთა ხელისუფლება, უშიშროე-ბა. აკი მოგახსენეთ, რა „დელეგაციები“ ჩამო-ვიდნენ საკავშირო უშიშროების კომიტეტიდან, ყველანაირად ცდილობდნენ გაერკვიათ ერთი


მთავარი საკითხი: ამ ქმედებებში ის მარტო იყო, თუ მოქმედებდა მისივე მოგონილი იატაკქვეშა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ დავალებით?! ერთი გენახათ, როგორ „დამშვიდნენ“, როცა ირწმუნეს, რომ ის მარტო იყო თავის ქმედებაში. აქაც შეიქმნა ერთი დილემა. იყო მცდელობა, გიუად გამოეცხადებინათ და სამუდამოდ გამოეკეტათ ფსიქიატრიულ დისპანსერში. მაშინ მათი ე.წ. „შრომა“ ანტისაბჭოთა ტერორისტის გამოვლინებების საკითხში შედარებით ნაკლებად დაფასდებოდა. თვით ობიექტიც შეიცვალა. თუ პირველი დაპატიმრების დროს სიგიურეს იგონებდა ან იმიტირებდა, შემდეგ ტაქტიკა შეცვალა და მისთვის დამახასიათებელი ლოგიკით მშვიდად განაცხადა, რომ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და შემდეგშიც იბრძოლებდა (მანამ ცოცხალი იქნებოდა) მათ წინააღმდეგ. ამით მან თვითონ გამოუტანა თავის თავს სასიკვდილო განაჩენი, ვინაიდან ვერავინ ვერ გაბედა და არც სურდათ ცოცხალი დაეტოვებინათ საბჭოთა ხელისუფლების მტერი. გოგოლისა არ იყოს: მერე რომ რამე მომხდარიყო? ვინ იყო ამის პასუხისმგებელი?!

ერთი კია, რომ მეთოდი, რომელიც მან აირჩია ამ ბრძოლისათვის, პრიმიტიული იყო. მაგრამ ამ „პრიმიტივიზმა“ ადამიანის სიკვდილი გამოიწვია და ამით ვალიკო ჟვანია ჩაირიცხა ისტორიაში, როგორც მარტოხელა ფანატიკოსი ტერორისტი და არა როგორც ადამიანი, რომელიც იბ-

რძოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: ვალიკო უვანია ერთი პირველი მერცხალი იყო, და თუ გაზაფხულზე მერცხალი არ მოფრინდა, ისე გაზაფხული ვერ დადგება!

საკითხავი დღევანდელობის გადმოსახედიდან ერთი დილემაა — ახლა გაზაფხული მოვიდა?!

აი, უკვე 25 წელიწადია საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, ფრთებშეჭრილი (აფხაზეთი, სამაჩაბლო). სოციალურად დაუცველი მოსახლეობის თითქმის 45% უმუშევარი, იგივე 40-45% საარსებო მინიმუმს მოკლებული... ამავე დროს მისი „ლირსეული“ მთავრობის წევრები არ კმაყოფილდებიან ათასობით ლარით ხელფასებს მილიონობით ე.წ. პრემიერს იღებენ, რაღაც ახალი ტერმინიც გამოიგონეს — „სახელფასო დანამატი“?! რა არის ეს? ხელფასი + პრემია + სახელფასო დანამატი + მსოფლიოში ერთადერთ ყველაზე ძვირად ღირებული მანქანებით ჯირითი, მაშინ, როდესაც ისეთ მდიდარ ქვეყნებში, როგორიცაა შვედეთი, ნორვეგია, შვეიცარია და სხვა მინისტრები ან ველოსიპედით გადაადგილებიან ან პერსონალურ მანქანის საჭეს თვითონ მართავენ. როგორ შეიძლება ენდო ადამიანებს (უფრო სწორად მედროვეებს, რომლებიც ე.წ. „ტოლფმაში“ 150 ლდარს იხდიან. და ა.შ. და ა.შ. არა მგონია, მკითხველო, რომ საბჭოეთის დიქტატურასთან მებრძოლ პატრიოტებს ასეთი „გაზაფხულის“ დადგომა უნდოდათ?!



ჯემალ ფოცხვერია  
სუკის აკადემიის  
სტუდენტობისას  
1986-88



უძნის ბირჟაზე:  
ვალიკო უვანია, ჯემალ ფოცხვერია (დგანან),  
გურამ შუბლაძე, ანზორ ფოცხვერია, ბააღურ  
შუბლაძე, გურამ კოდუა (სხედან).



ჯემალ ფოცხვერია და ფილიპ ბაბკოვი  
(1964-81 ნლებში სუკის მე-5 სამმართველოს უფ-  
როსი, 1982-91 ნლებში საბჭოთა კავშირის უშიშროების  
კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე).

კრემლი, მოსკოვი, 1995 წ. სპეცდანიშნულების რაზმის  
„ალფას“ 25 წლის იუბილეზე.



ნიკოლაი გოლუშკო  
(1985-91 ნლებში უკრა-  
ინის სუკის თავმჯდომა-  
რე, 1991-94 ნლებში რუსე-  
თის ფედერაციის უშიშ-  
როების სამინისტროს პი-  
რველი მოადგილე, შემდ-  
გომ მინისტრი)

ჯემალ ფოცხვერია  
(1991-94 ნლებში რუსე-  
თის ფედერაციის უშიშ-  
როების სამინისტროს პი-  
რველი მოადგილის და შე-  
მდეგში მინისტრის მრჩე-  
ველი).

ნიკოლაი გოლუშკოს  
მემუარების ნიგნის პრე-  
ზენტაციაზე.



## გვიანდელი მინანერი

...შესაძლებელია მკითხველმა იფიქროს, რომ  
მე, როგორც ავტორმა, მოვიწადინე ვალიკო უვა-  
ნიას პიროვნება იდეალურად წარმომეჩინა. ავც-  
დი რეალური თხრობის ხაზს და ამბავთა ჰიპერ-  
ბოლიზებას შევეცადე... — ასე ნამდვილად არ  
გახლავთ. უბრალოდ მინდოდა მკითხველს სცო-  
დნოდა ამ უაღრესად საინტერესო პიროვნების  
შესახებ და ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში,  
მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი წარმოვაჩინე.  
მინდოდა დამენახვებინა იგი ისეთად, როგორ-  
საც ვიცნობდი ბავშვობიდან ჩვენს ყმანვილკა-  
ცობამდე (რამდენადაც მახსოვს, ის ჩვენი ოჯა-  
ხიდან წავიდა დაახლოებით 1975 წლის გა-  
ზაფხულზე. წავიდა განზრახვით, რათა მარ-  
ტოდმარტო, არალეგალურად გადაეკვეთა საბ-  
ჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვარი. მან  
ჩემი ძმის — ანზორის, ჩვენი მეზობლის და მე-  
გობრის გურამ კოდუას აყოლიება ვეღარ შეძ-  
ლო, რადგან კატეგორიულად შევეწინააღმდეგე  
მათ ამგვარ განზრახვას...

ახლა რომ დავფიქრდები ხოლმე გარდასულ  
მოვლენებზე, პრაგმატულად ვაანალიზებ ყვე-

ლაფერს, ვრწმუნდები, მას წინასწარ ჰქონდა გათვლილ-მოფიქრებული თავისი ქმედება, კარგად იცოდა მოსალოდნელი საფრთხე, თვითნაკეთი ბომბების აფეთქებას რომ მოჰყვებოდა, ამიტომაც სამივე აფეთქება განახორციელა არახალხმრავალ ადგილებში, რათა ხალხის მსხვერპლი ან თუნდაც მცირედი დაზიანება არ მოჰყოლოდა:

პირველი სოხუმის ზღვისპირა სკვერში ააფეთქა, როდესაც ლამის ბინდი მოეფინა არემარეს... თუმცა იმ ადგილას „შემთხვევით“ სასეირნოდ გამოსულა ორი რუსი დამსვენებელი, ცოლ-ქმარი.

მეორე აფეთქება კი განახორციელა ქუთაისის ცენტრში, პარტიის საქალაქო კომიტეტის შენობიდან დაახლოებით 50-60 მეტრის დაშორებით. ასაფეთქებელი ხელნაკეთი ბომბი განთავსებული იყო პარტიის ქალაქკომის ახლოს გაშენებულ ბულვარის ბუჩქნარში, რამაც გარკვეულწილად შეასუსტა აფეთქების ეფექტი — ალბათ მან გაითვალისწინა სავალალო შედეგი, სოხუმში რომ მოხდა, როცა ბომბი რკინის სანაგვე ყუთში განათავსა...

მაინც საკვირველი მგონია ეს ფაქტი.

მესამე აფეთქება მოახდინა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ე.წ. მთავრობის სახლის წინამდებარე მარადმნვანე გაზონებში, რომელსაც, ისევე როგორც ქუთაისში, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მაშინ, გასული საუკუნის 50-იან წლებში, არავითარი მართული ასაფეთქებელი მოწყობილობა არ იყო. ამიტომ ამ აფეთქებების ერთადერთი ორგანიზატორი ვალიკო უვანია, მკაცრად იყო დროით შეზღუდული, მხოლოდ რამდენიმე წამში უნდა ჩატეულიყო...

დაპატიმრებული ვალიკო უვანია გამოძიების მსვლელობისას და აგრეთვე სასამართლოზეც არ უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ყოველთვის იმეორებდა, რომ მიზნად არ ჰქონია მისი ქმედებით ვინმე დაღუპულიყო, ერთადერთი რამ ამოქმედებდა მხოლოდ — საბჭოთა ხელისუფლების „დაშინება“.

ამიტომაც განავრცო აფეთქებები ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ფრთის — „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ სახელით.

ძვირფასო მკითხველო, მის მიერ გამოგონილი არარსებული არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ხომ ძლიერ ჰგავს ე.წ. „ირლანდის განმათავისუფლებელ არმიას“ ან „ბასკების განმათავისუფლებელ ფრონტს“.

ისე რომ, გონიერივი სისხარტე თუ წარმოსახვა ვალიკო უვანიას არასოდეს ღალატობდა.

ამას წინათ მოვიხმე სომეხი ტერორისტების: ზატიკიანის, სტეპანიანის და ბაგდასარიანის ტერაქტების მცირე ეპიზოდები. მათ ეს განახორციელეს მოსკოვის მეტროში. ორ ტერაქტს ორ

ათეულზე მეტი მოქალაქე ემსხვერპლა, ხოლო დაშავებულთა რიცხვი რამდენიმე ათეულს აღემატებოდა.

აი, მიზანმიმართული, წინასწარგანზრახული ქმედება ტერორისტებისა. მათ მიზნად დაისახეს, რაც შეიძლება მეტი ზიანი მიეყენებინათ უდანაშაულო ხალხისათვის.

თავს მეტად აღარ შეგანყენთ. თანამედროვე ტერორიზმის ხელწერა ხომ თითქმის ყველამ ვიცით...

თუნდაც 2000 წლის 11 სექტემბრის ნიუ იორკის ტერაქტის წარმოდგენა როგორი დამზაფვრელია...

კვლავ ვიმეორებ ზემოთ ნათქვამს: არ ვცდილობ ვალიკო უვანიას პიროვნების იდეალიზაციას, მეც ვიზიარებ ამ ჭეშმარიტებას, რომ ათასის, გინდ ერთი კაცის მკვლელი, მაინც მკვლელია!

მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა: ვალიკო (ვლადიმერ) უვანია უსამართლო ბოლშევიკური რეჟიმის მსხვერპლი იყო... მსხვერპლი იყო 1937 წლის რეპრესიებისა (როდესაც მამა დაუპატიმრეს), როცა ვალიკო და მისი და-ძმა უმამოდ დატოვეს, სიღა-ტაკისა და უპერსპექტივობისთვის გაიმეტეს.

თვალის ავადმყოფობამ, რაც თავი მახსოვს, ბავშვობიდანვე სულ დიპპტული სათვალით დადიოდა, დაავადება უფრო პროგრესირებადი გახადა.

მე ერთხელ შევეცადე, ჩვენი ბავშვობის თამაშობანი აღმენერა და წარმომეჩინა... არაერთი ეპიზოდი მახსენდება, იმ ტკბილ-მწარე წლებიდან.

სხვათა შორის მონაწილეობა მივიღეთ 1953 წელს იორის არხის საზეიმო გახსნაში, რომელ-მაც შექმნა ჩვენი თბილისის ზღვა. როცა იორის წყალი შემოვიდა მდორე დინებით იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა ზღვა დგას, ჩვენ იქ ფეხშიშველნი ვიდექით — მანამ, ვიდრე წყლის დონემ წელამდე არ მოგვწვდა. ჩვენ ყიუინასა თუ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა მაშინ...

როცა შინ მივაკითხავდი ვალიკოს, სულ წიგნებს კითხულობდა. ისტორიული რომანები ხიბლავდა ძალიან. როგორც მოგახსენეთ, მე-8 კლასში სკოლაში სიარული შეწყვიტა და თვითგანათლება ამჯობინა — არათუ არ ჩამორჩენილა თავის ყოფილ თანაკლასელებს, ეხმარებოდა მათ მათემატიკასა და ფიზიკაში. უზომოდ აინტერესებდა ჰუმანიტარული საგნები...

ერთხელ ვალიკომ დაგვპატიჟა შინ. მერე წაგვიყვანა იქვე „ოხერ ბალში“ და ჩვენ თვალ-წინ გამოსცადა თავისი გამოგონება: თუნუქის ნაჭრებისგან შეეკონიწებინა პატარა თვითმფრინავი, რომელსაც, ახლა ვერ ვიხსენებ როგორ, მაგრამ ძრავა ჰქონდა. თვითმფრინავი ჯერ მიწაზე ათუხთუხდა, შეირყა, მერე დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა, რამდენიმე წამში კვლავ მიწაზე დაეცა, ცეცხლში გაეხვია და დაიწვა.

ჩემ გარდა ამ „საოცრების“ თვითმხილველი ჩემი ძმა ანზორი, მეგობრები — გურამ და ნოდარ კოდუები და სხვებიც იყვნენ.

...ვალიკო უვანიამ პატიმრობაში, 3 წლის მაგივრად 15 წელი დაჰყო. იქ დაამთავრა საშუალო სკოლა, შეისწავლა ინგლისური ენა (რუსულ-ინგლისური ცნობარით), გაეცნო მსოფლიო ორატურის ყველა იმ ნაწარმოებს, რაზეც ხელი მიუწვდა 15 წლის განმავლობაში ციხესა და გადასახლებებში ყოფნისას...

ერთი სიტყვით, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ვალიკო უვანია ერთ-ერთი უნიჭიერესი, პერსპექტიული, განათლებული პიროვნება გახლდათ... მის მსგავსებზე ხომ დანანებით უთქვამთ ხოლმე: „პატრონი რომ ჰყოლოდაო“...

აბა, როგორ უნდა გამოჩენოდა პატრონი, საბჭოეთი მისთვის ხომ ავი დედინაცვალი აღმოჩნდა...

## ბავშვობისა და ყმანვილკაცობის დროინდელი თანილისური ჩანახატები

ეს პატარა მონათხრობი ეძღვნება ჩემს  
შვილიშვილებს, ნიკოლოზს, დიტოს და ანამარიას,  
მათ შვილებსა და შვილიშვილებს...

ლმერთი გფარავდეთ, ჩემო საყვარელო ხალხო!  
ყოველგვარი ხიფათისა და  
განსაცდელისაგან გიხსნათ უფალმა...  
ამინ...

თქვენი ბაბუ  
ჯემალ ფოცხვერია  
დეკემბერი 2014 წელი  
ქ. თბილისი

მართლაც რომ უცნაური, შეიძლება ითქვას,  
განუმეორებელი ბავშვობა გავატარეთ ჩვენმა  
თაობამ (მხედველობაში მაქვს გასული საუკუნის  
30-40 წლებში დაბადებული თაობა)... არ მახსოვს  
ჩემი თანატოლების, და არც არავის, ხელში მაშინ  
რაიმე სათამაშო, რომელიც მაღაზიაში იქნებოდა  
ნაყიდი... ეს ახლაა ათასგვარი სათამაშოებით  
(გასართობი, ინტელექტუალური, ბავშვის განვი-  
თარებისთვის შექმნილი სხვადასხვა კონსტრუქ-  
ტორები) გადაჭრელებული მაღაზიები. ის კი არა,  
ისიც მახოვს, რომ ხანდახან დედას მივყავდი სათა-  
მაშოების მაღაზიებში, მაგრამ იქაც არ მინახავს

რაიმე სათამაშო თაროებზე. გოგონები თვითონ კერავდნენ გაცვეთილი ნაჭრებიდან თოჯინებს, მაგრამ ესეც ძნელი იყო, რადგან ასეთ თოჯინებს მხოლოდ მათ ბავშვურ ფანტაზიაში შეიძლებოდა „თოჯინა“ რქმეოდა...

ყოველივე ზემოთქმული სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მაშინ ასეთი სათამაშოები არ არსებობდა და არ იყიდებოდა მაღაზიებში — რათქმა უნდა, ისინი არსებობდა ე.წ. პრივილეგირებული კლასის პარტიული ნომენკლატურის ბავშვები-სათვის, მაგრამ მე და ჩემი ბავშვობის მეგობრებს მათთან შეხება მაშინ არ გვქონდა... ალბათ, როგორც ყოველთვის და ყველა დროში, არსებობდა საზოგადოების კლასობრივი ფენები, სადაც განსხვავებული გარემოცვა იყო. როგორც შემდეგში ალვიქევი, ასეთივე მატერიალური „პრივილეგიებით“ სარგებლობდნენ ე.წ. ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაკების ოჯახებიც და ალბათ, მათი შვილებიც.

იმასაც მოგახსენებთ, რომ არანაირ დისკომფორტს არ განვიცდიდით ჩემი თაობის უბნის ბავშვები, ე.წ. პრივილეგილებული სათამაშოები რომ არ გაგვაჩნდა...

ჩვენ ჩვენი სათამაშოების გამომგონებლები გვყავდა. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი სათამაშო ჩვენი უფროსი თაობის გამოგონილი იყო, რადგან ჩვენი მამების უმრავლესობა იმავე მატერიალურ სიდუხჭირეში გაიზარდა, როგორც ჩვენ... ქვეყანაში ხომ სოციალიზმი შენდებოდა და ჩვენთვის უბრალოდ არავის ეცალა.

ასეთი ჩვენი თამაშობებიდან (მით უმეტეს, ომის

დროს ყველაზე გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს ე.ნ. „ომობანა“. ურთიერთშეთანხმების შემდეგ (რაც ძალიან ძნელი მისაღწევი იყო) ბავშვების ჯგუფი ორად იყოფოდა. პირველი წითელი არმიის მებრძოლებად ან პარტიზანებად და მეორე გერმანელ-ფაშისტების მეომრებად. აი, აქ იყო ყველაზე მეტი დისკუსია და მსჯელობა — არავის უნდოდა გერმანელი და ფაშისტი ყოფილიყო. დიდი კომპრომისების შემდეგ მაინც იწყებოდა „ომი“. ჩავძვრებოდით ტანკსანინააღმდეგო თხრილებში (ნარმოიდგინეთ ასეთი თხრილებიც არსებობდა, რომელსაც ჩვენ იკით-ებს ვეძახდით და ვუშენდით ერთმანეთს პატარა ქვებს (ყუმბარებს) ან მიწის ბელტებს, შემდეგ *yraaaa*-ს ძახილით, ხელჩართულ ბრძოლებში მონინააღმდეგის იკით-ებს დავიპყრობდით, „მტერი“ დიდ ნინააღმდეგობას არ გვინევდა. აბა, ფაშისტებს ხომ არ უნდა გაემარჯვა?! გამარჯვებულები ტყვეებს (پლეහნიკ-ებს) წამოვიყვანდით და დაკითხვას ვუწყობდით... არ ვიცი... თქვენთვის ალბათ გაუგებარია, თუ რა საბავშვო გასართობი იყო ყოველივე ეს, მაგრამ ჩვენ კარგად ვერთობოდით და იმითაც ამაყი ვიყავით, რომ „მტერი“ დავამარცხეთ. თუ თამაშის გაგრძელება გვინდოდა, როგორც წესი, მოთამაშები პირიქით რედუტებს იკავებდნენ, რადგან ორჯერ არავის სურდა გერმანელობა და ფაშისტობა. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ალბათ არავის წარმოგვეღვინა ვინ და რა იყო ფაშისტი. ყველამ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ისინი ჩვენი მტრები იყვნენ, რომელთაც ჩვენი მამები ნამდვილ ომში ებრძოდნენ.

ერთი „ჰუმანური“ დეტალი უნდა გავიხსენო... ომში დაღუპულ მეომართა შვილებს არასოდეს ვთავაზობდით ფაშისტების რაზმში ყოფნას...

ყველაზე მეტად მაინც ე.წ. „კოჭობანას“ თამაში გვიყვარდა. ყველა ჩვენგანს დაახლოებით ერთი ათეული კოჭი გვქონდა, ყველაზე ამაყი მაინც ის ბავშვი იყო, რომელსაც „საუკეთესო“ ე.წ. „ჯილა“ კოჭი ჰქონდა. ნახევარი მეტრის სიმაღლიდან უნდა აგეგდო კოჭი, რომელიც მიწაზე „ჯილად“ (გამართულად) უნდა დაცემულიყო. თუ მოწინააღმდეგის კოჭი ბრტყლად დაეცემოდა, მოგებული იყავი და მოწინააღმდეგეს შეთანხმების მიხედვით კაკალი (ან თხილი) უნდა მოეცა.

მეორე სახეობა კოჭაბისა: მიწაზე განლაგებულ 5, 7 ან 10 კოჭს ან კაკალს უნდა დავშორებულიყავით 5-6 მეტრით და ჩვენი „ჯილა“ კოჭი დამიზნებით გვესროლა ამ მწკრივისათვის. მთავარია კოჭთა ან კაკალთა მწკრივი დაგვეშალა (რაც შეიძლება მათი მეტი მიმოფანტვით). წაგებული იყო ის, ვინც ააცილებდა ამ მწკრივს...

ამ თამაშის „სპეციფიკა“ ის იყო, რომ იგი ითვლებოდა ჩვენი დედებისა და ბებიების აზრით „კრიმინალურ“ თამაშობად და ლეგალურად მისი თამაში აკრძალული გვქონდა, ამიტომ არალეგალურად მიმდებარე ე.წ. „ოხერ“ ბაღში, მაღულად ვთამაშობდით ამ თამაშს. მე მქონდა სპეციალური სამალავი, სადაც ვინახავდი მოგებულ კოჭებს ან კაკალს. ღმერთს არ ექნა, რომ ისინი ბებია მართას ენახა. აუცილებლად დამსჯიდა. მისი დასჯის უმაღლესი ფორმა იყო ის, რომ მეტყოდა „....შენ ჩემი შვილიშვილი არ ხარ, ამ „ჩაჩნებთან“ (ასე ეძა-

ხდა ყველა არაქართველ ბავშვს) როგორ გაბედე თამაში, მათსაცით „ჩაჩანი“ ხარდა რამდენიმე დღე როცა ველაპარაკებოდი, ამაყად, პირქუშად დამყურებდა, არაფრით არ გამიცინებდა, არ მომეფერებოდა, მე კი მისი ზღაპრების მოყოლა ძილის წინ და მოფერება ყველაფერს მერჩივნა. ამიტომ „ვეშმაკობდი“, ამ „კრიმინალურ“ თამაშს თავს ვერ დაგანებებდი და სამალავში ვმალავდი „მონაგებს“. ხანდახან იმდენი კაკალი მიგროვდებოდა, რომ ერთ საცივს ეყოფოდა, მაგრამ არასოდეს წამდლია სულმა და არ მიჭამია (ბევრი მაინც) ეს მოგებული კაკლები, ბებოსთან კი ჩემი ამ წარმატებით ვერ დავიტრაბახებდი. რა თქმა უნდა, მაინც შემირიგდებოდა...

ერთი ცოდვაც მაქვს... მრავალჯერ დავარღვიე ბებიასთვის მიცემული პირობა...

ჩვენი ბავშვური „დიზაინის“ დიდი ნიმუში (რომლის გამომგონებლის სახელი და გვარი საუბედუროდ არ შერჩა ქვეყანას) იყო ე.ნ. „ავჭალურით კენწლაობა“ (ასეთი ტერმინიც არ არის შემორჩენილი ქართულ ენაში), ავჭალურის ე.ნ. „ბურთი“ წარმოადგენდა დაახლოებით 12-14 სანტიმეტრის ნაჭრის (უმჯობესი იყო მამაკაცის უკვე უვარგისი, გადაჭრილი ნაჭრის წინდა, ერთ მხარეს შიგნიდან რომ ამოვკერავდით. შემდეგ ჩავყრიდით მასში ოჯახში „მოპარულ“ ლობიოს ან სიმინდის მარცვლებს (ერთი მუჭა საკმარისი იყო), შემდეგ ოსტატურად ისევ შიგნიდან ამოვკერავდით და მივიღებდით 10X40X50 სმ-ის ე.ნ. „ავჭალურს“ რომელსაც ვაკენწლავებდით ფეხით: ა) წინ გამოწვდილი ფეხის ტერფით, ბ) ფეხის ტერფის

შებრუნებული ნაწილით; „ოსტატობის“ მწვერვალად ითვლებოდა ორივე ფეხის სინქრონული მოძრაობით „კენწლაობა“. კენწლაობის „დიდოსტატი“ გახლდათ ჩემი მეზობელი — ბატონი გურამ კოდუა...

მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრული არ იყო. გამარჯვებულად ითვლებოდა ის მოთამაშე, ვინც უფრო ბევრჯერ აკენწლავდა ბურთს. თამაშის შემდეგ „ავჭალური“ (სპორტული ინვენტარის ეს ნიმუში) გამარჯვებულის პრიზს წარმოადგენდა. მახსოვს, საშუალოდ 100-200 ან მეტ „კენწლს“ აკეთებდა თითოეული მოთამაშე...

ქუჩაში ჩვენს სეირნობას ანუ ხეტიალს, რა თქმა უნდა, თუ ნაჭრის ბურთი არ გვქონდა, სავსებით ავსებდა ქუჩისთვის მოგონილი თამაში „სლიპი“ (ანუ *Салка*) ქვით თამაში. ორ, სამ ან მეტ მოთამაშეს ჩვენს სპორტულ არსენალში ყოველთვის გვქონდა ე.წ. სლიპის ბრტყელი, ოვალური ფორმის ქვა, ასეთი ქვა კარგად „გაცურდებოდა“, მით უმეტეს ასფალტზე. ჯერ ერთი მოთამაშე გააცურებდა ქვას (უნდა ეცადო, რაც შეიძლება შორს), ხოლო მეორე მოთამაშის მიზანი კი ის იყო, მისი ქვა ისე გაცურებულიყო, რომ პირველ გასროლილ ქვას შეხებოდა და ამ ქვათა შეხების შემდეგ კიდევ გადაადგილებულიყო რაც შეიძლება მეტ მანძილზე (დაახლოებით 5-7 მეტრით მაინც). ამ ეფექტის მოხდენის შემდეგ, წაგებული მოთამაშე „იძულებული“ იყო ზურგზე შეესვა მოგებული და ასე დაეფარა მანძილი, რომელიც შეიქმნებოდა ქვათა გადაადგილების დროს. რამდენადაც მახსოვს, ყველაზე „შეურაცხმყელი“ ის იყო,

რომ მოწინააღმდეგე შეგაჯდებოდა ზურგზე, ფეხებს მხიარულად აფართხალებდა და გაჰყვიროდა... „აჩუ, აჩუ ვიროვო“.

თუ მოთამაშეთა გარკვეული (5-7 მაინც ან მეტი) რაოდენობა იკრიბებოდა, მაშინ ე.წ. „გრძელი ვირის“ თამაში არ აგვცდებოდა: თამაშის წესი მეტად „ბარბაროსული“ იყო. 3-4 მოთამაშეს, რომლებიც წელში მოხრილები იყვნენ და ერთმანეთს გადაჭიდებული, ზურგზე შეახტებოდა მეოთხე მოთამაშე ისე, რომ თავი შეეკავებინა. და „ვირიდან“ არ გადმოვარდნილიყო. ვინც ჩამოვარდებოდა ის შეავსებდა ე.წ. „ნაკუზულთა“ რიგებს... და ასე შემდეგ. ერთი საათის თამაშის მერე ნამდვილად წელი გეტკინებოდა და თამაშს ანებებდი თავს...

ვისაც ლახტი არ უთამაშია, მგონია იმას ბავშვობა ვერ უგრძვნია. ლახტი ძლიერ დინამიური, კომუნიკაბელური თამაშია, სისხარტისა და მოქნილობის გარდა არტისტიზმსაც მოითხოვს. რამდენადაც მახსოვს ამ თამაშის საწყისები ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არის დაფიქსირებული ჩვენს ქართულ მეხსიერებაში თუ სპორტულ გამოცემებში. ამიტომ მისი თამაშის წესების ახსნით თავს არ შეგაწყვენთ, ერთს კი გეტყვით, რომ საკმაოდ დამღლელია, დინამიურია, ეფექტებით არის სავსე და თუ წააგე, საკმაოდ აგიჭრელებენ სარტყლით მუხლებს. თუ მოწინააღმდეგებმა „ჩაგიგდეს“ და შენი „გამოთრევა“ უნდათ ლახტის წრიდან, მაშინ „ვაი შენს პატრონს“, აქედან ფეხებში გწვდებიან შენი თანაგუნდელები და ლახტის წრის შიგნით „შეთრევას“ ცდილობენ, იქიდან

„მონინაალმდევებს“ უკავიხარ ხელებში და თავში და მთელი ლონით გარეთ „გექაჩებიან“. არ მახსოვს, რომ ვინმე „გაეხლიჩათ“ ამ გაწევა გამოწევაში, „დაჭერილი“ მოთამაშე იგრიხება, იკლაკნება, ტკივა და გაჰყევირის გამიშვით ხელი, ნუ მომკლავთო, ეს კი მონინაალმდევების და მაყურებლის დიდ სიცილსა და ხარხარს იწვევდა. ამ გაწევა-გამოწევაში კარგად ამოიგანგლებოდი მტვერში და შეიძლება ტალახშიც. ამიტომაც იყო, რომ მშობლები გვიკრძალავდნენ ამ მატერიალურად ზარალის მომყენებელ თამაშს, რადგან ჩვენი ერთადერთი შარვალი და მაისური შეიძლება ნაფლეთებად ქცეულიყო.

ამ ეროვნულ თამაშს, ალბათ, ახლაც უნდა კულტივაცია. ვფიქრობ, სანახავად შესანიშნავი იქნება, თუ ოლიმპიურ თამაშების სახეობად შეიტანენ. საქართველოში რომ დავნერგოთ, ჩვენს გზაში ჩამოძინებულ შვილიშვილებს ცოტა მაინც გამოაფხიზებს.

ერთი თამაშის შესახებაც მოგიყვებით, რომელსაც ე.ნ. „ფოლაქობანა“ ერქვა. ყველას მაინც ვერ ჩამოვთვლი და, ალბათ, არც არის საჭირო. ისე, ქალალდი ყველაფერს იტანს და თუ გინდა წერე და წერე, მაგრამ, მკითხველო, თქვენს წერვებს ვუფრთხილდები... ყველა ბავშვს გვქონდა არ ვიცი საიდან და რა მექანიზმებით ღილების სხვადასხვა ზომის ე.ნ. „ფოლაქების“ რაოდენობა. რამდენადაც ვიცი, ამ თამაშის ავტორი საქართველოს ისტორიას არ შემორჩა, ისე თუ ვინმეს ამისათვის ძეგლს დაუდგამენ, ამის ერთ-ერთი პრეტენდენტი მეც შეიძლება ვიყო (რა ვიცი რამდენი გიურ ჰყავს ამ

ქვეყანას და შეიძლება ვინმე გიუ ოლიგარქს მოუ-ვიდეს თავში ამის განხორცილება).

ე.ი. ორი ან მეტი მოთამაშე, რომლებსაც ჯიბე-ში აქვთ ღილების გარკვეული რაოდენობა, არჩევენ ე.წ. კედელს, რომელთანაც ითამაშებენ. უმჯობესია, კედელი ქვით იყოს ამოშენებული. როგორც წესი, ქვაზე შემორტყმული ბრტყელი (ნიკოლოზის დროინდელი) შაურიანი ან სპილენ-ძის ფული კარგად ირეკლება და დაახლოებით ერთი მეტრის ან 1,5 მეტრის მანძილზე ვარდება. ჯერ პირველი მოთამაშე შეასრულებს ამ სპორტულ ილეთს, მეორე მოთამაშემ ისეთი ოს-ტატობით უნდა შეასრულოს სპილენძის ან ფოლა-დის მონეტის შემორტყმა კედელზე, რომ მისი მონ-ეტა დაეცეს მონინააღმდეგის მონეტის ახლოს ერთი მტკაველის მანძილზე. მიხვალ ამ მონეტებთ-ან, დააზომავ მტკაველს და თუ შენი თითები ორივე მონეტას შეეხო, მოგებული ხარ. შეთანხმე-ბის თანახმად შენი ყულაბა შეივსება ერთი, ორი ან მეტი ღილით. ამ თამაშის კულმინაციურ „ოს-ტატობას“ წარმოადგენს მონეტის (რომელსაც ბავშვები **კოპცა-ს** ვუწოდებდით) სროლა როცა ამ **კოპცა-ს** ისეთი ასხლეტით გაუშვებ კედლიდან, რომ ის ზუსტად „მონინააღმდეგის“ **კოპცა-ს** დაეცემა. აი, ეს არის ღილების სამმაგი მოგების მომასწავლებელი. ასეთი დიდოსტატეტებიც ბევრი გვყავდა უბანში, მათი პაექრტობა დიდ ინტერესს იწვევდა. თამაში დამთავრებულად ითვლებოდა მაშინ, როცა ერთ-ერთ მოთამაშეს ღილები გაუთავდებოდა. ჩემს „რეკორდად“ მიმაჩნია ერთი თამაში, როდესაც ჩემს ბავშვობის მეგობარს ოთარ

კოხრეიძეს რამდენჯერმე ჩამოვატანინე სახლ-იდან თამაშის გასაგრძელებლად ღილები. შემდეგ მას მისი უფროსი ძმა თამაზი წამოეხმარა, მაგრამ ეტყობა იმ დღეს ფორტუნა ჩემს მხარეს იყო — ორივე დედაშობილად გავჟცქვენი. ჩემი დიდი გამარჯვებით კმაყოფილი წავედი სახლში, დავმალე სამალავში მონაგარი ღილები და ბებიას მორთ-მეულ სადილის შევექცეოდი, ეზოს კარიდან რომ მომესმა ძმების — ოთარისა და თამაზის ძახილი, ჩამოდი, თამაში გავაგრძელოთ. საჩქაროდ მივა-შურე ჩემს სამალავს და გავუტანე ძმებს მათი წაგებული ღილები. როგორც გავიგე, თუ კი სახ-ლში რამე ტანსაცმელი ჰქონდათ მამის, დედისა თუ უფროსი ძმის, ყველაფერზე ღილები აუ-ჭრიათ... „თავი დამანებეთ, ბებიამ არ გაიგოს თქვენი მოსვლის მიზეზი-მეთქი“, რადგან ეს თამა-შიც ბებიაჩემის თვალში კრიმინალურად იყო მონათლული და მიშლიდა. შემდეგ ყმაწვილკაცო-ბაში არა ერთხელ იუმორით მომიყოლია ძმების თანდასწრებით რა დღეში ჩავაგდე ძმები კოხრეიძეები. ეჰ, რამდენი გვიცინია ამ ჩვენს ბავშ-ვობის მოგონებებზე...

ისე, დიდი გამომგონებელი ბებია მყავდა მარ-თა ჩიქოვანი. ასე 3-4 წლის ვიყავი, რომ შემასწავ-ლა ბანქოს, ნარდის, ჭადრაკის თამაში, მზად იყო მთელი დღე ეთამაშა ჩემთან, ოღონდ, როგორც მოგახსენეთ, ქუჩაში არ გავსულიყავი და მისი ლა-კონური გამოთქმით „... იმ ჩაჩან ბავშვებთან“ არ მეთამაშა.

რომ წამოვიზარდეთ, ასე 14-15 წლიდან, თუ წვიმიანი ამინდი იყო, ეზოში ტურნირებს ვმარ-

თავდით ჭადრაკის, ბანქოს, ნარდის გათამაშებაში — ესეც ჩვენი ბავშვური უფრო ინტელექტუალური გასართობი იყო...

ჩვენს ეზოში თითქმის ყველანი ერთი კლასის — მატერიალურად ხელმოცარულთა ფენას მივეკუთვნებოდით. თითქმის ყველას თითო ოთახი გვეკონდა საცხოვრებლად. რაც უფრო მეტი კვადრატული მეტრის იყო ეს საცხოვრებელი ოთახი, მით უფრო დიდ ბინად ითვლებოდა. ყველას ერთი საპირფარებელი ორსართულიან სახლში, ერთი ცივი წყლის ონკანი სართულზე. ამავე დროს თითო სართულზე დაახლოებით 11-12 ოჯახი ცხოვრობდა, მაცხოვრებელთა რაოდენობა თითოეულ სართულზე კი 35-40 ადამიანს აღემატებოდა... დაახლოებით უკვე ნარმოსადგენია ის საცხოვრებელი და სანიტარული პირობები, რაც ეზოში სუფევდა. საბედნიეროდ, არცერთი ბავშვი არ დაავადებულა რაიმე ინფექციური ვირუსით და ვინც კი შევრჩით ჩვენს მშობლებს, ყველანი გავიზარდეთ...

ჩვენდა საბედნიეროდ, ჰიგიენის დაცვის საუკეთესო საშუალება გახლდათ ალბათ ისიც, რომ ე.ნ. აბანოთა უბანში ვცხოვრობდით და რამდენიმე კაპიკად ცხელი გოგირდის აბანოები კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩვენს განკარგულებაში იყო...

მაშინ ბიჭებს, ელემენტარული ბურთიც კი არ გვქონდა, რომ გვეთამაშა. გინდ დამიჯერეთ გინდ არა — ფეხბურთის სათამაშოდ დაახლოებით 40-იანი წლების დასასრულამდე ნაჭრის ბურთებს ვკერავდით. ასეთი ნაჭრის ბურთების მკერავი და

შემკონიწებელი გახლდათ ჩემი ძმა ანზორი. სადღაც მონახავდა გადაყრილ ნაჭრის ან შალის წინდებს, დატენიდა მათ ნაპოვნი, გამოუსადეგარი ქსოვილებით და დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ამ „ბურთისათვის“ მრგვალი ფორმა მიეცა. შემდეგ ვიღაცა ღვთისნიერი მეზობელი ან ბებია გვათხოვებდა ნემსსა და ცოტაოდენ ძაფს, რომ შეძლებისდაგვარად ამოგვეერა ეს „ხელოვნების ნიმუში“ (ძაფიც და ნემსიც დეფიციტი იყო მაშინ და ყველა ოჯახის ქალი უფროთხილდებოდა). რა თქმა უნდა, ასეთი „ბურთი“ ვერაფრით მიიღებდა სრულყოფილ (მრგვალ) ფორმას, მაგრამ რა გვექნა, მითაც ვკმაყოფილდებოდით... ყოველ შემთხვევაში, ასეთი ნაჭრის ბურთი იმ დროისათვის სპორტული დიზაინის მწვერვალი გახლდათ. ახლა წარმოიდგინეთ ასეთი ბურთით ფეხბურთის თამაში უსწორმასწორო ხრეშით, აგურის ნატეხებით, აქა-იქ ჩაღრმავებული წყლის გუბეებით სავსე გზაზე. ასეთ მოედანზე ფეხბურთის თამაში შეიძლება შეუძლებლად წარმოედგინოს თანამედროვე ადამიანს, მაგრამ ჩვენთვის ეს ასპარეზობა მხოლოდ სიხარულსა და სპორტულ ჟინს გვიღვივებდა. ისიც არის აღსანიშნავი, რომ ფეხზე არაფერი გვეცვა, ანუ ფეხშიშველები ვაგორავებდით ამ „ბურთს“ და „კომბინაციური“ ხრიკებით კარშიც კი გაგვქონდა. ვერავინ წარმოიდგენს ასეთი ფეხბურთის თამაშს, ვისაც თავად არ უთამაშია. ყველაზე მტკიცნეული ტრავმა ამ თამაშში იყო ის, რომ მოქნეული ფეხშიშველა ფეხი ხშირად ბურთს აგვიცდებოდა და ფეხის თითები მთელი სიმძლავრით მინას (ხრეშს) ეხეთქებოდა... დამ-

იჯერეთ, ასეთი ტრავმა ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ ამის გამო ფეხბურთის თამაში არავის მიუტოვებია და დეზერტირობა არ უკისრია. ის კი არა, გუნდში „მოხვედრა“ კონკურსით განისაზღვრებოდა. „მონინაალმდეგები“ ჯერ ვირჩევდით თავკაცებს (კაპიტებს) და ისინი ირჩევდნენ ჩვენს შორის „ფეხბურთელებს“. ამ ამბავმა გამახსენა ინდოეთის რესპუბლიკის ქალაქ კალკუტის ფეხბურთელთა გუნდი. ისინი გასული საუკუნის 50-იანი წლების შუალედში ჩამოვიდნენ თბილისში ფეხბურთის ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად თბილისის დინამოსთან. აბა ასეთ საერთაშორისო მნიშვნელობის მატჩის ჩვენი უბნის ბიჭები როგორ გავაცდენდით და თითქმის ყველანი წავედით თამაშის სანახავად. 15-16 წლი სანამ არ შემისრულდა, არ მახსოვს მატჩზე დასასწრები ბილეთი მეყიდოს. ავირჩევდით სტადიონზე „შეპარვის“ მეთოდს და ამ მეთოდით (ამ „მეთოდებზე“ ქვემოთ მოგახსენებთ) საერთაშორისო მატჩის მოლოდინში მივირთმევდით მზესუმზირას და ველოდით თამაშის დაწყებას, საფეხბურთო ბატალიებს, ერთი სიტყვით „ბალელშიკობას“. როგორც იყო, გაისმა ყველასათვის ცნობილი საბჭოთა ფეხბურთის დაწყების მომასწავებელი სასიამოვნო მელოდია და ძველი დინამოს გვირაბიდან, რომელიც მაშინ განთავსებული იყო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ტრიბუნების გასაყარზე, გამოჩნდნენ თბილისის დინამოს და კალკუტის საფეხბურთო გუნდები. გამოჩენით კი გამოჩნდნენ და მიირბინეს მოედნის ცენტრში... ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ კალკუტის გუნდი ე.ნ. 15 წუთიან

მოთელვაზე მოედანზე არ გამოსულა, რაც ჩვენს დიდ გაკვირვებას იწვევდა. ეს პირველი გაოცება გაგვიფერმკრთალდა, როცა დავინახეთ მოედნის ცენტრში ჩამწკრივებული ინდოელი ფეხბურთელები. ჰოი, საოცრებავ! არც ერთ ფეხბურთელს ფეხზე ბუცები არ ეცვა — ფეხშიშველნი გამოვიდნენ მოედანზე. გაოცება საყოველთაო სიცილმა და ხალხის ხარხარმა დაფარა. ახლა უკვე გაოცებული ეს „საწყალი“ ინდოელები იყვნენ. ვერ გაეგოთ თუ რა ხდებოდა. როგორც იქნა მოედანზე გამოჩნდა თარჯიმანი, რომელიც ინტენსიურად რაღაცას უხსნიდა ინდოელებს, ისინი თავს აქეთიქით იქნევდნენ, ხელებისა და ფეხების ჟესტიკულაციით რაღაცას უხსნიდნენ თარჯიმანს. თამაშის დაწყება რამდენიმე წუთით გადაიდო. ინდოელი „ფეხბურთელები“ გასახდელში დააბრუნეს. მართლაც, ალბათ, 15-20 წუთში გამოჩნდნენ კვლავ მოედანზე, ოლონდ ამ ჯერზე ყველას ბუცები ეცვა. რადიომ გამოაცხადა, რომ ინდოელები თავის ქვეყანაში ფეხბურთს ფეხშიშველები თამაშობენ...

აბა, ამ წინა ისტორიის მოყოლის შემდეგ რა „ფეხბურთი“ უნდა გვეყურებინა. ინდოელები ისე გამოიყურებოდნენ, როგორც საქართველოს ნაკრები ჰოკეიში, რომლებსაც პირველად ჩააცვეს ციგურები, მხოლოდ პირდაპირი გზით სვლა ასწავლეს და ისიც „კლუბკაზე“ დაყრდნობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ყინულზე ეცემოდა. აი, ასეთი ჰოკეის გუნდი შექმნეს საქართველოს სპორტის მესვეურებმა 60-იანი წლების შუალედში, ათამაშეს საბჭოთა კავშირის რომელიღაც „ჭ“

ჯგუფში, სადაც ყველა მატჩი წააგეს ასტრონომიული ანგარიშით (ასეთ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი საქართველოს სპორტის ისტორიაში).

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ინდოელ ფეხბურთელებს. საწყლები, ძლივს გადაადგილდებოდნენ მოედაზე, ბუცებს მიუჩვეველნი ხშირად ეცემოდნენ. აბა, რა ფეხბურთი გამოვიდოდა. სხვათა შორის, მაშინდელი თბილისის დინამო საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა ფეხბურთმი და ძლიერი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული: მარლანია, ძიაპშა, შავგულიძე, ანთაძე, ჯეჯელავა, პაიჭაძე, ლოლობერიძე და სხვები.

ასე რომ, „შესანიშნავი“ სპორტული შოუს მაყურებლები გავხდით. სიცილსა და ხარხარში ძლივს მივატანინეთ ინდოელებს ორჯერ ჩვენს კარამდე ბურთი და მოვუგეთ კალკუტელებს ასტრონომული ანგარიშით 15-2 თუ სხვა ციფრით. აბა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ როდესაც გავიზარდე და გავეცანი, ასე თუ ისე, ფეხბურთის წარმოშობის ისტორიას, გამიკვირდა. ინდოეთი ხომ ასწლეულების მანძილზე იყო ინგლისის იმპერიის კოლონია, ფეხბურთი კი ინგლისში დაიბადა. ნუთუ კოლონისტებმა იმდენი ვერ აუსსნეს საწყალ ინდოელებს, რომ ფეხბურთი ბუცებით ეთამაშათ. საბჭოთა პროპაგანდა, ალბათ, ამას კაპიტალიზმისა და იმპერალიზმის ხრიკებად განიხილავდა. თუმცა, როგორც მერე გავიგე, ამ გუნდს მოსკოვშიც უთამაშია ერთი თამაში და ვერსად ვერ მივაგენი რაიმე საინფორმაციო წყაროს, ვისთან ითამაშეს

და როგორ, უბრალოდ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიიდან ამოღებულია ინდოელ ფეხბურთელთა „ვიზიტი“ საბჭოთა კავშირში. ისიც გასაკვირი იყო, რატომ „გაგვაშაყირეს“ მოსკოვში და ასეთი ე.ნ. ფეხბურთის გუნდი გვაკადრეს თამაშისათვის. აქ კი ნამდვილად რუსულმა შოვინიზმა იზეიმა.

ბოლოში, ნება მომეცით, დავუბრუნდე ჩვენი ბავშვობის ნაჭრის ბურთს და ჩვენს პირველ ნაბიჯებს დიდ ფეხბურთში. არ მახსოვს რამდენ წელიწადს ვთამაშობდით ასეთი შესანიშნავი ნაჭრის ბურთით. იმას კი ვიხსენებ, რომ ჩვენი უბნის თანაგუნდელებიდან სამმა ახალგაზრდამ შემდეგში პროფესიონალურ ფეხბურთში გააგრძელა კარიერა. ერთი თბილისის ლოკომოტივში თამაშობდა, ხოლო ორი — რუსეთის პირველ ლიგაში. შემდეგში, დაახლოებით 50 წლების შუალედში, გამოჩენდა რაღაც ახალი ბურთი, რომელსაც ლოსის ბურთი დავარქვით. ნაჭრის ბურთთან შედარებით დიდი პროგრესული რამ იყო, ოლონდ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა — წვიმის დროს თუ დასველდებოდა, საშინლად იცვლიდა ფორმას, ადგილ-ადგილ იბურცებოდა ელიფსისებრ, დაახლოებით 10-15 კილოგრამიან საზამთროს დაემსგავსებოდა და თამაშის შუაგულში სკდებოდა, იფუშებოდა ისე, რომ ე.ნ. რეაბილიტაციას არ ემორჩილებოდა. თანდათანობით გაჩნდა ტყავის შემცველი მატერიალი, ტყავის ბურთები, რომლებიც ე.ნ. რეზინის კამერით იბერებოდა. ყოველი თამაშის წინ უნდა გაგებერა ასეთი ბურთი, თასმებით შუაში შეგეკრა, მაგრამ რად გინდა — მასში მოთავსებული რეზინის კამერა ამ ხრეშიან მოედანზე, ან

ეკალ-ბარდში გადავარდნილი — უმოწყალოდ იჩუტებოდა. შემდეგ ვისწავლეთ ამ კამერის დაწე-ბება, რომ მისი ვარგისიანობა გაგვეგრძელებინა ცოტა ხნით მაინც. 60-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა მაშინდელი დროისთვის ყველაზე საუკეთესო ტყავის ბურთები, რომლითაც უკვე ყმანვილკაცები ვთამაშობდით საქალაქო, სა-რაიონო, საინსტიტუტო ტურნირებზე, მაგრამ ეს უკვე სხვა ფეხბურთი იყო და უკვე სხვა დრო იყო მოსული დედამიწაზე. შემდეგში, როცა შვილები შემეძინა, რა ფეხბურთის ბურთი არ მქონდა სახ-ლში — ზოგი ნაყიდი, ზოგი სახელოვანი ფეხ-ბურთელების მიერ ნაჩუქარი, რომლებსაც 70-იანი წლების დასაწყისში დავუმეგობრდი, მაგრამ უკვე საბავშვო ფეხბურთისთვის სხვა გარემო შეიქმნა, ჩვენი შვილები უკვე გარკვეულ იზოლაციაში აღ-მოჩნდნენ ე.ნ. უბნის, ქუჩის გარემოცვიდან და ეს ბურთები მხოლოდ სუვენირების სახით ამშვენებ-და ჩვენი ოთახის ინტერიერს.

ჩვენი ბავშვობის თავისუფლად გადაადგილებ-ის კომუნიკაციებზე მოგახსენებთ და ამ თემას თქვენი ნებართვით, უფრო დაწვრილებით ავხსნი კონკრეტულ მაგალითებზე. სწავლით ვსწავლობ-დით, და უნდა მოგახსენოთ, არც თუ ისე ცუდად. ე.ნ. „შატალო“ გართობის თუ „დროის ტარების“ საუკეთესო საშუალება იყო, განსაკუთრებით ორ-შაბათობით, როცა კინოთეატრებში ახალი კინო-ფილმი გადიოდა. თუ კინოში არა, მაშინ თბილი-სის ზღვას, კუსა და ლისის ტბას ვსტუმრობდით, ან ტრამვაიზე ჩამოკიდებულები ან გატენილი ავ-ტობუსით. ჩვენი გადაადგილების სატრანსპორტო

საშუალებები ძალზე მნირე იყო. წარმოიდგინეთ, ხშირად ფეხით ავუყვებოდით ვაკის პარკის ბორცვებიდან კუს ტბამდე ან საბურთალოს აღმართიდან ლისის ტბამდე. თბილისის ზღვაზე აღბათ საათში ერთი ავტობუსი ადიოდა და გაჩერებაზე დიდი გულმოდგინება უნდა გამოგეჩინა, რომ ასეთ ავტობუსში მოხვედრილიყავი. იყო ერთი განევ-გამოწევა, ხანდახან ჩხუბიც... შემდეგ ავტობუსში ყურადღებით უნდა ყოფილიყავი, რომ კონდუქტორის თვალის არეში არ მოხვედრილიყავი (აბა ბილეთის ფული სად გვექნებოდა. ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი უბილეთო მგზავრობის მსურველები არც თუ ისე მცირე რაოდენობით იყო, და თუ კონდუქტორი „გამოგიჭერდა“, ავტობუსიდან ან ტრამვაიდან ჩამოსმა არ აგცდებოდა).

ვერც კი წარმოიდგენთ, რა მრავალფეროვანი იყო ჩვენი ბავშვობის სპორტული ცხოვრება. თუკი სურვილი გქონდა, თავისუფლად ჩაეწერებოდი რომელიმე სპორტულ სექციაში. ასე მოვიარე ბავშვობაში ფარიკაობის (ფრანგული ფილმის „სამი მუშკეტერის“ ნახვის შემდეგ), ცოტა ხანს ცურვაზეც დავდიოდი, შემდეგ კალათბურთმა გამიტაცა და ა.შ. რაც შეეხება ფეხბურთს, სპორტის ეს სახეობა ჩვენი ბავშვობის ყველაზე საყვარელი თამაში გახლდათ. ჩვენი ბავშვობის ფეხბურთზე უფრო ქვემოთ მოგახსენებთ, ახლა კი მომეცით ნება, გავაგრძელო წამოწყებული თემა...

ხშირად დავდიოდით ვერის (მაშინდელ კიროვის) პარკში, სადაც იმართებოდა თბილისის დინამოს კალათბურთელთა თამაში. როგორც მახსოვს, მაშინ საკავშირო პირველობა კალათბურთში

ეტაპობრივად მიმდინარეობდა სხვადასხვა ქალაქებში. ჩამოდიოდა 5-6 გუნდი და იწყებოდა წრიული თამაშები. მაშინდელი 40-იანი წლების დასასრულის კალათბურთის შედარება დღევანდელთან, თითქმის შეუძლებელია. ტურნირი ღია ცის ქვეშ წვრილად დაფხვებილი აგურის საფარიან მოედანზე ტარდებოდა, არავითარი დროის შეზღუდვები ბურთის ტარებისას არ არსებობდა, ასეთ ინერტიული ტემპის კალათბურთში, რა თქმა უნდა, იმარჯვებდა ის გუნდი, ვისაც ტანმაღლი კალათბურთელები ჰყავდა...

თუმცა, ამან მაინც ვერ უშველა ალმაათის დინამის კალათბურთელებს, რომელთა რიგებშიც თამაშობდა ყველაზე ტანმაღლი კალათბურთელი ახტაევი (2 მეტრი და 32 სანტიმეტრის სიმაღლის). ერთმა კაცმა გაზაფხული ვერ მოიყვანა. სპორტულ შოუს წააგავდა მათთან თამაში, რომელიც მრავალი მაყურებლის სურვილის დასაკარისულებლად თბილისის ტენისის კორტებზე ჩაატარეს სანაპიროზე. რა თქმა უნდა, ჩვენ, ბავშვები მერცხლებივით და მტრედებივით შემოსკუპებულები ვადევნებდით თვალს ამ სანახაობას. ყველას მაინც ახტაევის თამაში აინტერესებდა, ხუმრობა ხომ არ იყო... მაშინ მსოფლიო კალათბურთშიც კი არ იყვნენ ასეთი სიმაღლის მოთამაშები. იწყებოდა თითქმის საცირკო ნომერი, ბურთის გამოტანა ალმაათელთა კალათბურთელების მიერ, ისინი (ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი გასწვრივი (მარცხნივ და მარჯვივ) გადაცემებით დრო მოეგოთ, რათა ახტაევი არა სირბილით, არამედ ბაჯბაჯით მიახლოვებოდა

თბილისის დინამოელთა კალათს (არავითარი სამნამიანი შეზღუდვა არ არსებობდა). იქ ელოდებოდა, როდის გადასცემდნენ მას მაღალ ბურთს და თუ ამას მოახერხებდნენ, იქვე ჩატენიდა მოწინააღმდეგის კალათში, რომელიც მას თავამდე წვდებოდა.

შემდეგში გავიგე, რომ ამ საწყალს ასეთი გიგანტური სიმაღლისა და ზედმეტი წონის გამო ფეხები დაავადებული ჰქონია, არც ისე დიდხანს უთამაშია კალათბურთი, ძლიერ ახალგაზრდა გარდაიცვალა. მაინც ვერ მოუგეს ჩვენ დინამოელებს, აქ თავი იჩინეს კალათბურთისათვის ტანდაბალმა დინამოელებმა ჯორჯიკიამ, კილაძემ და სხვებმა, რომლებიც თამაშის კლასითა და სპორტული ეშმაკობით გაცილებით აღემატებოდნენ ალმათელებს და გათამაშების დროს პირდაპირ ცხვირწინ აცლიდნენ მოწინააღმდეგებს ბურთს... და ახლა წარმოიდგინეთ ახტაევი თბილისის დინამოელთა კალათთანაა, კილაძემ ბურთი ააფცევნა ალმათელს, სწრაფი გადაცემა ქორქიას და ბურთი კალათშია. საწყალი ახტაევი მოლასლასებს მოედნის ცენტრისკენ, რომ გადაკვეთოს და თავის მოედანზე აღმოჩნდეს, შემდეგ ისევ ბაჯბაჯით წინ და მერე რა... ეს პატარა ტანის ქართველები ააფცევნიან ვიღაცას ბურთს და უყარე კაკალი. ხანდახან თუ ახტაევს დაცვაში დააყენებდნენ, მაშინ პირიქით, ქართველთა მიერ ნატყორცნი ბურთი მის ხელში ხვდებოდა, მაგრამ რამდენ ხანს გინდა ასეთი კალათბურთი ითამაშო და თუ ამასაც კალათბურთი ჰქვია, მაშინ მე არისტოტელე ვყოფილვარ.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის საქართველოს კალათბურთის ვარსკვლავი ოთარ ქორქია სიმაღლით სულ 1 მეტრი და 91 სანტიმეტრი იყო, ხოლო მისი თანაგუნდელები გაცილებით დაბლები იყვნენ. დღევანდელ დინამიურ კალათბურთთან იმ კალათბურთს არაფერი საერთო აქვს, NBA - სთან კი — მით უმეტეს.

ქართული კალათბურთის სასახელოდ, სიამაყით უნდა ითქვას, რომ „თბილისის დინამო“ კალათბურთის წამყვან გუნდად ითვლებოდა, მისი გამობრნების ზენიტი კი იყო 60-იან წლებში ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვება — საბჭოთა კალათბურთში პირველად. იუმორით მახსენდება ამ თასის მოპოვებასთან დაკავშირებით ერთი ამბავი. მოსკოვიდან თბილისში მოვემგზავრებოდი თვითმფრინავ T ¥104-ით. ჩემს მეგობარ, თანაკლასელ ჟორა ზონენაშვილთან ერთად. თვითმფრინავში რომ ჩავჯექით, აღმოვაჩინეთ, რომ თბილისში ჩვენთან ერთად მოფრინავდა იტალიის კალათბურთელთა გუნდი, რომელსაც თბილისში საპასუხო გადამწყვეტი თამაში უნდა ეთამაშა (როგორც მახსოვს იტალიაში პირველი თამაში ჩვენმა „დინამომ“ მოიგო არც თუ ისე დიდი სხვაობით). მხოლოდ თბილისში პაექრობას უნდა გადაეწყვიტა, ვინ გახდებოდა იმ წელს ევროპის საკალათბურთო ტურნირის მთავარი პრიზის მფლობელი. იტალიელებს მოსკოვში დახვდა თბილისის „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი, თუ არ ვცდები, გვარად სართანია, რომელიც ჩვენი სავარძლების უკან განთავსდა. დაახლოებით საათნახევარი იყო გასული ჩვენი მოსკ-

ოვიდან გამოფრენის შემდეგ, რომ მგზავრებმა შევატყვეთ, ამინდი საფრენი აპარატის გარეთ სასტიკად შეიცვალა, დაიწყო წვიმა, ერთი-ორჯერ სეტყვამაც დაიგრუხუნა (ჩემს მეხსიერებას თუ ვენდობი, ალბათ, აპრილი ან მაისი იყო), არასასიამოვნოდ შეაყანებალა თვითმფრინავი, სალონში საყოველთაო სიჩუმემ დაისადგურა, ვერ ვიტყვი პანიკა დაიწყო-მეთქი, მაგრამ შემზარავმა დამუხტულმა სიჩუმემ, ცუდი მოლოდინის განცდამ ხალხი გააქვავა — ალბათ, ყველა თავის ფიქრებში ჩაიძირა. არ მახსოვს რამ მათქმევინა ასეთი „სისულელე“, მაგრამ უორას გადავულაპარაკე: „ჩემო უორა, არ ვიცი რა დაგვემართება ახლა ჩვენ-მეთქი, მაგრამ რუსები, რომ იტყვიან „**нет худа без добра-мечтко**““. გაფითორებულმა უორამ მიპასუხა, რას გულისხმობოდა მე ავუხსენი: „ახლა ჩვენ რომ დავიღუპოთ, ჩვენთან ერთად იტალიელებსაც წავ-იმდღვარებთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისის დინამო უბრძოლველად ევროპის ჩემპიონთა თა-სის მფლობელი გახდება-მეთქი“ — უორამ ცინი-კურად გადმომხედა, ერთი კი გავიგე „ვაი, შენს პა-ტრონსო“, მაგრამ მთავარი შემდეგ დაიწყო... უკა-ნა სავარძელზე მჯდომი ამხანაგი სართანია ზამ-ბარასავით წამოხტა სავარძლიდან, მწვდა ყელში თუ მხარზე, შემაჯანჯლარა ერთი-ორჯერ, მოვ-იხედე და დავინახე ასე, დაახლოებით 45-50 წლის გააფთორებული, სახეშეშლილი თბილისის „დინა-მოს“ ხელმძღვანელი, რომელმაც შემომყვირა ის-ტერიულად: „ამას რას ამბობ, შე სულელო, ჯანდ-აბას წაუღია თბილისის დინამო, ჩემპიონთა თასი, შენ, ალბათ, ამონყვეტილი ხარ ოჯახიანად, მე კი

სახლში ცოლ-შვილი, შვილიშვილები მელოდები-ან და აქრასროშავო“. არავითარ აგრესულ ქმედებაზე არ მიფიქრია... ალბათ, შემრცხვა კიდეც ჩემი საქციელის. წაიკითხა თუ არა სასონარკვეთილმა ეს მონოლოგი, თავის სავარძელს დაეხეთქა, ორივე ხელი თავზე შემოირტყა და გაჩუმდა. არ გასულა სულ რამდენიმე წამი, რომ რეპრედუქტორმა გამოაცხადა: „ამინდის გაუარესების გამო თვითმფრინავი წყვეტს ფრენას და 15-20 წუთში აეროპორტ „მინ-ვოდიში“ დავეშვებით“. მართლაც მშვიდობიანად დავეშვით მინ-ვოდიში. სადაც დაახლოებით 7-8 საათი ველოდეტ თბილისისკენ გამოფრენას... ჩვენი იტალიელი სტუმრები კომფორტულ ავტობუსებში ჩასვეს და ქალაქში გაამგზავრეს, რადგან აეროპორტში მათი დასვენებისა და სადილისთვის შესაფერისი რესტორანი არ აღმოჩნდა. შემდეგ ასე, 4-5 საათში გავიგეთ, რომ თვითმფრინავის გაფრენა შესაძლებელია, მაგრამ იტალიელებს ველოდებოდით, რომლებიც რესტორანში სადილობდნენ. როგორც იქნა, ისინიც გამოჩნდნენ. მე და ჟორა კი ლამის შიმშილით დავიხოცეთ, კაპიკი ფული არ გვქონდა, აბა მოსკოვიდან ფულით რომელი ახალგაზრდა დაბრუნდებოდა...

ასე ვიყავით აეროპორტისა და მის შემოგარენში მშიერ-მწყურვალნი მე და ბატონი ჟორა და ნერწყვებს ვყლაპავდით, რამეთუ თითქმის ყველა მგზავრი დანაყრდა. ეს ახლაა, ასეთ შემთხვევაში რომ მგზავრებს უფასოდ ასადილებენ, თორემ, მაშინ 60-იანი წლების დასაწყისში, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. რაღაც სტენდთან ვიყავით გაჩ-

ერებულები, ვიღაცამ მხარზე ხელი რომ დამადო, მივიხედე და „დინამოს“ ხელმძღვანელი არ აღმოჩნდა? მართალი გითხრათ, დავიძაბე, შინაგანად მის შესაძლო აგრესისათვის მოვემზადე, მან კი ჩაიცინა და გვითხრა: „ალბათ, დიდხანს გალოდინეთ, ბიჭებო. რა მექნა, იტალიელების ხასიათი ხომ იცით, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნადო“, შემდეგ თითქოსდა გუმანით რაღაცას მიხვდა... „აბა, წამომყევით ბიჭებო“, ხელკავი გაგვიყარა, კაფეში შეგვიყვანა, კათხა ლუდით და სოსისებით გაგვიმასპინძლდა. მგონი, კარგი ყმანვილები ხართო, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ჩვენს თვითმფრინავში ერთი მგზავრიც არ დარჩენილა, რომ ბილეთი არ ეთხოვოს ჩემთვისო, თქვენ კი გაჩუმებული ხართ, ხვალ მოდით სპორტის სასახლეში და პირველ სალაროში თქვენთვის ორი ბილეთი იქნება დატოვებულიო. შემდეგ მე მომმართა: „ერთი თხოვნა მაქვს... თბილისის აეროპორტში ჩაფრენამდე ფრენის დროს არავითარი კომენტარი არ გააკეთო, ღმერთმა ქნას, ცოცხლები ჩავიდეთ. ამ სტუმრების მასპინძელი რომ არ ვიყო, აქედან მატარებლით წავიდოდიო... ჩვენმა კეთილმა ნაცნობმა დაპირებული შეასრულა და იმ დიდი დეფიციტური ბილეთების მფლობელები გაგვხადა. ვიგულშევმატკივრეთ, მარა რა ვიგულშევმატკივრეთ. მახსოვს, ერთი კვირა ხმა გვქონდა ჩახლიჩილი. ასე მგონია, ასეთი სიხარული, რაც იმ დღეს სუფევდა სპორტის სასახლეში, არც მინახავს არასოდეს. ხალხი ერთმანეთს კოცნიდა, ეხვეოდა, ზოგს ცრემლიც კი უკიიაფებდა თვალებში. პატარა ამბავი ხომ არ იყო

— ამ ერთმა ციცქნა ქვეყანამ იტალია დაჩაგრა და ქართული კალათბურთის ფენომენი მსოფლიოს კალათბურთის ისტორიაში ჩაიწერა. ეს მაშინ, როდესაც მოსკოვისა და რუსეთის კალათბურთის გუნდებს „ცსკა“-სა და „დინამოს“ ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ. იმ დღეს ქართველმა კალათბურთელებმა და მაყურებლებმა სპორტული დიდორის ბრძოლა მოვიგეთ. ესეც ჩემი თაობის ამ დიდი გამარჯვების თანამონაწილე თაობის გამარჯვებად მიმაჩნია...

სწორედ ამ პერიოდში აღზევებას განიცდიდა ქართული წყალბურთი, ახლანდელ ვერის აუზის მოპირდაპირე მხარეს პატარა გადაუხურავი აუზი იყო — 200-250 მაყურებელზე გათვლილი. აქ, ამ აუზში აღიზარდნენ ქართული წყალბურთის ისეთი გიგანტები, როგორებიც იყვნენ პეტრე მშვენიერაძე, გივი ჩიქვანაია, გვახარია, გოგოლაძე, ჩხიკვაძე და მრავალი სხვა. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდები ჩვენი თაობის ასაკის ხალხი, ერთი თავით სჯაბნიდა წყალბურთში მაშინ ყველაზე სახელოვან მოსკოვის „დინამოს“ გუნდს. 50-იანი წლების დასასრულს ისინი საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ — არაერთგზის. ბოლოს არაერთი მცდელობისა და პირადი ზემოქმედების შემდეგ პეტრე მშვენიერაძე და გივი ჩიქვანაია მაინც „გადაიბარეს“ და მოსკოვის დინამოში ამოაყოფინეს თავი, შესანიშნავი ბინები მისცეს მოსკოვის ლენინგრადის პროსპექტზე, მანქანები აჩუქეს და ამის შემდეგ ჩვენი ქართული წყალბურთის მზეც თანდათანობით ჩაესვენა, თუმცა 2-3 ადგილს საკავშირო პირველობებზე არავის არ ვთმობ-

დით. აბა, გვახარიასთან, მშვენიერაძესა და ჩიქ-ვანაიასთან ჩვენ გამარჯვება არ გვეწერა და, ისევ და ისევ, როგორც ჩვენ ისტორიულ წარსულში ხდებოდა, ქართველების მიერ დამარცხებული ვრჩებოდით.

80-იანი წლების დასაწყისში, როცა მოსკოვში გადამიყვანეს სამსახურში, საშუალება მომეცა ახლოს გამეცნო ბატონები პეტრე მშვენიერაძე და გივი ჩიქვანაია. პირადად გივი ჩიქვანაიას ჩემს მეგობრად ვთვლი დიდი ხანია, მით უმეტეს, ისეთი საერთო მეგობარი იყო ჩვენს შორის შემაკავშირებელ ხიდად, როგორიც გახლდათ უდიდესი, მევიტყოდი რუსები რომ იტყვიან „самородок“-ი მოჭიდავე და დიდი ქართველი შოთა ლომიძე. არაერთხელ გვიყვებოდა მისთვის ჩვეული იუმორით, თუ როგორ შემთხვევით, ჯარში მსახურების დროს, მოხვდა საჭიდაო ხალიჩაზე, სამხედრო სამსახურის ორი თუ სამი წლის განმავლობაში, თანდათანობით გაიარა გზა სამხედრო ოლქის (კიევის) ჩემპიონობიდან, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობამცე. იხსენებდა თუ რა ზენოლას ახდენდნენ მასზე, რომ რუსეთში დარჩენილიყო საცხოვრებლად და სპორტული კარიერის გასაგრძელებლად, მაგრამ „მე ჩემი საქართველო და სოფელი ოფშკვითი ყველაფერს ვარჩიეთ“.

ბატონ გივის არაერთხელ წავუყვანივარ მოსკოვის „დინამოს“ საცურაო აუზზე საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირების მატჩებზე. გივი მაშინ უკვე თითქმის ათი წელი იქნებოდა საბჭოთა წყალბურთის ფლაგმანის მოსკოვის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი. სანახაობრივად შესანიშნავი

მატჩები მაქვს ნანახი. ამ სანახაობის რეჟისორი (მწვრთნელი) კი ქართველი გივი ჩიქვანაია გახლდათ, ხოლო სპორტულ მოედანზე (აუზში ანუ წყალში) მისი ჩანაფიქრის ღირსეული შემსრულებლები ძმები მშვენიერადები და კიდევ ერთი თუ ორი ისევ ქართველი წყალბურთელი (რომელთა გვარებიც ახლა არ მახსენდება).

გადაჭარბებულ შედარებად არ ჩამითვალოთ — ეს მართლაც ასეთ ვიზუალურ სურათს ქმნიდა — მხედველობაში მაქვს პეტრე მშვენიერაძის ვაჟების გადაადგილება წყალში. თავისი სისწრაფით, ცურვის მანერით მართლაც დელფინებს ჰგავდნენ, მით უმეტეს, როცა წყალში სწრაფი სვლა-გეზის დროს 360 გრადუსით შემოტრიალდებოდნენ და ასე იცილებდნენ თავიდან „აბეზარ“ მონინაალმდეგეს.

აი, ასეთი სურათის მოწმე ვიყავი, როცა რუსეთის გუნდი, დაკომპლექტებული ქართველებით საბჭოთა კავშირის (იმპერიის) ჩემპიონები და ევროპის თასის მფლობელები, ოლიმპიური თამაშების ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები ხდებოდნენ.

ერთხელ, პრივატულ პურმარილზე პეტრე მშვენიერაძესა და გივი ჩიქვანაიასთან ერთად, ალბათ ალკოჰოლმა მომცა გამბედაობა და შევკადრე „კარგი, მე სამხედრო ვარ და კაციშვილი არ მკითხავს, სად უნდა გავიარო სამსახური-მეთქი და თქვენთვის დრო ხომ არ არის, საქართველოში დაბრუნდეთ ამ ძულობებთან ერთად და ქართული სპორტი ასახელოთ-მეთქი“. რამდენიმე წუთით სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა, შემდეგ ბა-

ტონმა პეტრემ დაარღვია სიჩუმე და რუსულად მიპასუხა „....А вы думаете там нас кто-нибудь ждет? Мы им совершенно не нужны“. მინდოდა კონტრარგუმენტებით პასუხი გამეცა, მაგრამ ამ დროს მაგიდის ქვეშ გივიმ ისე ძლიერად დამაჭირა თავისი 47 ზომის ფეხსაცმელი, რომ ტკივილისგან ლამის თვალებიდან ნაპერნკლები გადმომცვივადა... ერთი სიტყვით მიგხვდი, რომ უნდა გავჩრიუმებულიყავი და მეც გავჩრიუმდი. ვიფიქრე, გივიმ უკეთესად იცისა რაც ხდება-მეთქი... მაგრამ ბატონ პეტრეს ეს მწუხარებით თუ მრავლმნიშვნელოვნად ნათქვამი საყვედური ქართული სპორტის მესვეურებისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს (დინამო ხომ მაშინ მათი სპორტსაზოგადოება იყო) მაინც სულ მახსოვდა... 80-იანი წლების შუალედში თბილისში გახლდით შევებულებაში და მაშინდელ მინისტრს, ბატონ შოთა გორგოძეს (რომელთანაც ყოველთვის თბილი ადამიანური ურთიერთობა მაკავშირებდა) მოვუყევი ბატონ პეტრესთან საუბრის ეს ეპიზოდი. მით უმეტეს, ვიცოდი, რომ ბატონი შოთა ქართული სპორტის (რა თქმა უნდა, უპირველესად ფეხბურთის, მაგრამ არც სხვა სპორტის სახეობებს ივიწყებდა) დიდი, ვიმეორებ, დიდი ქომაგი და ხელისშემწყობი ადამიანი გახლდათ.

ბატონმა შოთამ ერთი ჩაილიმა, მერე მითხრა: ჯემალ, პატივს გცემ და შენს კითხვას უპასუხოდ არ დავტოვებო. მეც მინახავს პეტრეს შვილების თამაში მოსკოვში, ჩიქვანაიამ წამიყვანა და დამიჯერე არა ერთხელო. მაშინ დამებადა აზრი, შევურჩიე დრო და საჭირო მომენტში რომ იტყვიან

„შევუცურე“ ეს საკითხი ცკ-ას პირველ მდივანსო. მივიღე მისი თანხმობა, რომ მემუშავა ამ საკითხზე. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი მოსკოვში, რომ პეტრესთვის ეს შემოთავაზება მომეყოლა. ეს დღეც დადგა და პეტრეს გადავეცი ყველაფერი. პეტრემ ყურადღებით მომისმინა, იმაზე რომ მათვის ბინები მიგვეცა, მანქანები გამოგვეყო (გვეჩუქებინა), გაზრდილი ხელფასი დაგვენიშნა (ეს მხოლოდ კანონდარღვევით უნდა მომხდარიყო, ოღონდ კანონიერად გაფორმებული იქნებოდა). ამაში თანხმობა მივიღე, მაგრამ პეტრემ ერთი პირობაც დაგვირთო, მისთვის, მაშინ მილიციის პოლკოვნიკისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გადმოყვანა მინისტრის მოადგილის რანგში — რაც დაახლოებით 6 თვეში გამოიწვევდა პეტრესთვის უმაღლესი სამხედრო წოდების — გენერალ-მაიორის მინიჭებას. აი, ეს პირობა კი საქართველოს მთავრობასა და პარტიის ცკ-ს სფეროში არაფრით არ შედიოდა და ვერც ვერავინ გაბედავდა საკავშირო ცკ-ს და მთავრობის ფუნქციებში შეჭრას, ამით დამთავრდა ჩემი მოლაპარაკებაო.

ისე, რას იზამ... ყველა ადამიანმა უნდა იფიქროს, ალბათ, საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ, ალბათ, არა სამშობლოს ხარჯზე — ასე მგონია მე ეს (როგორც იტყვოდა ბატონი დათა თუთაშნია)! ამას, ღინტუის მიხედვით, უბრალოდ ვაჭრობა ჰქვია. ვაჭრობას კი სპორტთან და პატრიოტიზმთან საქმე არასოდეს ჰქონია. ისინი ერთმანეთის შეუთავსებელი ცნებებია. თუმცა, თანამედროვე

ცხოვრებაში ეს უკვე ცხოვრების წესად იქცა და ამიტომაც გვყავს ახლა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები ჭიდაობაში, ძალოსნობაში, სხვა ქვეყნის დროშით ხელში. ანუ ე.ნ. ქართული სპორტის „მამლუქები“. ისიც აღსანიშნავია, რომ გვყავს ერთი ძლიერი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული სპორტსმენი, ევროპის ჩემპიონთა თაობის ორგზის მფლობელი, სხვა ევროპის ეროვნული ჩემპიონების — ჩემპიონი, რომელმაც თავის გუნდს ისეთი ორი ლამაზი „თავურით“ ცხრიანში „გაუჭედა“ ბურთი, რომ მე, რომელსაც ამ სტილით „თავურით“ გატანის დიდოსტატი ზაურ კალოევი მინახავს და ისიც არა ერთხელ საქმეში — დამერნმუნეთ, რომ ცხონებულ ზაურს ასეთი ოსტატობა „შეშურდებოდა“. ერთი სიტყვით, ახლა ყველაფერი უკუღმა შეტრიალებული უფრო პატივისცემაშია.

მახსოვს, იპოდრომზე 50-60-იანი წლების ბოლოს სპორტული ზეიმი ცხენოსნობაში, რომლის კულმინაციას წარმოადგენდა იპოდრომთან მახლობლად მთის ფერდობიდან ხევსურ მოჯირითეთა რბოლა, რომელიც ზარ-ზეიმით იპოდრომზე სრულდებოდა. დარნმუნებული ვარ, რომ ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ცხე-ბურთელთა ასპარეზი, არასოდეს დაავინყდება ეს მომხიბლავი სანახაობა, ქართული ცხენოსნობისა და ვაჟკაცობის ზეიმი. ცხენოსანთა სანახაობას აგვირგვინებდა და ძმები დგებუაძეების საჩვენებელი ასპარეზობა ცხენით ისრის სროლაში ბოძზე მოთავსებული მიზნების მოსახვედრებლად, ანდა ხმლით კვეთა ე.ნ. „ერთ მეტრზე“ დამაგრებული „ფაფახებისა“

(ანუ ყიზილბაშთა თავებისა). თავის საბრძოლო ყიუინით (მკითხველო, დახუჭე თვალები, წარმო-სახვით ყოველივე ეს წარმოიდგინე და შეიძლება იქ, ძილშიც კი) აღფრთოვანდე. ჩვენ, ჩვენი თაო-ბის 40-იანი წლების ბავშვები და ყმანვილკაცები ამ ზღაპრული სანახაობების მოწმენი ვიყავით. მართალი გითხრათ, ასეთი ზეიმის ხილვისას არც შიმშილი და არც წყურვილი არ მკლავდა. საუბე-დუროდ, ახლა ყოველივე ამას მოკლებული არიან ჩვენი შვილები და შვილიშვილები. ყოველივე ამას მე ადამიანის ბუნებასთან, მის სტიქიასთან შერწ-ყმას მივაწერ. ასეთი ცხოვრების წესი უფრო აჩენს ხასიათს, ვაჟკაცურ თვისებებს, სილალეს, თავისუ-ფლების სიყვარულსა და ეროვნულ ტრადიციებთ-ან შერწყმის გრძნობას.

ჩემი თაობის ყმანვილობის სპორტული სანახ-აობების ნუსხა, რა თქმა უნდა, ვერ იქნება სრული (მისი მთლიანი, ძირეული აღნერის პრეტენზია სრულებითაც არ გამაჩინია. მე მხოლოდ იმის შესახ-ებ ვწერ, რისი თვითმხილველიც თავად ვიყავი, ჩემს ამხანაგ-მეგობრებთან ერთად), თუ არ გავიხ-სენებთ გასული საუკუნის 60-იანი წლების მიწუ-რულს ქართული ხელბურთის შექმნისა და მისი აღზევების წლებს... პირველი ოფიციალური თამაშები თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელ-ბურთელთა გუნდმა, თუ მახსოვრობა არ მღალა-ტობს, 1957-1958 წ.წ. გაიმართა. ერთ წელიწადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფლაგმანი გახდა, არაერთხელ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიო-ნის საპატიო სახელი. იყო დრო, როდესაც საბჭო-თა ქვეყნის ნაკრების მაისურებში არა ერთი

ქართველი ხელბურთელი გამოჩნდა. 1958-1959 წლიდან ქართული ხელბურთს გულშემატკივარი არ აკლდა. თითქმის მთლიანად ივსებოდა მაყურებლებით თბილისის სპორტის სასახლე. რა დაგვავინყებს ჩვენ თაობას პირველი და მომდევნო თაობის ხელბურთელთა თავგამოდებას, მათ სპორტულ ჟინს, თითქმის პირველი დღეებიდან გვყავდა მესანიშნავი მეკარე, შემდეგ საბჭოთა ნაკრების გოლკიპერი ჯემალ აბაიშვილი (ქართული კალათბურთის დიდი ამაგდარის შვილი), გუნდის კაპიტანი ანთაძე, გვერდითი ხაზის თავდამსხმელები იმედო ფხაკაძე და კარტოზია, შუახაზში მოთამაშე ანზორ ექსეულიძე, მაშინ ნიჭიერი საესტრადო მომღერალი ჯანო ბაგრატიონი.... პირადად მე, სულმოუთქმელად ველოდი იმ ნუთს, როდესაც თითქოსდა ტანდაბალი იმედო ფხაკაძე მარჯვენა მხრიდან (კუთხეურის კიდიდან) რამოდენიმე ნაბიჯის გარბენით ჩაუწვებოდა ზეცას დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლით, თითქოსდა იმ პოზიციიდან კარებსაც ვერ დაინახავდი მეკარე ახლო კუთხეს ფარავდა, ჰაერში აფრენილი იმედო ასე, ერთ-ორ მეტრს თითქოსდა ჩიტივით გაიფრენდა და შემდეგ ბურთს მეკარისგან შორეულ კუთხეში მოათავსებდა. ისიც მახსოვს, ერთ-ერთმა მოსკოველმა მეკარემ ეშმაკობა იხმარა და რა დაინახა ჰაერში აფრენილი იმედო, კარის შორეული ბოძი ჩაკეტა. იმედომ ნამებში შეაფასა შექმნილი სიტუაცია და მაყურებლის შეძახილებში ბურთი ნელა ეშმაკისებურად შეუგორა კარის მარჯვენა მხარეს. ვერ წარმოიდგენთ, რა ურიამული და რა ხარხარი გამოიწვია ამ შეგდებულმა

ბურთმა. შევატყვე, რომ მეკარე სრულიად დემო-ბილიზირებული, რომ იტყვიან, „გათიშული“ იყო და მწვრთნელს მისი შეცვლა მოუწია. მაგრამ ამანაც არ უშველა მოწინააღმდეგეს. „ასტრონომიული“ ანგარიშით დამარცხდნენ. სწორედ ამ პირველი პიონერის ხელში აღიზარდნენ 60-იანი წლების მინურულს (ახლა უკვე არ შემეშლება ამის თქმა) — ქართული, საბჭოთა და მსოფლიო ხელბურთის მეგავარსკვლავები: ჯემალ ცერცვაძე და ალექსანდრე ანპილოგოვი. თითქოსდა ანპილოგოვი თავისი სპორტული ჯილდოებით აღემატებოდა ჯემალს (მსოფლიო ჩემპიონის პრიზიორი და ჩემპიონი) თავისი მიზანსწრაფული, რაციონალური თამაშით დიდი სარგებელი მოჰქონდა გუნდისთვის და, რა თქმა უნდა, ღირსია დიდი პატივისცემისა და თაყვანისცემის, მაგრამ ჯემალ ცერცვაძე სპორტისა და კერძოდ ხელბურთის ჯალოქარი იყო. მე ვიტყოდი ის ხელბურთის მიშა მესხი იყო. თავისი ფანტასტიკური ფინტებით, გონებამახვილი, არასტანდარტული გადაწყვეტილების მიღებით, განსაკუთრებით შეტევით. თითქოსდა ზურგით იდგა მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ელვისისებურად რაღაც ზებუნებრივი სისწრაფით 180 გრადუსით დატრიალდებოდა და მაყურებელმა და „საცოდავმა“ მეკარემაც იცოდა, რომ ამ დროს ბურთი მის ბადეში „ფართხალებდა“, ანდა როგორ შეიძლება მაყურებელს დაავიწყდეს ის წამი, როცა ჯემალი გარშემორტყმული მოწინააღმდეგე მოთამაშებით (3-4 ან მეტით, რომ-ლებიც გასაქანს არ აძლევდნენ), უცებ მეტრ-ნახევარ სიმაღლეზე ახტებოდა, თითქოსდა რამდენ-

იმე წამით ჰაერში ჩამოეკიდებოდა. შემდეგ ისეთ „პასს“ მისცემდა პარტნიორს, რომ გოლის გატანის 90-100% საშუალებას შეუქმნიდა. სხვათა შორის, ასეთი ჰაერში ჩამოეკიდების ჰალუცინაციური, სეკუნდური თვისებებით არიან დაჯილდოებულნი NBA -ს მსოფლიო კალათბურთის მეგავარსკელავები.

ევროპულ კალათბურში ერთი ბერძენი კალათბურთელი მახსოვეს — გალასი. ვისაც ეს ფენომენი მატჩის ყურების დროს ვერ დაუჭერია, ის ვერ გამიგებს.

მაპატიეთ მეითხველო, მაგრამ შორს გამიტაცა ამ ჩემი ბავშვობის აღწერის ლალმა, თავისუფალმა, უდარდელმა (ალბათ, იმიტომ, რომ ბავშვი ან ახალგაზრდა ვიყავი) მოგონებებმა, სულ მიმავინყდა თავში დაწყებული ქართული სპორტის თავი და თავი, საქართველოში ყველაზე პოპულარული სახეობა — ფეხბურთი. ცოტა რამ დასაწყისში მოგახსენეთ, ცოტა რამ დაწერილი მაქვს ჩემს ნიგნში „შავი სათვალე ეკეთა“ (კერძოდ, თუ რამდენი „მეთოდი“ გვქონდა დინამოს სტადიონზე „უფასოდ“ „შესვლისა, სტადიონზე სარდაფში დამალვის, რკინის ბორდიურებზე გადაძრომისა და სხვა და სხვა... ამიტომ ვეცდები, არ გავმეორდე. უბრალოდ, მცირეოდენი მასალით მოგახსენებთ იმას, რითაც, ალბათ, უნდა ამაყობდეს ჩემი თაობის 40-იანი წლების თაობის მოქალაქეები. რამდენადაც მახსოვეს, თბილისში „ნიკელიუმიკ“-თა სულ ორი თავშეყრის ადგილი იყო — ე.წ. კიროვის (ახლანდელი ვერის) პარკი და თვით დინამოს სტადიონი. ნარმოიდგინეთ, ჩვენ მარტო ფეხბურთის

ოფიციალური თამაშების დროს კი არ დავდიოდით სტადიონზე, არამედ თუ დრო გვქონდა, შევუერთ-დებოდით დინამოს სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან განლაგებულ ე.წ. „ნილელი“-თა ბუდეს, იქვე განლაგებული იყო შესანიშნავად გაფორმებული საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილები, ჩვენი მოთამაშეების (დინამოს) ფოტოსურათები და ხანდახან მეგობრული შარჟები. სხვათა შორის, 40-იანი წლების ბოლოს გამოდიოდა შესანიშნავი პატარა ბუკლეტები ჩვენი ფეხბურთელების შარჟებითა და მათდამი მიძღვნილი ლექსებით. ახლა რომ მქონდეს ეს ბუკლეტები, ბიბლიოგრაფიული იშვიათობად ჩაითვლება. ვინც შეინახა, ჩემგან „შურისა“ და მადლობის ლირსია.

აქ ყველა ასაკის ხალხი იკრიბებოდა, იყო ერთი სჯა-ბასი, თამაშების გარჩევა, ფეხბურთელთა კლასის შეფასება, იყვნენ ე.წ. „ლიდერები“ რომლებსაც ყველა საკითხზე თავისი აზრი ჰქონდა, მათ „პროფესორებს“ ეძახდნენ. არ დამიჯერებთ, მაგრამ ფაქტია და გეტყვით — ამ „ბალელშიკების“ შეკრებას ხშირად უერთდებოდნენ თვით დინამოს ფეხბურთელები, მათ შორის მინახავს ერთი ხელის გაწვდენის მანძილზე: მარღანია, ანთაძე, გაგუა, შავგულიძე, ძიაპშება, ელოშვილი... რომ არ მოგატყუოთ, მეტს ვერ ვიხსენებ...

აქ პირველად გავიგე, რომ დინამოში არსებობდა ასეთი თანამდებობა „**САПОЖНИК**“, რომელიც ფეხბურთელების ბუცებს „არემონტებდა“. იშვიათი იყო ის ფეხბურთელი, ვისაც ორი ბუცი ჰქონდა (ერთი სავარჯიშოდ და ერთიც სათამა-

შოდ). აქვე ფეხბურთელებმა ისიც თქვეს, რომ მაი-სურებს, ტრუსებსა და გეტრებს მათ ცოლები ან დედები ურეცხავდნენ. ეს ის დროა (ალბათ, 1947-1953 წ.წ.), როდესაც თბილისის „დინამო“ რამდენ-ჯერმე გახდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო გათამაშების ჯერ პრიზიორი, ხოლო 1953 წელს ჩემპიონობა მოიპოვა. მაგრამ მოსკოვმა გადაათა-მაშა, ძირითადი დროის მიწურულს მარლანიამ ელიაშვილს ბურთი გაუგორა და მანაც „ლირსეუ-ლი“ ფეხბურთის ისტორიაში სამარცხვინო გოლი გაიტანა თავის კარში. ამას იმ შავბნელ დღეებში (სტალინი ახალი გარდაცვლილი იყო, ლავრენტი ბერია ახალი დაპატიმრებული) დიდი არა სპორტული, არამედ პოლიტიკური გამბედაობა სჭირდებოდა და ეს „გამოცდაც“ ჩააბარეს იმ თაო-ბის ფეხბურთელებმა.

სანამ ცოცხალი ვარ, რა დამავიწყებს 1948 წლის სეზონის გათამაშებას თბილისის „დინამო-სა“ და მოსკოვის ცსკას შორის. სულ რაღაც 8-9 წლის ვიყავი. აბა, ასეთ ფეხბურთს, როგორ გამ-ოვტოვებდი, ჯერ კიდევ თბილისის „დინამოს“ ძველ საფეხბურთო მოედანზე განთავსებულ ნახ-ევარსფეროიან „არკაში“ იყო რაღაც სივრცეები, სადაც დამალვა შეიძლებოდა. დაახლოებით 5-6 სთ-ით ადრე ამ სივრცეების სათავსოებში ვიმალუ-ბოდით ასზე მეტი ბავშვი და ყმაწვილეკაცები, ჩვენთვის ვერთობოდით ანეგდოტებისა და სხვა-დასხვა თავგადასავლების მოყოლით. როგორც კი ტრადიციულად მაყურებლების შემოშვება დაიწ-ყებოდა, როცა რეპროდუქტორში გაიუღერებდა ჩვენი სასახელო მომღერლების, დები იშხნელებ-ის ლამაზი, გულის გამათბობელი სიმღერის ხმა

(ალბათ სტადიონის მუსიკალურ მუშავს ძალიან უყვარდა ეს ფირფიტა), მესამე სიმღერად ჩვენდა სასიხარულოდ ჩაირთვებოდა „...შემოდგომით თუ ჩვენს მხარეს გაგივლიაო“-ს ცნობილი მელოდია, სწორედ ამ დროს, კარიდან შიგნიდან ჩაჭედებულ ლურსმნებს ამოვილებდით და მესამე იარუსის ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ვაშას ძახილით გამოვ-ვარდებოდით. წარმოიდგინეთ, რაღაც საფრთხე მაინც არსებობდა, რომ მილიციას დავეკავებინეთ, მაგრამ ამას ვინ შეუშინდებოდა — ჩვენ აღმოსავ-ლეთის ტრიბუნის ბატონ-პატრონები ვიყავით. ჯერ ბატონეკაცებივით განვლაგდებოდით სკამე-ბზე, რომელსაც არავითარი ლობები ერთ-მანეთისგან არ ჰყოფდა. ისეთი პატარა სივრცეები იყო განკუთვნილი ერთი ბილეთისათვის რომ ამ ადგილს ანზორ ლეუავას ტანადობის სამი ბილე-თი მაინც დასჭირდებოდა. თუ ადგილს ვერ შევი-ნარჩუნებდით, კიბეები ხომ ჩვენს განკარგულება-ში იყო და კანონიერი უფლებით (ვინაიდან ასეთ მატჩებში რამდენიმე ათასი ბილეთი უადგილო მაყურებლებისათვის იყო განკუთვნილი).

დაიწყო თამაში თბილისის „დინამოსა“ და მოსკ-ოვის „ცსკას“ შორის... ეს მატჩი იყო სადებიუტო მატჩი ჩვენი კარის დარაჯის, მეკარის — ვლადიმერ მარლანიასათვის. პირველი ტაიმის შუ-ალედში ჩვენებმა „ცსკას“ ბურთი გაუტანეს (ვერ დავიტრაბახებ, არ მახსოვს ვინ გაიტანა ბურთი). წყაროების ძებნა არ დამიწყია, ვწერ იმას, რაც დარჩა მეხსიერებაში. მაშინდელ „ცსკაში“, ვიტყ-ოდი, საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავები თამა-შობდნენ. მათ შორის ბობროვი, სოლოვიოვი, სემ-

იჩასტნი და, რაც მთავარია, მათი მეკარე იყო საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების მეკარე გვარად აკიმოვი. დაიწყო მეორე ტაიმი, თამაში მხოლოდ ერთ კარში მიდიოდა, მეკარე აკიმოვი თითქმის მოედნის ცენტრში იდგა, მასში ბობროვის განუმეორებელი შეტევითი თამაში ხან თავით, ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან ერთმანეთს ცვლიდნენ კარში დარტყმული თითქმის აუღებელი ბურთების რაოდენობა, მაგრამ რად გინდა, კატასავით სწრაფი, ზამპარასავით მომართული მარლანია ყველა ბურთს იგერიებდა. ასეთი თავგანწირული, სიკედილ-სასიცოცხლო დაცვითი თამაში შემდეგშიც არასოდეს მინახავს და ალბათ, ვერც ვერავინ ნახავს. ასეთი ფეხბურთი საერთოდ არ მეორდება... როგორც იყო დამთავრდა თამაში, ხალხის ზღვა ტრიბუნებიდან ვერავითარმა მილიციამ ვერ შეაჩერა, თითქმის მთელი სტადიონი აივ-სო გულშემატკივრებით, არავითარი აგრესია „ცსკას“ ფეხბურთელების მიმართ არ გამოუჩენიათ, პირიქით დიდი პატივისცემითა და ტაშით გააცილეს ხალხის ხელოვნურად შექმნილ კორიდორში, თითქმის ისე, როგორც ახლა რაგბშია მიღებული, ხოლო შემდეგ ეცნენ „დინამოელებს“, ყველა ხელში აიყვანეს და ტაშითა და გამარჯვების შეძანილებით მიაცილეს გასახდელის გვირაბისკენ... ერთიც უნდა გითხრათ, რაც ჩემს ბავშვობაში და ყმანვილკაცობაში ფეხბურთის სანახავად ვყოფილვარ, არასოდეს მინახავს მაყურებლებს არეულობა შეექმნათ. თუმცა, ამის მაპროვოცირებელი ხშირად არაობიერტური მსაჯობა გახლდათ. დღესაც მასში ვიღაც ვიგინდარა მსაჯი გვარ-

ად ბალაკინი, რომელმაც სისხლი გაგვიშრო „ბალელშიკებს“.

შემდეგ დიდ ხანს თბილისში ყველა არაობიექტურ სახელმწიფო მოხელეს მიაძახებდნენ ხოლმე — „ნამდვილი ბალაკინი ხარო“. ეს მაშინ დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა.

არასოდეს დამავიწყდება თბილისის „დინამოსა“ და ბრაზილიის „სანტოსის“ ამხანაგური შეხვედრა, როდესაც გაოგნებულმა ბრაზილიელმა, მეოთხე ნომერმა, გაპრაზებულმა და შეურაცხყოფილმა მიხეილ მესხის ფინტებით, ერთ ასეთივე ეპიზოდში ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა მიშას, გამოეკიდა და ხელში აიყვანა, ტანით და მოცულობით ეს მცველი (თუ არ ვცდები, მულატი, მიშაზე გაცილებით მაღალი გახლდათ) რამდენიმე წამში მიხვდა, რა არასპორტული საქციელი ჩაიდინა, დაუშვა მიშა დედამიწაზე და აკოცა ახლა უკვე გაოგნებულ მიშა მესხს.

როგორ შეიძლება ნამდვილმა გულშემატკივარმა დაივიწყოს თბილისის „დინამოსა“ და ინგლისის ლივერპულის მატჩი. თავსხმა, კოკისპირულ წვიმაში, ნამდვილად ჩვენთვის, ტექნიკური გუნდისათვის არასახარბიელო ამინდში, ხოლო ინგლისელებისათვის 100% ინგლისური ამინდით, მთელ მოედანზე თითქმის თბილისის „დინამო“ აკონტროლებდა მატჩს. ეს ანგარიშშიც გამოიხატა 3:0 „დინამოს“ სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, იყო ჩვენი საფეხბურთო სიხარულები, საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონობა 60-იან წლებში, იგივე საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა 70-იანი წლების ბოლოს და ზენიტი ჩვე-

ნი ქართული ფეხბურთის აღზევებისა — ევროპის (თასები თასის) თასის მოპოვება, მაგრამ აქ უნდა შევჩერდე, ვინაიდან ამ თემაზე იმდენი დაწერილა და გამოქვეყნებულა, რომ ერთ საბიბლიოთეკო თაროზეც ვერ დაეტევა და კვლავ ვიმეორებ — სრულებითაც არ მაქს პრეტეზზია სპორტულ ურნალისტიკაში ვინმეს შევეჯიბრო. ვაღიარებ, ამ საქმეში მე მოყვარული ვარ...

ახლა მრავალი ათეული წლის გასვლის შემდეგ მხოლოდ ერთი ანალიზის გამოტანა შემიძლია — შეიძლება ამიტომაც იყო ჩემი თაობა უფრო მიზან-დასახული, უფრო მოტივირებული და თამამად შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად წარმატებული, თავის კარიერულ თუ შემოქმედებითი ზრდის პროცესში. ამის თქმის უფლებას მაძლევს ალბათ ისიც, რომ თავისუფლად, ლალად, მეტი კომუნი-კაციური გადაადგილების მქონე ბავშვი უფრო მეტად ყალიბდება პიროვნებად, მეტად გამოი-მუშავებს დაცვით იმუნიტეტს, იძენს შრომისა და განათლების მიღების უინსა და სურვილს...

ყოველივე ზემოთქმულის ნათელ დადასტურე-ბად შეიძლება ჩაითვალოს გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი, როდესაც ქვეყნის ას-პარეზზე გამოვიდა ჩემი (ომისდროინდელი) თაო-ბა. რამდენადაც ვიცი, ამ თაობამ გარკვეული კვა-ლი დატოვა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოე-ბრივ ცხოვრებაში. ჩვენი თაობის მწერლებმა, პო-ეტებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა წარუ-შლელი კვალი დატოვეს ქვეყნის (როგორც საქართველოს და არა რუსეთის საბჭოეთის) ის-ტორიის მატიანეში...